

ვალერი ქვარაშველია

გამოცემის დღე

კუს კონკორდი

ვაკე გორობია

ეროვნულ და სოციალურ ერთიერთობათა აკადემია
2006 წელი

სახელგანთქმული ქართული ფილმისთვის სკოლის ერთ-ერთი ღირსებული წარმომადგენელი, პროფესიონალური უახა გორგაძია ფრაგიული სუეტის პიროვნება იყო.

მან ულიანი გჩა განულო, მაგრამ თავისი და ამაღლებული ცხოვტებით იცხოვდა.

უახა გორგაძია 61 წლის ასაკში გარდაიცვალა. მიუხედავად სანმოკლი სიცოცხლისა, მან საგულისხმო მუცნი-ერთეული მემკვიდრეობა და, ტაც კიდევ ეფუძნობა მთავარია, ისეთი მღიდარი ბიოგრაფია დაფთვა, რომ მისი სსოფლა წარმლებული იწნება თილმსიმუხთა მომავალი თაღება-ბისთვის.

წინამდებარე წიგნი მოგეითსრობს უახა გორგაძიას ფრაგიულ სუეტსა და ამაღლებულ სიყვარულზე. მოთხ-ტობა უახა გორგაძიაზე დააინცეფტება არა მარცო მის ახლობლებასა და თილმსიმუხთა წრეს, არამედ ყველა იმ ადამიანს, უსაც ეყვარს მსაცემული პროდა, მაღალი ლიცეუმურა...

რედაქტორისაზან

2004 წელს ჩვენი აკადემიის ეიცე-პრეზიდენტების ვახტანგ გოგუაძისა და ვალერი კვარაცხელიას ჩეკომინდაციით საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა ნამდვილ წევრად ავირჩიეთ ვაჟა გორგაზია.

ამ შესანიშნავ მეცნიერს და მოღვაწეს მანამდე ახლოს არ ვიცნობდი, მაგრამ სულ მალე დავრჩიმუნდი, რომ მისი სახით ჩვენს აკადემიაში მოვიდა ლირსეული პიროვნება, სერთაშორისო ალიარების მქონე მეცნიერი და მოღვაწე.

სამწუხაროდ, ძალიან ხანმოქლე აღმოჩნდა ვაჟა გორგაზიას ჩვენს აკადემიისთან და პირადად ჩემთან ურთიერთობის ისტორია. მიუხედავად ამისა, ვფიქრობდი, რომ მისი გაცნობა მოვასწარი, მაგრამ, თურმე, ეცდებოდი...

ახლა, როდესაც წაეყიდოთხე წიგნი, რომლის ჩედაქტორობაც მე დამეკისრა, მივხედი, რომ წარმოდგენაც არ მქონია იმის შესახებ, თუ რა ლირსეული კაცი, მოქალაქე და მეცნიერი მყალია ახლოს.

ამ ტრაგიული კაცის შესახებ ვალერი კვარაცხელიას მიერ დაწერილი უბრწყნვალესი მოთხოვობა, რომელიც საზოგადოების წინაშე გამოგვაჭის, საინტერესო და სულის შემძერელია არა მარტო იმათოვის, ვინც პირადად იცნობდა ვაჟას, არამედ ნებისმიერი მეითხველისთვის, ვინაიდან აქ მაღალმხატვრულ ოსტატობასთან ერთად დიდ ესთეტიკურ განზოგადებასთან გვაჭის საქმე, რითაც ცნობილმა მწერალმა და პუბლიცისტმა, ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიის ლაურეატმა, პროფესორმა ვალერი კვარაცხელიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მის კა-


ლამს კეშმარიტიად ჯადოსნური ძალა აქვს.

ამ შემთხვევაში მწერლის გასაქანი ძალიან შეზღუდული იყო. მას არ შეეძლო ფანტაზიის ფართოდ გაშლა, ვინაიდან დასამუშავებელი მასალის ღოკუმენტურობა არ აძლევდა მის საშუალებას. მწერალს არ ჰქონდა უფლება გვერდი აქცია ვაჟას ბიოგრაფიისთვის და შემოეთავაზებინა გამოგონილი ლეტალები და პასაჟები. ამიტომ, მისი ეს მოთხრობა, წესით, ღოკუმენტური უნდა ყოფილიყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი ერთგვარად მშრალი და, მხატვრულობის თვალსაზრისით, შედარებით ღარიბი იქნებოდა, მაგრამ მწერლის ოსტატობა სწორედ ისაა, რომ მან შეძლო კონკრეტული და ჩეალურად მომხდარი ისტორიის დიდი მხატვრული განზოგადება და კეშმარიტი ხელოვნების დონეზე აყვანა.

შეუძლებელია, ამ წიგნის მკითხველს ოდესმე დაავიწყდეს ვაჟასა და მისი ძეირფასი შეუდლის — ინგას ამაღლებული და წმინდა სიყარულის ისტორია; შეუძლებელია, მკითხველს სამუდამოდ არ დაამახსოვრდეს მძიმედ ტრავმირებულ ვაჟას დიალოგი ღმერთთან, რომელიც უნაყლოა როგორც ფილოსოფიური, ასევე თეოლოგიური თვალსაზრისით, ლიტერატურის თვალსაზრისით კი ნამდვილი შედევრია; უმაღლესი ხელოვნებით არის აღწერილი ვაჟას სიზმრები და ხილვები; უძლიერესი ემოციითა და ექსპრესიონითაა გაღმოცემული შავი ხარის ალეგორია; უბრწყინვალესია ამ მცირე მოცულობის მოთხრობის ფინალი, რომელსაც უცრემლოდ ვრ წიკითხვეს ყველაზე გულება ადამიანიც კი.

ერთი სიტყვით, მკითხველის წინაშეა მაღალმხატვერული ნაწარმოები, რომელიც მოგვითხრობს ჩვენგან უდროოდ წასულ მეგობარსა და კოლეგაზე და, გარდა იმისა, რომ უკვდავპუფს მის ნათელ ხსოვნას, საფუძველს უყრის ახალ ლიტერატურულ ჟანრს, რაც საში დროის — წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიანობის საწინდარი უნდა გახდეს ყოველი ქართველისთვის.

ამა ქვეყნიდან წასულთა ხსოვნის დიდებული, ქართული, მართლმადიდებლური ტრადიციის ერთ კონკრეტულ გამოვლენად მიმართა ვალერი კვარაცხელიას საქმიანობა ამ მიმართულებით. მისი სტატიები, რომელიც ჩვენგან წასულ დიდ მოღვა-



წევებს — ნიკო ჭავჭაძეს, მიხეილ შესხს, იროდიონ ქვაჩახიას
და სხვებს ეხებოდა, სწორედ ამ ტრადიციის გამოვლენა-დამკარგებელის
კიდრება გახლდათ. ვისაც წაუკითხავს ვალერი კვარაცხელიას
წიგნი და უნახავს სატელევიზიო გადაცემები, რომელიც მან
მისი მასწავლებლის, დიდი ქართველი ფილოსოფოსის ვენიო
ჭავახახიას ხსოვნას მიუძღვნა, ჩემს ამ ნათქვამს გადაჭარბებად
არ მიიღებს. სწორედ ამ ტრადიციის გამოვლენა-დამკარგებაა
პროფესორ ვახტანგ გოგუაძის ახალი წიგნიც — „პანთეონი“,
რომელიც ჩვენი აქადემიის ეგიდით დაისტაბბა. ამ დიდებული
ტრადიციის თვალსაზრისითაც, წინამდებარე წიგნის სახით, საჭე
გვაძეს უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენასთან.

წიგნის მეორე ნაწილში წარმოდგენილი ავტორები ქარ-
თული ფილოსოფიური სკოლის ლიტერატური წარმომადგენ-
ლები, აღიარებული მეცნიერები და მოღვაწეები არიან. მათი
მოგონებები ყურადღებას იქცევს მრავალფეროვნებით, გულ-
წრფელი, ადამიანური სითბოთი, რომლითაც გაეღმინთილია
ყოველი მათგანი.

საერთოდ, მთელი წიგნი დაწერილია უდიდესი სიყვარუ-
ლით, მაგრამ, ამავე დროს, უმაღლესი ტაქტითა და ზომიერე-
ბით.

თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს არის წიგნი, რომელიც ლიტერატუ-
რა და ლიარტლობის პიროვნებას, მეცნიერს, პროფესორ
ვაჟა გორგაზიას ძეგლად დაუდგეს მისმა მეგობრებმა და კოლე-
გებმა.

ვაჟამ ეს ნამდვილად დაიმსახურა!

და, მსუბუქი იყოს მისთვის სამშობლოს მიწა!

და, მუდამ ცოცხლობდეს ვაჟას ნათელი ხსოვნა ჩვენს გუ-
ლებში!

პრიგრძ ქვანია

ხაქართველოს ეროვნულ და
ხოციალურ ურთიერთობათა აუდემიის პრეზიდენტი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



კ მ პატარა მოთხრობის მთავარი პერსონაჟი ვაჟა გორგაზია რაღაცით გამოჩინეული რომ გააჩინა ბუნებამ, ამას ბავშვობიდანვე გრძნობდნენ მშობლებიცა და მასწავლებლებიც, მაგრამ კონკრეტულად რა იყო და რაში ვლინდებოდა მისი ეს გამოჩინეულობა, ამის ბოლომდე გარევა ყველას უჭირდა. ფერებადი ხასიათით, მაღალი მგრძნობელობით, ცოტა გადამეტებული ემოციურობითა და უცნაური ნაპერწკლების მფრევებით შავი თვალებით საქართველოში ვერავის გააკვირვებ. ვერც იღნავ დატალლული, რბილი, საოცრად ხშირი შავი თბა, ლამაზი სახე და გულწრფელობისა და სიკეთის გამოხსატველი კეთილშობილი ღიმილი იყმარებს გამოჩინეულობის საფუძვლად და, ასე განსაჭერ, ვერც ნიკიერება და გონებამახვილობა იქნება რაიმე განსაკუთრებულობის საწინდარი. ღრმა აზრებისა და ფილოსოფიური მსჯელობებისაქენ მიღრეკილი სკოლის ასაყიდანვე იყო, თუმცა, ბედისწერისა და შემთხვევითობის დიალექტიკურ ერთიანობაში გააზრება ჭერ კიდევ არ შეეძლო...

სკოლის დამთავრების შემდეგ, სავალდებულო სამხედრო სამსახური მოილია. ჭარილან დაბრუნებულმა წიგნებს მოჰკიდა ხელი და მშობლიურ სოფელ დიდიჭყანში (მარტვილის რაიონი), რამდენიმე თვის ბეჭითი მეცადინეობით თბილისში, პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის სპეციალობაზე მისაღები გამოცდები ბრწყინვალედ ჩააბარა.

პირველი კურსის დახურვის შემდეგ ზაფხულში, კელავ მშობლიურ სოფელს მიაშურა, სადაც, მიუხედავად ნოტიო, სუბტროპიკული ჰავისა, საქმიან ცხელი ზაფხული იცის.

დიდიჭყანში, მიუხედავად მისი სახელისა (ჭყანი მეგრულად

მუხას ნიშნავს), მუხა ძალიან დიდ იშვიათობადა კულტი, სა-
მაგიეროდ, ბევრია წიწვოვნები, რაც ამ ულამაზეს პროვინციას,
ზღვისპირა კურორტის იერს აძლევს, თუმცა, ზღვა აქტიური სა-
კმაოდ შორსაა. ზღვა არ არის, მაგრამ რაორნი წყლის ნაკლე-
ბობას არ განიცდის. მის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვართან
ჩამოდის საემაოდ წყალუხვი მდინარე ცხენისწყალი. თვითონ
რაიონს ჩრდილოეთიდან სამხრეთისენ კვეთს ორი ცნობილი
მდინარე — ტეხურა და აბაშა. აქვეა თავისი სისუფთავითა და
კალმახით განთქმული წაჩხურა, რომელიც ზაფხულშიც ისეთი
ცივია, რომ ყველა ვერ ჩისკავს იქ ბანაობას...

ვაერა საშუალო სიმაღლის იყო, გამხდარი, მაგრამ სპორტუ-
ლი და დაკუნთული. მუდამ შემართული და ზამბარასავით და-
კიმული სხეულით დადიოდა. სწორ და მოწილ ფეხებზე იდგა,
ძალიან მოძრავი იყო, ბევრს დადიოდა. ფეხით პქონდა შემვ-
ლილი რაიონის ყაველი კუთხე-ეუნჭული. ხშირად დადიოდა
ჭყანდიდის სამონასტრო ანსამბლში, წაჩხურის მთავარანგე-
ლოზის ეკლესიაში, აბედათის ციხე-დარბაზის, თამაკონისა და
ნოლის ციხეთა სანახავად. ჩელიგიური არ ეთქმოდა, მაგრამ
არც ათეისტი ყოფილა. მსოფლმხედველობის ჩამოსაყალიბე-
ბლად ცოდნა არ ჰყოფნიდა და განსწავლისენ უდიდეს შინა-
გან ლტოლვის გრძნობდა. წიგნებს კითხულობდა, ისტორიულ
ქეგლებს ხარბად ვერეტდა, თითქმის ყაველდლე დააბიჯებდა
დიდი წინაპრების — გიორგი და იოანე ჭყანდიდელების, სტე-
ფანე სანანობის, რომანოზ მესვეტეს, ანტონ ცაგარელის ნაკ-
ვალევზე და საკუთარი მომავლისკენ ახალგაზრდული რომან-
ტიზმითა და დიდ საქმეთა საკეთებლად შინაგანი მზაობითა და
მობილიზებით ისწრაფოდა...

ის ზაფხული ჩვეულებისამებრ ცხელი არ გამოდგა, ხშირად
წვიმდა და შედარებით გრილი ამინდები იდგა, მაგრამ ვაერა
თითქმის ყაველდლე დადიოდა საბანაოდ, წაჩხურასა და ტეხუ-
რას კამეამა ტალღებში თავით გადაეშვებოდა, დიდხანს დგა-
ფუნობდა, თანატოლებთან წყლის ორთაბრძოლებში მონაწი-
ლეობდა და მოწინააღმდეგის ჩასაძირად შემართული, წყლი-
დან ისე მაღლა ამოიწეოდა ხოლმე, რომ მუხლისთავებს აჩე-
ნდა. ორთაბრძოლიდან უმრავლეს შემთხვევაში გამარჯვებული

გამოდიოდა და ეს ამბავი იმდენად ახარებდა, თითქოს ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოეპოვებინოს...

იმ დღეს, რაიონის ცენტრში, სკოლის შენობის წინ მდებარე დიდ პარკში ხის გრძელ სავარესელზე ისხლენ ვაჟა და მისი კლასელი სოსო, რომელმაც ვაჟისთან ერთად მოიარი სამხედრო სამსახური და უნივერსიტეტში ჩაბარებაც სცადა, მაგრამ ქულების საქმარისი რაოდენობა ვერ მოაგროვა და კონკურსში ვერ გაიმარჯვა. აგვისტოში კვლავ აპირებდა მისალები გამოცდების ჩაბარებას და მეგობრები ახლა სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით საუბრობდნენ.

— საკუთრივ საკითხებში კარგად უნდა ერკვეოდე და საკუთარ ძალაში დარწმუნებული იყო, — ფსიქოლოგიურად ამზადებდა ვაჟა, — გამომცდელი ამა თუ იმ დეტალის უცოდინრობაში თუ გამოგიქრას, ეს ტრაგედია არ არის, შენ უნდა აჩვენო მას, რომ საკითხი პრინციპულად გესმის, რომ აზროვნებ.

— კი, მაგრამ, გამომცდელი თუ დეტალურ ცოდნას ითხოვს და ყოველი წერილმანის არცოდნის გამო ნიშანს გაელებს? — ერთხელ უკვე ნაწვენები მარცხით შეშინებული და საკუთარ ძალებში რწმენაშერაჭული სოსო ეჭვებს არ მალაედა.

— მეც მაგას გეუბნები, რომ, როცა დეტალურად არ იცნობ საკითხს, უნდა შეეცადო, შენს პასუხებს ზოგადი ხასიათი მისცე და საკითხის ზედაპირულად ცოდნა მსჯელობის უნარით გადაფარო, ამას თვისებური ხელოვნება სჭირდება, — უსსნიდა ვაჟა და მოუწოდებდა, — არამარტო მისალებ გამოცდებზე, საერთოდ, ცხოვრებაში, ფარ-ხმალი არ უნდა დაყარო და ბოლომდე იბრძოლო, მაშინაც კი, როდესაც ბრძოლის ბედი პრაქტიკულად შენს საწინააღმდეგოდ არის გადაწყვეტილი...

სოსოს რაღაცა უნდა ეპასუხა, მაგრამ ვაჟამ იგი იმ გოგონებისკენ გაახედა, უივილ-ხივილით რომ შემოცვიდნენ ბაღში. ოთხი იყნენ, რაღაცაზე გულიანად კისკისებდნენ და ერთმანეთს ლაპარაქს არ აცდიდნენ. სამი იცნო ვაჟამ, დამალელასელები იყნენ, მის თვალწინ იზრდებოდნენ, მაგრამ იმ სამი წლის განმავლობაში, ვაჟა ჭარში რომ მსახურობდა, ისე გაზრდილი ყონენ, რომ დაქალებულები ჩინდნენ.

— ეს გოგო ვინ არის? — პეითხა სოსოს მუჭლუგუნის კერით.

— რომელი? — დაიბნა სოსო.
— აი, ის... ლამაზი, — თქვა და იგრძნო, რომ წამოწითლდა.
— ჰო, ის თბილისიდან გადმოვიდა, სკოლა აქ დაამთავრა.
ნათესავებთან ცხოვრობს, — ერთბაშად მიაყრა სოსომ, — მგონი
ინგა ჰქეითა, — დაამატა ბოლოს.

— ინგა?

— ჰო, მგონი ინგა ჰქეითა, ზუსტად არ ვიცი...

ვაჟამ თვალი გააყოლა გოგონებს — „რა საოცარი სახელია,
ინგა!“ — გაიფიქრა.

სოსომ კიდევ რაღაცა ჰქითხა მისალებ გამოცდებთან დაკავ-
შირებით. ვაჟაც პასუხობდა, რაღაცას უხსნიდა, მაგრამ ეს თე-
მა მოსაბეზრებელი გახდა.

— სიგარეტი არ გაქვს? — ჰქითხა ვაჟამ.

— მაქვს, — ჭიბისკენ წაიღო ხელი სოსომ, მაგრამ უცებ
შეჩერდა.

— შენ რომ არ ეწევი? — გაუცეირდა.

— მოვწევ, რა ვიცი... — უდარდელად უპასუხა.

სოსომ სიგარეტი და ასანთი გაუწოდა.

ვაჟამ სიგარეტს მოუკიდა და გააბოლა. ისე ეწეოდა, თი-
თქოს გაწაფული მწეველი ყაფილიყო, ოლონდ ეგ იყო, თითე-
ბშუა ცოტა უხერხულად მოექცია სიგარეტი და, ნამდვილი
მწეველებისგან განსხვავებით, ჩქარ-ჩქარა და ხარბად მიჰქონდა
იგი პირთან.

— რა მოგივიდა? — ჰქითხა სოსომ.

— არაფერი, — თქვა, — უნდა წავიდე. ხეალ გნახავ, გამოც-
დებთან დაკავშირებით კიდევ დაგარიგებ რაღაცას, — უთხრა
და გამოემშვიდობა. შემდეგ ჩქარი ნაბიჯებით დატოვა პარკი.

იმ ღამეს ვერ მოისვენა. არ უნდოდა ინგაზე ეფიქრა, მაგრამ
ბალში ნანაბი სურათი ვერ მოიშორა. ინგას სახე ვერ დაიმახ-
სოვრა, მაგრამ დეტალები გაიხსენა და იმ დეტალებისგან საე-
რთო სახის აღდგენას შეეცადა. პირეელი, რაც ცხადად ახსო-
ვდა, ლიმილი იყო, უფრო სწორად, სიცილი, რაღაცნაირი...
მაგრამ, რანაირი? რით განსხვავდებოდა ინგას სიცილი იმ დანა-
რჩენი სამის სიცილისგან? არაფრით! ოთხივე ერთნაირად კის-
კისებდა, ბედნიერად, ლალად, ცოტა თავჭარიანადაც, ბავშვუ-

რად. რა იყო მის სიცილში განსაკუთრებული? არაფერი, არა-
ფერი, — ასკვნიდა და ფიქტით სხვა რამეზე გადადიოდა, მაგრამ
კვლავ ის კისეისი ჩაესმოდა ყურაში, რაღაცით გამორჩეული
კისეისი. კბილები? ლამაზ კბილებს აჩენდა? არა, არ იცოდა, არ
დაუნახავს, თუ ვერ მოასწრო... თეთრი პირისეანი ახსოვდა,
რაღაცნაირად გაანათა იქაურობა, მაგრამ თმის ფერი ვერ გაი-
სენა, შავი, თუ წაბლისფერი. ვერც თვალები გაიხსენა, მაგრამ
სახის ოვალს თითქოს მოჰკრა თვალი, პო, კარგად დაინახა,
ლამაზი, ოვალური სახე და თითქოს იმ ოვალიდან ოდნავ ამო-
მხტარი, პაჭუა, მაგრამ საყვარელი ცხვირი... მთლიანობაში მა-
ინც ვერ აღიდგინა სახე, მაგრამ, ინგა, ინგა... ეს სახელი რა
ზუსტად ესადაგებოდა ამ პაწია, უცნაურ, მომხიბლავ არსების.
ეს სახელი რატომძაც ზუსტი და ზედგამოჭრილი ეჩვენა მი-
სოვის, მაგრამ სოსომ რომ თქვა, მგონი, ინგა პქვიაო? იქნებ,
არც პქვია ინგა, მაგრამ წარმოუდგენელია სხვა რამე ერქვას.
მერე დიდხანს ცდილობდა სხვა სახელი მიესადაგებინა მისოვის
— თამარი, ქოთევანი, რუსუდანი, თინათინი, გურანდუხტი, ნე-
სტან-დარეჯანი. არა, არც ერთი არ ესადაგებოდა, უფრო სწო-
რად, ყველა ეს სახელი ესადაგებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად
მაინც ინგა უხდებოდა.

— ინგა პქვია! — დაასკვნა ბოლოს და დალლილს დაეძინა
კიდევ.

გამთენისას სიზმარი ნახა...

მდინარის პირას იდგა. ადიდებული, მღვრიე მდინარე უზარ-
მაზარ ლოდებს მოაგორებდა და ძირფესვიანად მოგლეჭილი ხე-
ებიც მოჰქონდა. გამაყრულებელი სმაური იდგა. ბეჭედის ხილივით
მოქანავე, ძველებური ბოგირით გადადიოდა იმ ხილზე. ვაუს სი-
მძიმით იზნიქებოდა და იჭიმებოდა სუსტი თოკი. ვეღარ გაუ-
ძლო, გაწყდა ბოლოს და ხილის სახელურად გაჭიმულ მავთუ-
ლზე ჩამოეკიდა ვაუ. ქვეშ გაცოთებული მდინარე მიერექებოდა
მოჩებს. მიცოცავდა ვაუ ნელ-ნელა. ძარღვები დაეჭიმა, ეტუნა
მკლავები, მაგრამ მშველელი არავინ ჩანდა. უცებ, გაღმა ნაპი-
რზე, ინგას მოჰკრა თვალი. შორის იყო ინგა, მაგრამ ახლა, მდინა-
რის თავზე ჩამოკიდებულმა ვაუმ ცხადად დაინახა იგი, ყრმიზ
სახეს თაფლისფერი თვალ-წარბი უმშვენებდა. მოკლედ შეჭრი-

ლი, წაბლისფერი თმები შუბლზე ლამაზად ჩამოშლოდა. აღა
იცინოდა, პირიქით, შეშინებული და გაფართოებული თვალე-
ბით მისჩერებოდა საბედისწერო თოქზე ჩამოკიდებულ ყაწვილს.
მოიკრიბა ვაჟამ ძალ-ლონე, უფრო თამამად და გაბედულად ჩა-
სჭიდა თოკს ხელი. ცირკის ჯამბაზივით, ტანის ჩელებითა და ხელების
თანმიმდევრული მონაცელეობით გასწია ნაპირისკენ. გამოაღ-
წია ბოლომდე და ჩამოხტა. ჩამოზხლა რბილ ბალახებში, მაგრამ
წამოხტა მარდად, აიხედა ზევით, აღარსად იყო ინგა, უშველებე-
ლი შევი ხარი იდგა მის წინ, დაგრეხილი რქებით და ჩასისხლი-
ანებული თვალებით უყურებდა ვაჟას. დაალო უზარმაზარი პი-
რი ხარმა და დაიბლავლა საზარელი ხმით, დაიძრა მისკენ, დრო-
ზე გახტა ვაჟა განზე, მაგრამ მიუხვდა ხარი, წინა ჩლიქები ჩაასო
მიწას და გაჭერდა ადგილზე, მსწრაფლ შემობრუნდა და გულა-
ლმა წაქცეულ ვაჟას დააცხრა წინა ჩლიქებით, მიწას რომ ჩაასო
წელან. ორივე ფეხზე შესდგა ვაჟას და მოულირა რქები. გაოცდა
ვაჟა, თვალები აღარ ჰქონდა ხარს, შუბლზე უზარმაზარი პრო-
ცეტორი ენთო. წამოიწია ვაჟამ ზემოთ, დაიყვირა განწირული
ხმით და გამოეღვიძა...

იმავე პოზაში იწევა, ჩა პოზაშიც მოიქცია იგი ქვეშ ხარმა.
უფრო სწორად, წამომჯდარი იყო და შიშისგან გულგახეთქი-
ლი დაპყურებდა საკუთარ ფეხებს, რომლებიც საშინლად ეწ-
ვოდა და სტეიოდა. ორივე წვივზე აშკარად ეტყობოდა ხარის
ნაჩლიქარი. კარგა ხანს იკეთა მასაჟები, მაგრამ ნაჩლიქარი ვერ
მოიშორა ვერაფრით. კანკალებდა დიდხანს და ცივ ოფლს ას-
ხამდა, თუმცა, დაიმშეიდა თავი. ფეხებზე ტკივილმაც უკლო და
თვალები მილულა...

თითქმის შუაღლემდე ეძინა...

ეორე დღეს კვლავ შეხვდა სოსოს, რომელმაც კაფეში დაპა-
ტიჟა, მაგრამ ვაჟამ ბალში გასეირნება შესთავაზა. ბევრი
ეხვეწა სოსო, კაფეში შევიდეთ, ვისადილოთ და თან ვისაუ-
როთო, მაგრამ ვაჟას ძალიან მიუწვედა გული ბალისკენ და
გაჭიუტდა. სოსო ამას ვერ ხვდებოდა, ვაჟას კი იმედი ჰქონდა,

რომ ბალში კვლავ შეხვდებოდა ინგას.

მთელი სამი საათი დაჭყეს ბალში. ბევრ რამეზე ისაუბრეს, სოსოს მისალებ გამოცდებზე, მომავალზე, სიყარულზეც, მაგრამ ინგა არსად ჩანდა...

კიდევ სამი დღე იჯდა ვაკე ბალში, ხან სოსოსთან, ხან სხვა მეგობრებთან და, ხანაც მარტო, სკოლის შენობას მიჩერებული, მაგრამ ინგას თვალი ვერსად მოჰკრა.

მერე სცადა ინგაზე ფიქრი თავიდან ამოეგდო, აღარც ბალისკენ იხედებოდა და აღარც სკოლისკენ. ორი დღე ზედიზედ დათვრა მეგობრებთან ერთად. ღვინო რომ მოეკიდებოდა, ფილოსოფოსობის ხასიათზე დგებოდა, სიყარულის ყოვლისმომცველობაზე განზოგადებულად საუბრობდა, მაგრამ თვალწინ, მიუხედავად იმისა, რომ მისი სახე ბუნდოვნად ახსოვდა, გამუღმებით ინგა ედგა.

ასე გავიდა მთელი კვირა. გადაწყვეტილება, რომ ინგაზე ფიქრისთვის თავი დაენებებინა, ძალაში რჩებოდა. დღისით ეს თითიქოს არ იყო მაინცდამაინც ძნელი, მაგრამ, ღამით, როცა საკუთარ თავთან მარტო რჩებოდა, რა საგანზე, რა მოვლენასა და რა პრობლემაზეც არ უნდა ეფიქრა, ბოლოს მაინც ინგასთან მიღიოდა.

საკუთარ თავზე ბრაზობდა:

— ერთხელ ნახვით შეყვარება გამიგია, მაგრამ ერთხელ თვალის მოეკრით შეყვარება სად გაგონილა, — შეუტევდა ხოლმე საკუთარ თავს და გაოცებული ფიქრობდა, — ეს გოგო ბედისწერად ხომ არ მომევლინაო. ბედისწერასა და შემთხვევითობაზე მაშინ მარტივი წარმოდგენა ჰქონდა. არ იცოდა, რომელი განსაზღვრავდა ადამიანის ცხოვრებას — აუცილებლობა თუ შემთხვევითობა. ხინ ერთი აზრისკენ იხრებოდა, ხან მეორისკენ და ეგონა ამ ორში ერთ-ერთი იყო სწორი და კეშმარიტი, მაგრამ რომელი, ეს, ალბათ არავინ იცოდა, თუმც, ძალიან საინტერესო კი იყო. მაშინ არ შეეძლო მისელა იმ აზრამდე, რომ ცხოვრებას გაცილებით უფრო რთული რამ განსაზღვრავს, ვიდრე ეს წინასწარდაგეგმილი ბედისწერა, ან ყოველგვარ დაგეგმვასა და წინასწარმოცემულობას მოკლებული შემთხვევითობა იქნებოდა.



მეტი ფიქრის საშუალებას ინგას ბუნდოვანი ხატებიც არ აძლევდა, რომელიც ფიქრის ყველაზე ძნელად გზაგასაკვლევ ლაპირინთებში დაბნეულს წამოეწეოდა და აზროვნების საპირისპირო მიმართულებით — ტკბილ ოცნებათა სამყაროსკენ გაიტუუბდა, სადაც ვიწრო და დახლართულ ბილიკებში გაჭირებით, წვალებითა და ვაი-ვაგლახით გზის გაკვლევა კი არ უწევდა, ლალად და თავისუფლად დასრიალებდა, რადგან ოცნებას, აზროვნების დარად, მტკიცედ ნაჭედი ლოგიკური სისტემებით სიარული არ სჭირდებოდა, მწვანედ მოხასხასე მდელოსა, იღუმალად მოშრიიალე ფოთოლთა, ლურჯად მოლიკლივე ზღვის ტალღათა და თვით უსასრულობას შორის, რომლის ბუნებასა და შინაარსზე დაახლოებით იმდენივე ცოდნა გააჩნდა, რამდენიც ბედისწერისა და შემთხვევითობის შესახებ, ძალდაუტანებელი სიამაყთა და ახალგაზრდული უდარდელობით რონინებდა.

მერე, ღამენათვეს, გაეცინა საკუთარ თავზე, ბოლოს და ბოლოს, რა იყო ან ვინ იყო ასეთი ეს ინგა? თბილისიდან ჩამოსული, ალბათ ცოტათ განებივრებული გოგონაა, ვისთანაც, თუ ვაჟეაცი ხარ, უნდა მიხვიდე, იმ თაფლისფურ თვალებში ჩახედო და პირდაპირ უთხრა:

— მე მიუვარხარ შენ, ვინაიდან დედამიწის ზურგზე არც ერთ ქალს არ ჰქვია ისეთი ფილოსოფიური სახელი, როგორც შენ, ინგა... თითქოს ვარდის კოკორს ცრემლი დაეცაო... ასე არ არის?

და თუ რეალობაში, როგორი ფილოსოფიური სახელიც არ უნდა ერქვას, ნებისმიერ გოგონას დააფრითხობდა ეს ნათქვამი, იქ, ოცნებაში, სხვაგვარად მოხდა. ინგამ ეშმაკურად აიბზუა კოხტა ცხვირი, მძივებივით ჩაწიკწიკებული თეთრი კბილებით გულიანად გადაიკისებისა. (სიცილი პაწია ფოსოს უჩენდა მარჯვნა ლოფზე) და კითხვა შეუბრუნა.

— ფილოსოფიური სახელი?

— ღვთაებრივი სახელი... შენ ღვთაება ხარ!

ინგამ სიცილი შეწყვიტა უცებ. წამოწითლდა და დახარა თავი.

ახლოს მივიდა ვაჟა. წაბლისფერ თმებში შეუცურა თითქ-



ბი, მექრდზე მიიკრა გოგონას თავი, აკოცა თმებზე. გამორინდა
ორივე...

რატომდაც არ მოეწონა ვაეს ეს ეპიზოდი, თითქოს ვიდე-
ოფირი დააბრუნა უკან...

— ფილოსოფიური სახელი? — შეუბრუნა კითხვა ინგამ.

— ღვთაებრივი სახელი... შენ ღვთაება ხარ!

შეცდა გოგონა, წასელა დააპირა... აქ სხვა ხასიათი და შინა-
არსი მიიღო საუბარშა.

— ბედისწერა ხარ, ეუბნებოდა ვაეს, — ბედისწერა ხარ და
იმიტომ მიყვარხარ, თავს შემოგწირავ, შენ გეკუთვნის ჩემი სუ-
ლიც და ჩემი სიცოცხლეც!

— რატომ ფიქრობ, რომ ბედისწერა ვარ? — ჩურჩულებდა
გოგო, — შემთხვევით შეგხვდი, შემთხვევით გნახე...

შეეცდა ვაეს გოგონა, რომელიც ბედისწერა იყო, მაგრამ
არ იცოდა, რომ ბედისწერა იყო, შემთხვევითობა ეგონა ეს
ყველაფერი.

— მე მოგყები, — უთხრა გოგონას, — მოგყები, როგორც
ბედისწერას, რადგან უშენოდ არ შემიძლია, არც მინდა სიცო-
ცხლე... მერე რა, რომ ბედისწერა ხარ, მე მიყვარხარ შენ, ჩემო
ბედისწერაავ...

ასე დაშორდა, აქ დამთავრდა ოცნება და კვლავ ფიქრს მიუ-
ბრუნდა. შემთხვევითობა არ უხდებოდა ინგას, არც აკადრებდა
ამას, ბედისწერა ამჭობინა, ეს უფრო მიესადაგებოდა, ამაღლე-
ბულს ხდიდა, ამაღლებულს და იდუმალებით მოცულს. აქ, ახა-
ლი აზრი გამოიყეთა, — ბედისწერას ძებნა არ უნდა, თავად
გიპოვის! — გაიფიქრა...

მართლაც შეწყიტა ძებნა, მაგრამ ერთ საღამოს კინოში
შესულ სოსოს და ვაეს გვერდით სწორედ ინგა და მისი მეგო-
ბრები მიუსახდნენ. ვაეს ინგა გააცნეს, — თბილისიდან ჩამო-
სული ნათესავიაო, — უთხრეს.

ვაეს მოეჩვენა, რომ იგი ცნობისმოყვარე და ოდნავ დამფრ-
თხალი თვალებით იყორებოდა...

შუქი ჩააქრეს, ფილმი დაიწყო. ინდური ფილმი გადიოდა,
ტრაგიული სიყვარულის შესახებ. ეს ფილმი — „სანგამი“ ერქა
— სამუდამოდ დაამახსოვრიდა ვაეს.


ალაგ-ალაგ გვერდიდან გადახედავდა ინგას, რომელიც მისგან მესამე სკამზე იჯდა. ეკრანიდან არეკლილი შუქ-ჩრდილები თამაშობდა მის სახეზე და ვერ გაეგო ვაჟას, ეკრანიდან წამოსულ სინათლის ნაყიდს ირეკლავდნენ მისი, ფართოდ გახელილი, მუჭი თვალები თუ სულაც მისი თვალებიდან წამოსული სითბო და სილამაზე ანათებდა უზარმაზარ ეკრანს.

ტრადიციული სასიყარულო სამკუთხედი გათამაშდა ეკრანზე, აღმოსავლური, სენტიმენტალური ჰანგებით გაჩერებული. როდესაც სიუჟეტის განვითარებამ კულმინაციას მიაღწია და უდიდესმა სიყარულმა უდიდესი მსხვერპლი მოიხსოვა სიცოცხლის სახით, ინგას თვალებში ცრემლის კურცხალი გამოკრთა, რომელიც ორივე ლოგზე გადმოგორდა და ქვემოთ, ლამაზად მოყვანილ ნიკაპთან შეერთდა, ვაჟამ კვლავ გადახედა გოგონას და საოცრად მოუნდა თანაგრძენობის გამომხატველი ეს კამკამა და სპეტაკი ცრემლები მოეწმინდა მისთვის...

ფილმის დამთავრების შემდეგ, სოსომ და ვაჟამ გოგონები სახლამდე მიაცილეს. ვაჟა ბევრს ლაპარაკობდა ფილმზე, სიყარულზე, თანაგრძენობაზე. ამტკიცებდა, რომ — აღამიანის სიცოცხლეს მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ იგი ამაღლებული იდეალებით ცხოვრობს, სიყარულის ნიჭი აქვს და თავგანწირება შეუძლიაო.

— რა გინდოდათ არქიტექტურის სპეციალობაზე, თქვენ ნამდვილი ფილოსოფოსი ხართ, — უთხრა ინგამ გამომშვიდობებისას, მაგრამ ვაჟას არაფერი უპასუხია. ამის შემდეგ ხშირად დაიდოლინენ კინოში, დღისითაც ხვდებოდნენ ერთმანეთს, ხან ბაღში ისხდნენ და საუბრობდნენ, ხან კაფეში შევიდოდნენ.

ერთხელ ისე მოხდა, რომ ვაჟა და ინგა მარტო წავიდნენ კინოში. ინგა პირველად იჯდა ვაჟის გვერდით, რის გამოც ვაჟა დაიძაბა. ინგას სუნთქვაც ესმოდა და მის გულის ძეგრასაც გრძნობდა თითქოს. მძაფრისიუჟეტიანი ფილმი გადიოდა და, მაშინ, როდესაც ძალიან შემაშფოთებელი სცენა გათამაშდა, შემკრთალი ინგა, ინსტინქტურად, ვაჟის მხარზე მიეკრა. ვაჟამც მარცხენა ხელი მოპევია მხარზე, მარჯვენა ხელში კი მისი მარჯვენა ხელი მოიმწყვდია და ასე შეუქმნა უსაფრთხოების გარანტია.



წამით გაინაბა ინგა, მაგრამ მალე გაითავისუფლა თავი. ვარა გადაც ელდანაკრავივით გაუშვა ხელი. ფილმის დამთავრებამდე უხმოდ ისხდნენ. უხმოდ გამოვიდნენ გარეთ, ინგას სახლისკენ მიმავალ გზასაც უხმოდ დაადგნენ, უხმოდ იარეს სახლამდე.

ჭიშქართან შეჩერდნენ.

ვაეს გრძელი და ფილოსოფიური წინადადება პქონდა მოფიქრებული, მაგრამ ერთბაშად გადაავიწყდა.

— მიყვარხარ! — ძლიერ წარმოსთქვა ერთადერთი სიტყვა. ყველა სხვა სიტყვა, ყველა სხვა ბეგერა, რომელიც ქართულ ენაში არსებობს, ერთბაშად საღლაც გაებნა...

ინგამ ეშვაკურად შევანითა თვალები, მაგრამ არაფერი უთქვაშს. მერე, ერთბაშად, ლოყაზე აკოცა და ჭიშქარში სირბილით შევარდა...

ვაეს ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო.

სულ ინგასთან უნდოდა ყოფნა, მაგრამ ინგა ამას ორი მიზეზის გამო ვერ ახერხებდა. პირველი და უმთავრესი ის იყო, ინგას ბიძას, ვისთანაც ინგა სტუმრად იმყოფებოდა, ამ სიყვარულის ამბავი რომ გაეგო, ინგას აუცილებლად თბილისში დააბრუნებდა. მეორე მიზეზი კი მოახლოებული მისაღები გამოცდები იყო, რისთვისაც ინგა ემზადებოდა და მას სასეირნო და საფლანგავი დრო არ რჩებოდა, მაგრამ კვირაში ორ-სამჯერ მაინც ხელებოდა ვაეს, ხან კინოში მიღიოდნენ, ხან, უბრალოდ, გაისეირნებდნენ, ზოგჯერ კი მეგობრებთან ერთად დაბადების დღეზე ან რამე თავყრილობაზე თუ შეხედებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ როცა ცოტა ხნით მარტო რჩებოდნენ, ვაეს ინგას კოცნაც არასოდეს უცდია. კინოში ყოფნისას, ხელზე თუ მოკიდებდა ხელს, ან კინოდან გამოსული, ინგას სახლამდე რომ მიაცილებდა, გამომშეიდობებისას, მის პატია ხელს გულში ჩაიკრავდა და ცოტა ხანს იდგნენ ასე...

ინგას და ვაეს ახლო მეგობრებმა, სულ რამდენიმე აღამიანმა მაინც შეიტყო მათი სიყვარულის შესახებ. პროვინციაში ჩეარია ვრცელდება ჭორი.

ერთ საღამოს ინგამ ცოტა შორიდან დაიწყო საუბარი, ეტყობოდა, რომ რაღაცა მნიშვნელოვანი სათქმელი ჰქონდა, მაგრამ თქმა უძნელდებოდა. ბოლოს გამოუტყდა ვაკას, რომ მასზე დათო იყო შეფარებული და, მიუხედავად იმისა, რომ დათოს მიმართ ინგას აჩავითარი საპასუხო გრძნობა არ ჰქონდა, მას მაინც აწუხებდა ეს ამბავი, რადგან დათო რაიონში ცოტა მოხულიგნო ავტორიტეტივით იყო და მისი მხრიდან ამგეარი გრძნობის გამოვლენა ინგასთვის სულაც არ იყო სასიამოვნო ფაქტი, ვინაიდან, ინგას თქმით, მას მიაჩნდა, რომ ვაკა მისი პირველი და ბოლო სიყვარული იყო.

ვაკამ ჰქითხა, — რამე შეურაცხმყოფელი ხომ არ უკადრებია დათოს.

— არა, რა უნდა ეკადრებინა, — უპასუხა ინგამ, — უბრალოდ, მითხრა, რომ ვუყვარვარ და, როცა შემთხვევით საღმე შევხვდები, მის გადამეტებულ ყურადღებას ვვრძნობ, რაც არ მსიამოვნებს... ეს არის და ეს.

ვაკა დათიქრდა.

— მაშინ, შენც ნუ მიაყენებ შეურაცხმყოფას, ზემოდან ნუ დახედავ და ნუ აგრძნობინებ, რომ შენს შესაფერისად არ თვლი, — ურჩია, — აგრძნობინე, რომ არ გიყვარს, დასკვნა კი, დაეთვითონ გააკეთოს!

— ნამდევილი ფილოსოფოსი ხარ, — კვლავ გაიმეორა ინგამ ადრე ნათქვამი და გადაიკისკისა. თუმცა, ვაკას არასოდეს უფიშია ფილოსოფოსობაზე, იგი არქიტექტორობაზე ოცნებობდა და ეუფლებოდა კიდეც ამ პროფესიას... მალე ინგას თბილისში წასვლის დრო დადგა. მისაღები გამოცდები იწყებოდა.

ვაკას დასკვნების მთელი თვე ჰქონდა, მაგრამ სოფელში არ დარჩა. გადაწყიტა ინგასთან ერთად წასულიყო თბილისში და მისაღები გამოცდების დროს მისთვის მორალური მხარდაჭერა გამოეჩინა.

თბილისში სულ უფრო ნაკლებად ხედებოდნენ ერთმანეთს, მხოლოდ გამოცდების დღეებში, როდესაც ვაკა, ვაკეში, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის წინ შეკრებილ უამრავ ხალხთან ერთად იდგა, გამოცდებიდან გამოსულ ინგას შორიდან უყურებდა, რადგან ინგას მშობლები ელოდებოდნენ



და, ცხადია, მათთან ვერ გამოჩნდებოდა. თუმცა, იმას კი ჭირებული ხებდა შეეტყო, თუ რა შეფასება დაიმსახურა ინგამ.

მერე ბინაში ურკეავდა ინგას, შორიდან ეფერებოდა და მომდევნო გამოცდისთვის ახალისებდა.

ინგამ გამოცდები შესანიშნავად ჩააბარა და ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

აგვისტოს შუა რიცხვები იყო. სწავლის დაწყებამდე მთელი ორი კვირა ჩატარდა. ინგას მშობლებმა გადაწყვიტეს ეს პერიოდი სოფელში გაეტარებინათ და ინგაც თან წიაკვანათ.

სოფელში წასკვლის წინა საღამოს ინგამ მოახერხა ვაჟას ნახვა. რუსთაველზე გაისეირნეს, ლალიძის წყალი დალიეს, წიგნების მაღაზია „საუნჯეში“ შეიარეს და ახალგამოსული წიგნები დაათვალიერეს. ვაჟას ძალიან უნდოდა რამდენიმე წიგნის შეძენა, მაგრამ გადაითქმა, წიგნებით ხელში სად ვიაროო... მიწისქვეშა გასასვლელით ოპერის მხარეს გადავიდნენ და რუსთაველის თეატრის მიმართულებით გაუყინენ პროსპექტს. კინო-თეატრ „სპარტაკულა“ შეჩერდნენ. ახალი, ფრანგული სურათი გადიოდა და, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცხელოდა, მაინც გადაწყვიტეს კინოში შესვლა. ფილმი ნანახი არ ჰქონდათ, მაგრამ ინგამ უკეთ იცოდა, რომ ფსიქოლოგიური რომანის ეკრანიზება იყო, საღაც სიყვარულის მეტად უცნაურ ისტორიას გადმოსცემდნენ. მთელი ქალაქი ამ ფილმზე ლაპარაკობდა და შესასვლელი ბილეთის შოვნა თითქმის შეუძლებელი იყო. ახლაც უამრავი ხალხი იჩეოდა საღაროსთან. რიგში დგომა უაზრობა იყო, რაღაც ამდენ მაყურებელს „სპარტაკის“ მომცრო დარბაზი ვერ დაიტევდა. ინგამ უიმედო მზერა შევლო ვაჟას.

— ძალიან გინდა ფილმის ნახვა? — შეეცოდა ვაჟას.

— ძალიან მინდა, მაგრამ თუკი ბილეთს ვერ ვიშვიოთ... — ინგას მოკლედ შეკრილ თმებზე კიკინები ეკეთა, წინ ჩამოშლილი მუქი წაბლისფერი თმები წარბებს უფარავდა და ისე ჩანდა, თმების და თვალების ფერი განვებას თითქოს საგანგებოდ შეუხამებია ერთმანეთის სოფელი.

— ცოტა ხანს აქ მოიცალე, — უთხრა ვაჟამ და საღლაც გაუჩინარდა.

ათიოდე წუთის შემდეგ მობრუნდა, ხელში ორი ბილეთი ეჭირა. ინგამ ტაში შემოჰკრა.

— საიდან? — ჰეითხა.

— განა აჩებობს ძალა, რომელიც წინ დამიდგება, როდესაც საქმე შენს სურვილს ეხება? — გახარებული იყო ვაჟა, ინგას სურვილი რომ შეასრულა...

კინოს დარბაზიდან გამოსულები კარგ ხასიათზე იყვნენ. ფილმის დეტალებს აანალიზებდნენ, აზუსტებდნენ და, ერთმანეთთან ყოფნით ბედნიერები, რუსთაველის გამზირს მიჰყებოდნენ. სამხატვრო გალერეას ჩაუარეს და ალექსანდროვის ბალისენ ჩაუხვიეს.

მოსალამოვდა, ბაღში სუსტი ნიავი იგრძნობოდა და აგვასტოს ხვატი უკან იხევდა. თავისუფალი სკამი მოძებნეს, ჩამოსხდნენ.

— ხვალ სალამოს სოფელში მივდივართ, — თქვა ინგამ.

— რაა? — გაუკირდა ვაჟას, — როგორ თუ სოფელში მიღიხართ, სიების გამოქვეყნებას არ ელოდებით?

— არა, მაღალი ქულები მივიღე, ისედაც ვიცით, რომ ჩარიცხული ვარ. მამაჩემს არ დაუსვენია, ახლა შვებულება აიღო და გადაწყვიტა, რომ ეს ორი კვირა სოფელში გავატაროთ.

ვაჟა მოღუშული სახით იჯდა და ხმას არ იღებდა, მას არ შეეძლო სოფელში წასვლა, რადგან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლის პარალელურად, უნივერსიტეტში, ფილოსოფიის ფაკულტეტზე ჩაბარება და სწავლა გადაწყვიტა. ფილოსოფიისკენ მიღრეკილი ყოველთვის იყო, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება ინგას ნათქვამის შემდეგ მიიღო — შენ ფილოსოფოსი ხარო. ამას ინგას არ უმხელდა. ჯერ ერთი, ეს ამბავი სიურპრიზიად უნდოდა. მეორეც, ვათუ ვერ ჩავირიცხო და გავწილდეო. მას ჯერ კიდევ ორი გამოცდა ჰქონდა ჩასაბარებელი და სოფელში, რა თქმა უნდა, ვერ წავიდოდა. ინგას სიმირთლე არ გაუმხილა და, ერთბაშად რაც მოიფიქრა, ის უთხრა: — არქიტექტურის თეორიაში დავალება გვაქვს შესასრულებელი. თბილისის ათი არქიტექტურული ძეგლის სიტყვიერი აღწერილობა უნდა წარვადგინო პირველსავე ლექციაზე. ეს, აღბათ, საქმაოდ შრომატევადი საქმე იქნება და პირველ სექტემბრიამდე

დარჩენილი დღეები სწორედ ამას უნდა მოვახმაროთ.

ინგა კიდევ რაღაცას ეყითხებოდა, მაგრამ ვაჟამ ერთხაშად მოიწყონა და ხმას აღარ იღებდა.

— რას ჩამოუშეი ცხვირი, ორი კვირა ხომ უცებ გაიჩნების?..

— კისკისებდა ინგა, ერთმანეთზე მიწყობილ, ქათქათა კბილებს აჩენდა.

ვაჟაც ცდილობდა გარეგნულად არათერი შეემჩნია, მაგრამ ისე შეეტა კრიჭა, რომ ხმას ვერ იღებდა. თავის თავზე ბრაზობდა. — ინგა რა შუაშია? — ეყითხებოდა საყუთარ თავს, — მშობლებმა ასე გადაწყვიტეს, ინგა ხომ არ გაუწევდა წინააღმდეგობას? — ფიქრობდა, მაგრამ პირზე თითქოს კლიტი დაადესო, რაღაცა თუ ვიღაცა არ აძლევდა ხმის ამოღების საშუალებას.

ინგა იცინოდა, მხიარულობდა, ხან გამოაჯავრებდა ვაჟას, ხან დაუჭავებდა, მაგრამ ვერ იქნა და ხმა ვერ ამოაღებინა.

— წავიდეთ! — უხეშად და ბრძანების კილოთი ნათქვამი გამოუვიდა ვაჟას ეს ერთადერთი სიტყვა, რომელიც ძლივს ამოღერლა და სკამიდან წამოდგა.

ვაჟას უხალისო განწყობა მაღლე ინგასაც გადაედო და, როდესაც იგი ვაჟამ სახლამდე მიაკილა, დამშვიდობება იმდენად ნაძალადევი და უსიამოვნო იყო, ორივეს ეგონა, რომ იმ დღეს ყვლაფური დამთავრდა და ერთმანეთს აღარისოდეს ნახავდნენ...

მეორე დღეს, ვაჟას ინგა არ მოუკითხავს. რა თქმა უნდა, არც ინგას მოუკითხავს ვაჟა.

სალამოს ათ საათზე ინგას მატარებელი გადიოდა. ცხრა საათზე ვაჟა ბაქანზე გავიდა. მას არ უნდოდა ინგასთან შეხვედრა, უბრალოდ, სურდა ერთხელ კიდევ შორიდან მაინც მოექრა მისოვის თვალი. ოღონდ, ინგას არ უნდა დაენახა ვაჟა. მას არ უნდა სცოდნოდა, როგორ იტანჯება იგი. ინგამ არ უნდა იცოდეს, თუ როგორ დაკარგა თავმოყარეობა ვაჟამ და, საღვურში, როგორ უთვალთვალებს ინგას შორიდან. ვაჟამ იცოდა, რაღაცას მიუღებელსა და დამამცირებელს რომ სჩადიოდა, მაგრამ სხვაგვარიდ მოქცევაც არ შეეძლო. სული ეხუთებოდა, ხელ-ფეხი ეკვეთებოდა, ფულში კი თითქოს ვიღაცის უხეში და ტლანქი ხელები უჭირდა და ახრჩობდა. მას აუცილებლად უნდა

ენახა ინგა, თუნდაც, შორიდან, თუნდაც, ცალი თვალით... უნდა ენახა მისი ლამაზი სილუტი, უნდა ენახა მის მოხდენილ ფეხს როგორ შედგამდა ვაგონის საფეხურზე, როგორ გაიფრიალებდა მისი ლამაზად მოჩითული კაბის კალთა და როგორ გაუჩინარდებოდა ვაგონის კარებთან მოფუთფუთე აღამიანებს შორის. უნდა ენახა მატარებელი, რომელიც დატოვებდა თბილის და თან წაიყანდა იმას, ვის არსებაშიც სამუდამოდ გაითქმითა ვაეს ცხოვრების საზრისი. წავიდოდა იგი, თან გაიყალებდა ვაეს სულსა და გულს, თვითონ ვაეა კი დარჩებოდა ამ უდაბნოსა და სიცარიიელები, თვითონაც გაუდაბურებული და გამოცარიიელებული...

რა იქნებოდა მერე?

ეს არ იცოდა ვაეამ, ახლა მხოლოდ ერთი რამე იცოდა, რომ ერთხელ მაინც შეავლებდა თვალს ინგას და სხვას აღარაფერს დარდობდა. ცხოვრების მიზანი თუ ცხოვრებაზე ნაოცნებარი სხვა ყველაფერი, ახლა, ამ ერთ სურვილამდე დავიდა და არ არსებობდა ძალა, რომელიც ამ სურვილის შესრულებაში მას წინ აღუდგებოდა. — რომელი თავმოყვარეობა და რომელი ღირსების გრძნობა? მიმიფურთხებია ყაველივესთვის, — კი არ ამბობდა, გაპკიოდა ვიღაცა მის არსებაში და, ცოტა ხანში იგი უკვე ბაქანზე იდგა. მატარებელი ახალი ჩამომდგარი იყო. ბაქანზე უამრავი მგზავრი ირეოდა, ათასნაირ ფუთებს და მძიმე ჩემოდნებს მიათრევდნენ. სატვირთო ურიკებით დაატარებდნენ ერთმანეთზე შეწყობილ ბარეს.

— გაგვატარეთ, გაგვატარეთ! — იძახდნენ მუშები და მძიმე ურიკებით ოსტატურად უვლიდნენ გვერდს მგზავრებს, რომლებიც ღეხებში ებლანდებოდნენ.

ვაეა წინა ვაგონებისკენ გაეშურა. იქ ერთი ჯიხური იდგა, გამაგრილებელ წყლებს და ბუტერბრიოდებს ყდიდნენ. იმ ჯიხურს ამოეფარა, სიგარეტს მოუკიდა და გააბოლა. წინ ორიოდე ვაგონი იყო დარჩენილი, ბოლოსკენ კი გრძლად გაწოლილი მთელი შემადგენლობა ჩანდა.

უამრავ ხალხში ინგას და მისი მშობლების გარჩევა, თან დამის შეზე, უთუოდ გაუჭირდებოდა, მაგრამ სამალავიდან გამოსვლაც არ უნდოდა, ვაითუ ერთბაშად გადაპყროდა ინგას.

ქურდობასა თუ კილევ უფრო საძრახ საქმეში წასწარება არ იქნებოდა ამ ქურდულ თვალთვალში წასწარებასთან შედარებით. რატომლაც ეგონა, რომ ვერც ინგა და ვერც სხვა რომელიმე ადამიანი ვერასოდეს გაიგებდა იმას, თუ რატომ მოვიდა იგი აქ, რა ძალამ მოიყანა, ან რას ნიშნავდა მისთვის ინგასთვის თვალის ერთი შევლება.

ამ მძიმე ფიქრებსა და მდგომარეობაში მყოფი იდგა იგი ჯიხურს ამოფარებული. სახეზე ალექსილი იყო, თვალები ამღვრეული ჰქონდა და სიგარეტის ხშირი ნაფაზებით ცდილობდა გარეგნული სიმშვიდის შენარჩუნებას.

უცებ, ისე ახლოს და ისე ერთბაშად გამოეცხადა ინგა, რომ ეგონა დამინახაო. გაშტერებულივით იდგა, ინგა მისკენ იყურებოდა და თითქოს გაოცებული ეკითხებოდა თვალებით, — აქ როგორ გაჩნდიო. კინაღამ გამოვიდა სამალავიდან, მაგრამ მიხედა, რომ ინგა მას ვერ ხედავდა, რადგან სწორედ ვაუს თავს ზემოთ იდგა მძლავრი პროექტორი, რომელიც მთელ ბაქანს ანათებდა. თვითონ კარგად ხედავდა ინგას, მაგრამ ინგას პროექტორი ანათებდა თვალებში და ყულაფერი ის, რაც პროექტორის მხარეს იყო, მისთვის სიბნელით მოცული რჩებოდა. გულზე მოეშვა. ამაზე უკეთესად ინგას ნახვის სხვა თეორიული ვარიანტიც არ არსებობდა. ინგას მსუბუქი ხელჩანთა ეჭირა და დედამისის გვერდით მოდიოდა. უკან ინგას ძმა მოპყებოდათ, ხოლო ინგას მამა უკვე ვაგონის გამცილებელთან იდგა ბილეთებით ხელში. ხალხმრავლობის გამო ვაგონთან კარგა ხანს შეყვანდნენ. ინგა დედამისს ელაპარაკებოდა, მაგრამ პარალელურად, ხან მამამისს, ხან ძმას რაღაცას გადაულაპარაკებდა, თუმცა მისთვის დამახასიათებელი სიცილ-კისკისი აღარ ისმოდა მის ბაგეთაგან. მოწყვნილი ეჩვენა ვაუს, დალლილი და მოწყვნილი.

მერე მოვიდა მათი რიგიც, გერ ინგას დედა ავიდა ვაგონში, მერე ინგამ ზუსტად ისე მოხდენილად შედგა მისი პაწია ფეხი ვაგონის კიბეზე და ზუსტად ისე გაიფრიალა მისმა კაბის კალთამ, როგორც ვაუს წარმოიდგინა წელან. მერე ძმა ავიდა, ბოლოს — მამამისი, და ყულანი ვაგონის სილრმეში გაუჩინარდნენ.

ვაჟა კვლავ გიხურთან იდგა, ვინ იცის, მერამდენე სიგანეტი
აბოლუბდა და უაზროდ იყურებოდა ვაგონისკენ.
„მატარებელი თვლემს, როგორც ლავა,
მატარებელი ხუთ წუთში გავა...“

გალაკტიონსაც უსაფარლეს ადამიანს ართმევდა ლავასავით
მთელემარე მატარებელი და ვაჟასაც უსაფარლეს ადამიანს მო-
სტაცებდა იგივე მატარებელი, რომელიც ხუთ წუთში გავიღო-
და ბაქნიდან...

ერთბაშად იგრძნო, თუ რა განუზომლად მძიმე ყოფილა
გალაკტიონის ხევდრი და განცდები. იმასაც მიხვდა, რომ რაღა-
ცის ზედმეტად დრამატიზება მოახდინა და გადაამლაშა. იქნებ
ლირდა კიდეც, გამოსულიყო სამალავიდან, ასულიყო ვაგონში
და ინგასთვის ეთქვა, — ნახვამდის ინგა, ორიოდ კვირაში გნა-
ხავ, მაპატიე, რომ ცუდად მოვიქუცი, მიყარხარ! — ჰო, იქნებ
ასეც მოქცეულიყო, რადგან სიჭარულის მტანჯველი ქარ-ბო-
რბალა უქრიოდა თავში და გუნება-განწყობა მარტის ამინდი-
ვით ეცვლებოდა. განა იცოდა, რა ეწყონა ინგასგან, რატომ
გადაწყიტა, რომ სამუდამოდ შორიდებოდა მას, რა მიზეზი და
რა საფუძველი ჰქონდა ამისთვის? არაფერი, გარდა იმისა, რომ
უსაზღვრო სიჭარულსა და ლტოლვას ვერ იტევდა გული და
როგორც ადულებული მაჭარი გაღმოხეთქვას ქვევრიდან, მისი
არსებილანაც გარეთ იღვრებოდა უნაპირო გრძნობა...

ჰო, იქნებ მისულიყო კიდეც ინგასთან, მაგრამ, ამ დროს,
ელმავალმა დაიკიდლა და ერბაშად შეჯანჯლარებული შემადგე-
ნლობა ნელა გასრიალდა.

ვაჟა გაუნძრევლად იდგა, ვიდრე ბოლო ვაგონი არ მიეფარა
თვალს, იდგა, ვიდრე ლიანდაგებზე ფოლადის ბორბლების ხა-
თქა-ხუთქი ისმოდა და მერეც კარგა ხანს იდგა...

„ინგა, რა ვქნა, როგორ მოვიქცე, რა გავაკეთო? — ასე
დაიწყო ბარათი, რომლის წერასაც იმ ღამეს სახლში მიბრუნე-
ბული შეუდგა, — არ ვიცი, როგორ ვიძოვო გამოსავალი ამ
წყვდიადიდან, რით შემიძლია მივაღწიო იმას, რომ წყე-
ნის კვალი აღარ დარჩეს ჩვენში.

ახლა ვუკვირდები ჩემს საქციელს, ეს ჰომ ნამდვილი
ბალლობა და უპატიებელი თავქარიანობაა.

რატომ დავრჩით ნაწყენი? მე არ შემიძლია მივაგნო რაღაც ობიექტურ, რეალურ მიზეზს ამ ნაწყენობისა, ვფიქრობ, რომ მაგ ნაწყენობას ვერც შენ უპოვი... (აქ სიტყვა „შენ“ გადაშალა და დაწერა „თქვენ“), ვერც თქვენ უპოვით რამე ობიექტურ მიზეზსა და გამართლებას.

ძნელია ჩემი განცდები თქვენ გაგაგებინოთ.

ხვალიდან უნდა ვიარო ქალაქში და საუკეთესო არქიტექტურული ძეგლები შევარჩიო, რათა მათ შესახებ ნარკვევები დაგწერო. გეკითხებით, როგორ, რანაირად შევძლო ეს, როდესაც ამა თუ იმ შენობაზე, ამა თუ იმ არქიტექტურულ ძეგლზე ვამოქანდაკებულ ანგელოზებში მე მხოლოდ თქვენს სახეს ვჭვრეტ, როდესაც ნებისმიერ ჰარმონიაში მე მხოლოდ თქვენი სახელი ჩამესმის?

ერთი სათხოვარი მაქვს, ინგა.

იმ ადამიანს ნუ ჩააყენებთ ისეთ მდგომარეობაში, რომ თავი დამცირებულად იგრძნოს, ნუ აიგდებთ მასსრად. ის თქვენგან წესიერ და თავაზიან სალამსაც დასჭრდება. თქვენი ავტორიტეტი თქვენს ქცევაზეა დამოკიდებული. ნუ დახედავთ მას ზემოდან. წაქცეულს არ სცემენ. ის ისედაც წაქცეულია, შეეცადეთ, ისე მოექცეთ მას, რომ აბუჩად აგდება არ გამოგივიდეთ. თქვენ ჩემთვის ენით აუწერელი ბედნიერება ხართ. შევეცადოთ, რომ ჩვენი ბედნიერება სსკისი უბედურების სათავე არ იყოს.

როგორც დადებით, ახევე უარყოფით განცდას აქვს ორი ფაზა. ფაზა განვითარებისა და კულმინაციისა და ფაზა შენელებისა და დაცნებისა. როგორც იტყვიან ხოლმე, უველა აღმართს დაღმართი მოსდევს. განვიხილოთ მდგომარეობა დედისა, რომელსაც შვილი დაეღუპა და მდგომარეობა დედისა, რომელმაც შვილი იმში დაკარგა, მაგრამ დაღუპვის შესახებ ცნობა არ მოსვლია.

დედას, რომელსაც შვილი დაეღუპა, სული ეწვის, იგი სიკვდილს დაეძებს, რადგან გაუსაძლისია მისი მწუხარება, რომელიც ზენიტს აღწევს... რა ხდება მერე? გადის დრო და მწუხარება ამ კულმინაციური წერტილიდან დაშვებას იწყებს, დედა უბრუნდება ცხოვრებას.

ხოლო იმ დედის მწუხარება, რომელმაც შვილი იმში დაკარგა, მაგრამ მისი დაღუპვის ცნობა არ მიუღაა, კულ-მინაციას ვერ აღწევს. მას არა აქვს საფუძველი სიკვდი-ლი ეძებოს, რადგან არ იცის შვილის ბედი. ასეთ შემთხ-ვევაში რა ხდება? ამგვარ მდგომარეობაში მყოფი დედის მწუხარება, რადგან მან კულმინაციას ვერ მიაღწია, და-ბლაც არ ეშვება და იგი მწუხარების, მართალია, არა კუ-ლმინაციურ, მაგრამ მაინც მაღალ დონეზე რჩება. მისი მდგომარება, საბოლოო ჯამში, უფრო რთულია და მტან-ჯველი, ვიდრე მდგომარეობა დედისა, რომლის მწუხარე-ბამ უკვე მიაღწია კულმინაციას და ამ მაღალი წერტი-ლიდანაც დაბლა დაეშვა.

დასკვნა შეიძლება ამგვარი იყოს: განცდას, რომელიც აპოგეას აღწევს, დრო აშუშებს, მაგრამ უკულმინაციო განცდას დროც ვერ შველის.

გადმოვიტანოთ ეს მდგომარეობა იმ ადამიანზე და მი-ვნევდებით, რომ მან უნდა გააცნობიეროს თქვენდამი მისი გრძნობების სრული უპერსპექტივობა, თუმცა, ეს არ უნდა იყოს მისთვის შეურაცხმულფელი და დამთრგუნავი.

ამ საკითხზე მეტი ლაპარაკი არ მსურს!

ჩემი სურვილია და თქვენი სურვილიც ალბათ ასეთი იქნება, — გადავხაზოთ ჩემი ურთიერთობის ის ფურცე-ლი, რომელიც ნაწყენობის ლაქამ დასვარა. გადავუსვათ მას დიდი ჭვარი, რაც მისი გაუქმებულობის მაუწყებელი იქნება და უველავერი სუფთა ფურცლიდან დავიწყოთ იმ იმედით, რომ მასზე არასოდეს გაჩნდება არც ერთი, თუნდაც, სრულიად უმნიშვნელო ლაქა.

ბატივისცემით, ვაჟა გოროზია“.

3 აეამ დარჩენილი ორი გამოცდაც ბრწყინვალედ ჩააბარა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფა-კულტეტის სტუდენტი გახდა.

ინგასთვის ეს სიურპრიზზე მეტად გაოცების საგანი გახდა.

მათი პირველი შეხვედრა უკვ სტუდენტების შეხვედრა იყო. ახლა უფრო თამამად და თავისუფლად შეეძლოთ ერთმანეთის ნახვა, ვინაიდან ერთი უნივერსიტეტში სწავლობდა, მეორე პუ-შეინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, უნივერსიტე-ტიდან ზუსტად ერთი გაჩერების დაშორებით.

ინგა თავიდანვე ატყობდა, რომ ვაერა საქმაოდ მძიმე ხასიათის იყო, თუმცა, ამას მათ შორის არსებული საჟობრივი სხვაობით ხსნიდა, ვაერა ხუთი წლით უფროსი იყო ინგაზე, რაც იმ ასაქში, რა ასაქშიც ისინი იყვნენ, საქმაოდ დიდი განსხვავებაა.

ინგას ეგონა, რომ ვაერა სენტენციებით საუბარი, დამრიგებლური პოზიცია და დიდაქტიკური დამოკიდებულება სწორედ ასაკის ბრალი იყო. მან მაშინ არ იცოდა, რომ ვაერა ბუნება იყო ლიდერის ბუნება, მისი ხასიათი იყო წინამძღოლის ხასიათი, მაგრამ ეს არ იყო, ასე ვთქვათ, უპასუხისმგებლო ლიდერობა და წინამძღოლობა. იგი წინამძღოლი იყო, მაგრამ მოტივირებული წინამძღოლი, რომელიც პასუხისმგებლობის მაქსიმუმს იღებდა საკუთარ თავზე.

მიუხედავად ამისა, ურთიერთობაში პრობლემები არ ჰქონდათ, ინგა გრძნობდა, რომ ვაერა სიკუარული არ იყო მეტის მიღების სურვილით და ეგოისტურით დეტერმინირებული. ვაერა სიკუარული ეს იყო მეტის გაცემის, უფრო სწორად, ყველაფრის გაცემის, ყველაფრის დათმობის სურვილით იღმრული გრძნობა, რომელიც თავისი ბუნებით, თუ შეიძლება ასე ითქვას, აღტრუისტული იყო. იგი უშურველად გასცემდა ამ საღვთო გრძნობას და საპასუხოდ მხოლოდ იმას ითხოვდა, რომ მისი ეს უზენაესი შთაგონება და ხელოვნების რანგში აყვანილი სისა-თუთე შეუმჩნეველი არ დარჩენილიყო.

ასეთი მაღალი გრძნობა აღამიანის სხვა მისწრაფებებს მოადუნებს ხოლმე, რადგან იგი ყურადღებას მაქსიმალურ კონცენტრაციას ერთი მიმართულებით ახდენს და აღამიანის სული-ერი რესურსის თითქმის მთელი მარაგი და ენერგია მიიღეს, მაგრამ ვაერა შემთხვევაში ეს მთლად ასე არ ყოფილა. იგი სწავლას მოწყურებული იყო, რადგან ღრმა ინტუიციური წვდო-მის ნიჭით იყო დაჭილდოებული და ცდილობდა, რომ რასაც ინტუიციურად გრძნობდა და ხელებოდა, ცოდნით, ფაქტებით

და ლოგიკით ჭითილიყო განმტკიცებული.

შესანიშნავი პედაგოგების ხელში აღმოჩნდა და მთელი მონდომებით დაწაფა კიდეც ცოდნას. პირველი ანუ ბერძნული ფილოსოფიის გიგანტებთან ახლოს მისვლის საშუალება მიეკა და შემთხვევას ხელიდან არ უშევებდა, რომ აზრის, გონიერის ამ ფანტასტიკურ სამყაროში, რაც შეიძლება ღრმად შექრილიყო არა მარტო მოსწონდა, არამედ მთელი არსებით შეიყარა კი დეც ეს უცნაური გენიოსები, რომელთა ნააზრევი მთელი სამზადას წლის განმავლობაში იმდენად ხიბლავდა, იმდენად ზრდიდა კაცობრიობას, რომ მათ დიდებულ შემოქმედებას ცივილიზაციის აკვანი უწოდეს.

იმ სამყაროდან უკლებლივ ჯელას ეკუთვნოდა ვაჟას აღტაცება და თაყვანისცემა, მაგრამ ღმერთად მაინც არისტოტელი მიიჩნია, რომელმაც აზროვნების მექანიზმები ასწავლა კაცობრიობას და ლოგიკის ისეთი ფასდაუდებელი სისტემა შექმნა, მთელი შემდეგი ეპოქების აზროვნებასა და გონიერის ნაყოფის უმტკიცეს ფუნდამენტად რომ გვივლინება.

ვაჟა არა მარტო მიპყებოდა ლექციათა კურსს, არამედ ხშირად ცდილობდა გაესწრო კიდეც. იმ წლებში მოახერხა და წაიკითხა მხატვრული აზროვნების გიგანტებიც და მიხედა, რომ აზრი, გონიერი იმდენად რთულია, მის გამოსახატავად მხოლოდ ფილოსოფია ვერ იქნება საქმარისი, სამყაროთა და მოვლენათა მხატვრული დანახვა და ასახვა, ესაა აზროვნების უნიკალური სფერო, რომელიც ფილოსოფიის თითქოს ათავისუფლებს ფილოსოფიური სიმძიმისგან და აზრის სამყაროს სახეთა და პერსონაჟთა სამყაროში გადმოყანით აზრის, გნოსეოლოგიურ თავისთავადობასთან ერთად, იმგვარ ინტოლოგიურ სიცოცხლესაც ანიჭებს, რომ არა მარტო ალაპარაკებს, ამოქმედებს კიდეც...

მის ცნობიერებაში ჭაველდღიურად შედიოდა სინათლის სულ ახალ-ახალი ნაკადი და ის, რაც, სტუდენტობამდე, მხოლოდ მასალა იყო, მხოლოდ შესაძლებლობა და პოტენცია იყო, თანდათან მოაზროვნე ადამიანად, მაღალ ინტელექტუალად ჭალიბდებოდა.

გაფაციცებული ეძებდა პასუხს კითხვებზე — ვინ ვარ მე? რა არის ადამიანი? სად არის ღმერთი? რაა სიკეთე? რაა ბოროტე-



ბა? რისთვისაა ეს ყელაფერი? რაა დანიშნულება? რა არის საზრისი? სად არის კეშმარიტება? როგორ მიიღწევა იგი?

გაოცებული მიიწევდა წინ. ფილოსოფიაში, აზრის საუფლოში თანხმობა და პარმონია კი არ სულევდა, ბრძოლა და ჭიდილი იყო, მეტიც, სრულ ქაოსსა და გაუგებრობას მოეცვა იქაურობა.

— იდეა, სული, გონება წარმართავს ყელაფერს, იგია მარადიული და მატერია მისი თვისებაა მხოლოდ, — ამბობდნენ ერთი.

— მატერიაა მარადიული და უცვლელი, ყოვლის დასაბამი და საწყისი, ყოველივე დანარჩენი მატერიის თვისება და გამოვლინებაა მხოლოდ, — ამტკიცებდნენ მეორენი.

— უზენაესი შემოქმედისგან, ღმერთისგან გვეძლევა ყელაფერი, — ამტკიცებდნენ მესამენი.

— განვითარებამ, ევოლუციამ, დაპირისპირებულთა ერთიანობამ და ბრძოლამ, უარყოფის უარყოფამ, რაოდენობრივი ცვლილების თვისებრივში გადასცლამ შექმნა ყოველი, — გაიძნენ სხვები.

რომელ აზრს, რომელ თვალსაზრისს უნდა მიჰყედლებოდა, არ იცოდა, გაოგნებული და გაოცებული მიიწევდა წინ და ადრე დასმულ კითხვებს გზადაგზა ახლებიც ემატებოდა.

— რამ შექმნა ეს ყელაფერი, ან რა გადაარჩენს მას?

— შრომამ შექმნა ადამიანი! — კატეგორიული იყო პასუხი.

— სილამაზე იხსნის სამყაროს! — არანაკლებ იმპერატიული იყო სხვა პასუხი.

ამ წინააღმდეგობათა, ბრძოლათა და ჭიდილთა ისტორიის შესწევლისა და განალიზების პროცესში ყალიბდებოდა მისი მსოფლმხედველობა, ყალიბდებოდა პიროვნება — მოაზროვნე და შემოქმედი.

●

კ ურსზე უკვე არაფორმალური ლიდერი იყო. ამას, მის ხისი ათთან ერთად, ისიც უწყობდა ხელს, რომ, რადგან ჯარგამოვლილი იყო, თანაც, ერთი წელი პოლიტექნიკურ ინსტიტუ-

ტში „დაკარგა“, ასაკითაც ყველაზე უფროსი იყო. სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის გამო-ერთგვარი მოსამართლის ფუნქციის ასრულებდა. ჩამე თუ გასარჩევი და გასარკვევი შეიქმნებოდა, ვაკის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ვაკის ერთი თვისებაც ჰქონდა. მრავალმხრივი იყო. მას შეუძლო მთელი შინაგანი რესურსის კონცენტრირება ერთი მიმართულებით, მაგრამ ცხოვრების სხვა ასპექტებს ბოლომდე როდი ძეცვედა ზურგს. პირველ კურსზე ყურადღება მთლიანად სწავლისკენ ჰქონდა გადატანილი, თითქმის მთელ დროს უნივერსიტეტისა და საგარიო ბიბლიოთეკებში ატარებდა, მაგრამ ინგანთან შეხვედრასაც ახერხებდა, თანაკურსელებთან შეკრებებსაც იშვიათად აცდებდა და, სუფრა და დროსტარებაც არასოდეს გამორჩებოდა.

სესიები ბრწყინვალედ მოილია. ყველა გამოცდაში ფრიადი მიიღო და კურსზე ლიდერის ავტორიტეტიც საბოლოოდ განიმტკიცა...

ინგაც კარგად სწავლობდა, ეს საოცრად ჰაეროვანი და ნატიფი გოგო, მათემატიკის მაღალ ნიჭისა და ალლოს იჩენდა და, თავად საოცრად პოეტური ემოციების გამომწვევი არსება, მშრალ მათემატიკურ ფორმულებში, სრულიად არაპოეტურ ლოგარითმებსა და ალგორითმებში თავს შესანიშნავად გრძნობდა. მათი ურთიერთობა, ძველებურად, რომანტიკულ-ტრადიციულ ჩარჩოებში თავსდებოდა და ვითარდებოდა...

უკვე მეორე კურსზე იყვნენ.

ვაკის უნდოდა, რომ მისი და ინგას სიყვარულის შესახებ მეგობრებსაც სცოდნოდათ...

პრილის პირველი რიცხვები იყო. ზამთარმა საბოლოოდ აიკრა გუდა-ნაბადი. გაზაფხულის თბილი დღეები ერთმანეთს წაეწყო და ცხოვრებას ხალისი შესძინა.

ვაკამ კურსელებს ექსკურსიაზე წასვლის ინიციატივით მიმართა, რასაც, ბუნებრივია, ყველა მოწონებით შეხვდა.



ექსკურსიისთვის ადგილი შეარჩიეს — საგურამო, დეკულტურული თეატრის — 14 აპრილი. 1968 წლის 14 აპრილი, კეირა დღე.

ვაკეამ ინგან სოხოვა, — შენი ოჯახის რომელიმე წევრი წამოიყანე და ჩემს კურსთან ერთად ექსკურსიაზე წამოდიო. ინგა დათანხმდა. ვაკეან ერთი უცნაური თვისება ჰქონდა. რომელიმე გამორჩეული დღის წინა ღამეს იმდენად მოეძალებოდა ემოცია, რომ ვერ იძინებდა. დღიდი წვალების შემდეგ თუ ჩაეძინებოდა, უთავბოლო სიზმრები და კოშმარული ჩვენებები ტანგავდა, მაგრამ მეორე დღეს, როგორც წესი, თავს გამოძინებულად და ფხიზლად გრძნობდა.

ექსკურსიის წინა ღამესაც ასე მოხდა. დიდხანს იწრიალა ლოგინში და გამოენისას ჩაეძინა...

გასულ ზაფხულს ნანახი სიზმარი განმეორებით ნახა, ოლონდ, ახლა ბეჭვის ხიდზე არ გაუვლია, სადღაც ვიწრო და დაკლაკნილ ბილიკზე გამოეყიდა შავი ხარი. თავდალუნული და ჩასისელიანებული თვალებით მისდევდა და გზაზე მტკრის კორიანტელს აყენებდა. გარბოდა ვაკეა, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ გზიდან გადახვევა არ უდიდა. მისდევდა ვიწრო ვზას და მისდევდა ხარი უკან. კიდევ უფრო უცნაური ის იყო, რომ ხარს, რომელიც მის ზურგს უკან იყო, ცხადად ხედავდა. შავი ბალანი ულაპლაპებდა ხარს. წინა ფეხები უკანა ფეხებზე მოკლე ჰქონდა, ღონიერ და ჩასქელებულ ფეხებზე თითქოს ჩეინის ჩლიქები აქვსო, ქეებზე დარტყმისას ნაპერწკლები სცვიოდა.

აგრე, წამოეწევა სადაცაა, რქები დაიგრძელა ხარმა. შემობრუნდა ვაკეა სახით ხარისკენ და... თვალები აღარ ჰქონდა ხარს, უზარმაზარი პროექტორი უბრიალებდა შუბლზე, რომლის შუქმა დააბრმავა ვაკეა, წამოპერა ფეხი ქვას და დაეცა გულალმა.

მუხლებზე დაპერა ორივე ჩლიქი ხარმა და დაუმსხვრია მუხლისთვები. იყვირა მთელი ხმით ვაკეამ და გამოეღვიძა, წამოვარდა ზეზე... კანკალებდა ერთიანად და სდიოდა ოფლი. ფეხებს თითქოს დანით უსერავენო, სტკიოდა საშინლად. აღრენანახი სიზმარი გაახსენდა და გამოუცნობმა მისტიკურმა შიშმა აიტანა.

ადგა, ძლივს აღვამდა მტკიცან ფეხებს, ტეხავდა მუხლებში, შუქი აანთო და ოთახში მიმოიხედა, შავი საგნების სიმრავლე უცა თვალში — შავი სავარძელი, შავი ჩემოდანი, შავი კომლი... ყოველ საგანს შავ ხარს ამსგავსებდა და გული გამალებით უცემდა, მაგრამ აიყვანა თავი ხელში და აკანქალებულ სხეულს დაწყნარდიო, უბრძანა... მამალმა დაიყველა სადღაც. ფანჯარაში მომზირალი წყვდიადი გაძაცდა და გაფერმურთალდა...

თენდებოდა,

დაძინება ალარც უცდია...

უნივერსიტეტის პირველსა და მეორე კორპუსს შორის შეგროვდნენ. ინგას უმცროსი ძმა მოჰყვა, რეზო. ვაჟამ კურსელებს გააცნო ისინი და დაიძრნენ საგურამოსკენ.

ექსკურსია ჩვეულებრივად მიმდინარეობდა. დაათვალიერეს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. მერე სუფრის გაშლა დაიწყეს, მაგრამ ვიდრე გოგონები ამ თავიანთ ტრადიციულ მოვალეობას შეასრულებდნენ, ვაჟებმა ფეხბურთის თამაში გადაწყვიტეს. ვაჟა, როგორც ყოველთვის, ამ საქმესაც ხელმძღვანელობდა. ორ, თანაბარი შესაძლებლობების გუნდად დაიყვნენ და თამაში დაიწყეს. ერთ გუნდს ვაჟა ლიდერობდა, თვითონ თავდასხმაში თამაშობდა და გუნდის კაპიტონობასაც სწევდა. საინტერესო თამაში გამოუვიდათ. იცოდნენ, რომ გოგონები სუფრას შლილნენ, მაგრამ ცალი თვალი მათკენ ჰქონდათ, რაც ბიჭებისთვის დიდი სტიმული იყო. ვაჟა თავს არ ზოგავდა. მოქნილი და ელასტიური სხეულით ქარივით დაპქროლდა და ლამაზი, მოხსენილი ფეხებით ისე ოსტატურად ურტყმდა ბურთს კარების მიმართულებით, რომ მოწინააღმდეგე გუნდის წევრებიც კი აღტაცებაში მოჰყვდა. მთელი ორი ტაიმი დაძაბულად ითამაშეს და ვაჟას გუნდმა 3-2 მოიგო, სამივე გოლი ვაჟამ გაიტანა...

მერე დაიბანეს, მოწესრიგდნენ და, ცოტა ხნის დასკვნების შემდეგ, კარგად მოილხინეს.

ბევრი არ დაულევიათ, მაგრამ ბიჭები მაინც შეზარხოშდნენ.

ამასობაში ამინდმაც აურია და წამოწვიმა. ისინი მხიარული ქივილ-ხივილითა და მოჭარბებული ემოციებით სავსენი დაეშვნენ მცხეთისკენ.

მცხეთის სადგურში იმ დროს მივიღნენ, თბილისისკენ ჩამ-
დენიმე ვაგონიანი შემადგენლობა ის-ის იყო დაიძრა, მაგრამ
ვაგონების კარები ჯერ კიდევ ლია იყო და ახალგაზრდები, ვინ
რომელ ვაგონში მოახერხა, შეცვიდნენ.

მემანქანემ შეანელა კიდევ სელა, მაგრამ ნახა, რომ ყელანი
ვაგონებში იყნენ და სვლას უმატა...

ჩვენი გმირები ორ ვაგონში აღმოჩნდნენ გადანაწილებული.
მგზავრთაგან ბევრი ჯერ კიდევ ფეხზე იდგა და ვაგონებში ჩვენი
პერსონაჟების საკლის შემდეგ ერთგვარი ხალხმრავლობაც შე-
იქმნა.

ვაჟამ თვალებით ინვას დაუწყო ძებნა, მაგრამ იგი არსდ
ჩანდა. მიხვდა, რომ იგი წინა ვაგონში ავიდა. ვაგონიდან ვაგო-
ნში გასასელელი მოსინგა, მაგრამ ჩაეყტილი აღმოჩნდა. მაშინ
ვაგონიდან ჩასასელელ კარებს წაეტანა, კარი დაემორჩილა და
გაიღო. ვაჟა კიბის საფეხურზე დადგა. წინა ვაგონის კიბე მაც-
დუნებლად ახლოს ჩანდა. იმ კიბის სახელური, რომელზეც ვაჟა
იდგა და წინა ვაგონის კიბის სახელური თითქმის გვერდიგვერდ
იყო, ხელის გასაწვდენ მანძილზე. ვაგონები იჩწეოდნენ და აქეთ-
იქით ქანაობდნენ, მაგრამ ეს არ წარმოადგენდა სიძნელეს, ვაჟა
ძალიან მოქნილი და სხარტი იყო...

მატარებელი, თუმცა სელას უმატებდა, ჯერ კიდევ ნელა
მიდიოდა. ნელა ბრუნავდნენ ფოლადის უზარმაზარი თვლები,
— რახ-რახ, — ეხეთქებოდნენ ისინი ლიანდაგების შეერთების
აღგილებს... გაიწვდინა ხელი ვაჟამ, გადაქანდა გვერდზე, სწრა-
ფად და მტერიცედ ჩასჭიდა ხელები წინა ვაგონის კიბის სახე-
ლურს, მოსწყდა ორივე ფეხით უკანა ვაგონის საფეხურს, მო-
ზომა კარგად, ზუსტად დადგა ფეხი წინა ვაგონის საფეხურზე,
მაგრამ აისხლიტა სეელმა ჩეინამ ტყავისძირიანი ფეხსაცმელი
და გადმოქანდა ვაჟა უკან მთელი ტანით, დარჩა სახელურზე
ჩამოკიდებული. ჩამოკიდებული ხამიუცურდა ხელი ცოტათი, მაგრამ შეიკავა
თვით. მაგრად მოუჭირა თითები ჩეინას, ლამის გაუჩერდა სი-
სხლის მოძრაობა, დაეჭირა და ეტკინ მელავი, მაგრამ მიაშველა
მეორე მკლავიც და მომაგრდა...

— რახ-რახ, რახ-რახ, — უფრო ჩქარა-ჩქარა ეხეთქებოდნენ
ფოლადის თვლები ფოლადის ლიანდაგებზე. ორივე ფეხი ჰაე-

რში ჰქონდა, მაგრამ მაინც მომაგრდა რეინის წვრილ სახულის ლურზე. მთელი სხეული ისე გააქან-გამოაქანა, როგორც ლერძე ან ორძელზე ვარგიშის დროს აკეთებდა ხოლმე, რათა ლერძს ზემოდან მოქცეოდა. ცდილობდა, ისე მყარად დაფა ფეხი რეინის საფეხურზე, წელანდელივით არ ჩამოცუ-რებოდა, რაღაც იცოდა, რომ დაიღლებოდა და მესამე ცდაზე კიდევ უფრო გაუჭირდებოდა. გაქანდა წინ მთელი სხეულით და მარცხენა ფეხით კვლავ ზუსტად შეეხო თვალებით მონიშნულ ადგილს. არ აირიდა, მიიკრო თითქოს ტყავის ლანჩა რეინამ. გაუხარდა. ცოტაც და, ორივე ფეხით დაღვებოდა კიბეზე, მაგრამ... წელანდელივით გასრიიალდა ლანჩა და კვლავ პარში გამოეყიდა. შეკრთა, ავად ენიშნა რაღაც, მაგრამ, მელავებში ჯერ ძალას გრძნობდა. — ამ ჯერზე, გამომივა, — ფსიქოლოგიურად გაიმხნევა თავი. ოდნავ აამოძრავა თითები, მათი სიმტკიცე მოსინჭა და კვლავ გაიმეორა წელანდელი ნახტომი პარში, ოღონდ, ახლა თვალებით სხეა ადგილი მონიშნა ფეხის მოსაყიდებლად, მაგრამ იმავე წამს აისხლიტა წყულმა რეინამ ლანჩა. მარჯვენა მელავი ეტკინა, მიხედა, რომ ძარღვი დაეჭიმა. აშეარად გაიგონა საკუთარი გულის ცემა, ბორბლების ხმაურს რომ ერთოდა. ვაგონს ახედა, — ინგა რომ გაღმოიხედავდეს, ავარიული გაჩერების სახელურს ჩამოქაჩავს, — გაუელვა თავში.

— ინგა! — დაიძინა, მაგრამ სუსტი გამოუვიდა დაძახება.

— ინგა! — გაიმეორა კვლავ, მაგრამ მიხედა, რომ ეს დაძახება კი არა, განწირულის ამოკენესა იყო მხოლოდ. — ვიღუპები!

— გაუელვა თავში.

მატარებელმა უკვე აკრიფა სისწრაფე.

არა, ასე ადვილად არ შეეგუებოდა საბედისწერო მარცხს ვაჟა. — კიდევ ერთხელ ვცდი, ამჯერადაც თუ არ გამომივა, მაშინ შევეცდები ისე გაღმოვვარდე, რომ ბორბლებქვეშ არ მოვყვე. საქიროა, ოდნავ წინ ვადახტე, მატარებლის სკლის მიმართულებით, — შეახსენა თავის თავს, მაგრამ პარში გამოედული კაცი გადახტომას რომ ვერ მოახერხებდა, იცოდა. მარჯვენა ხელს ვეღარ უქერდა სახელურს, სტკიოდა დაჭიმული ძარღვი. მეტი აღარ შეეძლო, აღარ შერჩა ძალა, სხვა არჩევა-

ნიც ალარ იყო და... კი არ გადმოვარდა, გადმოხტა თითქოს, მაგრამ მოხრეშილი იყო ლიანდაგის კიდეები, მოხრეშილი და ლიანდაგების მხარეს დამრეცი. გულალმა დაეცა მოხრეშილზე, გასრიიალდა მთელი ტანით ლიანდაგისკენ...

— რახ-რახ, რახ-რახ! — ახლა უფრო ხმიამაღლა და მეტობდ გაისმა ბორბლების რახირუხი. ხელებით დაწვა წევრებიან კე-ნკებს, დამუხრუჭდა თითქოს ოდნავ, ხელისგულები დაუსერა ქვებმა, მაგრამ ეერ შეიკავა მოსრიიალე სხეული და ორივე ფეხი ზედ ლიანდაგზე დადო ქანცგაწყვეტილმა...

— რახ-რახ! — გაისმა კიდევ ერთხელ...

ინგას კივილი არ გაუგია, ტკივილიც არ გაუგია, თუმცა, გონება არ დაუკარგავს.

ინგამ სწორედ მაშინ დაიწყო ძებნა და მაშინ გადმოიხედა გარეთ, როდესაც ვაუა ვაგონის სახელურს მოსწყდა. ინგას კი-ვილზე ვიდაცამ ავარიული გაჩერების მუხრუჭი ჩამოქაჩა. ფო-ლადის ბორბლებს ტკაცანით გასცევდა ნაპერწკლები, მაგრამ ყველაფერი დაგეიინებული იყო. მუხლსქვემოთ გადაჭრილი ფე-ხები ლიანდაგებს შორის ეყარა, ვაუა გულალმა ეგდო და ორივე ფეხიდან შადრევანივით ასხამდა სისხლი...

ყულაზე მეტად ინგას ძმამ იყოჩალა. ორივე კიდურზე ქამ-რები გადაუჭირა ვაჟას და სისხლის მოძრაობა ჩაეკეტა...

რკინიგზის საავადმყოფოში ოპერაცია დიდხანს მიმდინა-რეობდა. მარჯვენა ფეხზე მუხლის შენარჩუნება აღვილი იყო, იმიტომ, რომ კიდური შედარებით დაბლა იყო გადაჭრილი. მარცხენა მუხლის შენარჩუნება კი ძნელი აღმოჩნდა, კიდუ-რი მუხლთან ახლოს იყო მოკვეთილი. ექიმები თუ მუხლის შენარჩუნებაზე წავიდოდნენ, მაშინ შესაძლებელი იყო განგ-რენის განვითარება. თუ მუხლს ვერ შეუნარჩუნებდნენ, მა-შინ უკვე პროთეზირების პერსპექტივაც ისპობოდა. საოცა-რი მონდომება და გულისხმიერება გამოიჩინა ცნობილმა ექი-მმა ზაზა კახიანმა, რომელმაც, ჭადოქრობით თუ სასწაუ-ლით, ვაჟას ორივე მუხლი შეუნარჩუნა. აქ მაინც გაულიმა ბედმა ვაჟას, თუ საერთოდ იყო შესაძლებელი ბედზე ლაპა-რაჟი...

მაშინ, როდესაც ვაჟას ამ უმძიმეს ოპერაციის უკეთებლენ,

პატარა ყუთით დაკრძალეს ვაჟას კიდურები. უცნაური გრძელ-
ბით შეპყრობილი ოთხი ადამიანი იდგა პატარა საფლავთან
და ოთხივე ხვდებოდა, რომ ეს პროცესი რაღაცით უფრო
ტრაგიკული იყო, ვიდრე ჩვეულებრივი დაკრძალვის ცერე-
მონიალი...

ვაჟა კი, მიუხედავად იმისა, რომ იმ საშინელ პროცესს არ
დასწრებია, შემდეგ, მთელი ცხოვრების მანძილზე, გაცილებით
მეტად და მაღაფრად გრძნობდა მიწასთან კავშირს და სიახლოებს,
ვიდრე ნებისმიერი სხვა...

ოპერაცია წარმატებით დამთავრდა, მაგრამ დგებოდა უმძი-
მესი პერიოდი ტკივილის მოშუშებისა და ფსიქოლოგიური ჩე-
მილიტაციისა.

რამდენიმე დღის განმავლობაში ძლიერი ნარკოტიკული ზე-
გავლენის ქვეშ იყო, რათა ტკივილი ასატანი გამხდარიყო, მა-
გრამ ფიზიკური ტკივილი რას შეედრება იმ სულიერ ტკივი-
ლებს, რაც ნარკოტიკული ზემოქმედებიდან გამოსვლის შე-
ძლევ დაიწყო.

ბენებრივია, რომ მდგომარეობა, რომელშიც ვაჟა აღმო-
ჩნდა, ნებისმიერ ადამიანს, ვინც განსაკუთრებული სულიერი
სიმტკიცით არ იქნებოდა გამორჩეული, ფსიქოლოგიურად და
მორალურად საგსებით გაანადგურებდა, მაგრამ მოხდა საოცა-
რი რამ, პირველივე დღეებიდან ვაჟამ ისე მოთოვა საკუთარი
ემოციები და იმდენად მოერია თავს, რომ არავითარი გამხნევე-
ბა არ სჭირდებოდა, პირიქით, იგი თავად ამხნევებდა მშობლებს,
ახლომციქულებს, და არწმუნებდა ყველას, რომ მისთვის ყველაფერი
არ დამთავრებულა...

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ საიდან მოდიოდა
ვაჟას ეს გასაოცარი სიმტკიცე სულისა. ინგა გამუდმებით ეჭდა
სასთუმალთან, მისი ხელი ხელში ეჭირა და არწმუნებდა, რომ
ყველაფერი კარგად იქნებოდა.

ვაჟას თავს აღგნენ და ევლებოდნენ კიდეც მშობლები —
ევგენი და ბადუ. თავს აღგნენ და წუთითაც არ სცილდებოდნენ
უფროსი ქმა — ბენო, დები — ვარდო, ნელი, იზოლდა, ნორა
და ზაირა. არ სცილდებოდნენ და თითქმის შეუძლებელს
ლამობდნენ — შეემსუბუქებინათ ვაჟასთვის ის, რის შემსუ-

ბუქებასაც ახლა უზენაესი და არსთა გამრიგე თუ შეძლებოდა
მხოლოდ...

ღ ალამდა.

ვაკა ცოტა ხნით მარტო დაჩჩა.

ჭრილობაზე მეტად სული ეწვეოდა და სტკიოდა, თეალები-
დან წყვილი ცრემლი გადმოუვარდა და გაუპარისავ ლოფაზე
ჩამოვორდა.

— ლმერთო, — ამოიკვნესა, — რა გინდოდა, რას მერჩიოდი,
ლმერთო? — საშინლად დამოკლებული ფეხები გაატოვა და
სიმწრისგან ტუჩი მოიკვნიტა.

— მე არაფრი დამიშვებია შენთვის, — ჩაესმა გარკვევით
და მშეიდი, ხავერდოვანი ხმით ნათქვამი.

ვაკამ თვალები გაახილა, მის წინ ორიოდე მეტრის მოშო-
რებით, სავარძელში თეთრ თმა და წვერმოშვებული სპერაკი
სახის მოხუცი იჯდა. ვაკას გაუკვირდა. ეგონა, რომ სრულიად
მარტო იყო. არც არავის შემოსვლა გაუგია, — ან ეს სავარძე-
ლი საიდან გაჩნდა? — გაიფიქრა. ჩბილსა და ოქროთი მოვარა-
ებულ, ძეირფას სავარძელში იჯდა მოხუცი.

— შენ ვინ ხარ? — ჰეითხა დაბნეულმა.

— მე ლმერთი ვარ!

— ჰმ, ლმერთი, — გაელიმა ვაკას, — შენ თუ ლმერთი ხარ, მე
ანგელოზი ვყოფილვარ.

— შენ არა ხარ ანგელოზი, შენ ადამიანი ხარ, ჩვეულებრივი
მოკედავი, მე კი ლმერთი ვარ, — იყო პასუხი.

— რით დამიმტკიცებ, რომ ლმერთი ხარ?

— მაინცდამაინც უნდა დაგიმტკიცო? დამტკიცების გარე-
შე რატომ არ შეგიძლიათ ადამიანებს რამე დაუჭეროთ ლმერთს?

— მართლა რომ დავიჭერო შენი ლმერთობა, ხომ ვაგიტეხავ
მაგ თავს! — სრულიად გულწრფელად უთხრა ვაკამ.

— რატომ? — დაინტერესდა ლმერთი.

— იმიტომ, რომ უდანაშაულო კაცი გამწირე, გამანახევრე
და დამლუპე.

- მე არ გამიკეთებია ეზ.
- აյი, ღმერთი ვარო?
- როგორ გესმის შენ, ღმერთი?
- ყოვლად კეთილი, ყოვლის მცოდნე და ყოვლის შემძლე.
- ჩამოარიაკა ვაეამ.

— მერე?

- აა, მერე? თუ ყოვლად კეთილი ხარ, ყველაფერი იცი და ყველაფერი შეგიძლია, რატომ არ ამაშორე განსაცდელი, რატომ არ გამაფრთხილე, ან რატომ არ მიხსენი? თუმცა, ისე გელაპარაკები, თითქოს მართლა ღმერთი იყო. ვინ ხარ, ან აქ რა გესაძმება? — ხმას აუწია, — დამიმტკიცე, რომ ღმერთი ხარ, თუ არადა, მიბრძანდი აქედან! — კატეგორიული იყო ვაეა.

— როგორ დაგიმტკიცო? — შეწუხდა ღმერთი.

- ჩაიდინე სასწაული, შენ ხომ შეგიძლია ნებისმიერი სასწაული ჩაიდინო.

— შემიძლია, — თქვა ღმერთმა, — ოღონდ, ეჭვები უნდა უკუაგდო მანამდე, იწამო, რომ ღმერთი ვარ და თაყვანი მცე.

— ვთქვათ, ვირწმუნე, რომ ღმერთი ხარ...

— მაშინ ადექი, მომიახლოვდი და თაყვანი მეცი.

— როგორ ავდგე, როცა არც ერთი ფეხი არ მაქვა! — დანანებით თქვა ვაეამ.

— ადექი, გაქვს ფეხები! — უთხრა უცნაურმა მოხუცმა.

ვაეამ მთელი ტანით წამოიწია, ორივე ხელი ფეხებზე იტაცა და შეპყირა.

— ღმერთო!

ორივე ფეხი უენებელი ჰქონდა.

— ღმერთო! — ამ სიტყვის გარდა ვერაფერს ამბობდა.

— ადექი, — დაუყავა ღმერთმა.

ვაეამ წამოიწია, ფრთხილად გამოყო საბნიდან ჯერ ერთი, მერე მეორე ფეხი და ფრთხილად დადგა იატაქზე.

— მომიახლოვდი, ნუ გეშინია, — გაამნევა ღმერთმა.

ვაეა წამოდგა და გაუბედავად გადადგა ნაბიჭი. შემდეგ კი-აუგ გადადგა ორი ნაბიჭი და ღმერთის წინ მუხლებზე დაეცა, თაყვანი სცა არსთა გამრიგეს.

სუკუმა თმებზე გადაუსვა ხელი ღმერთმა, დაამშვიდა, მე-

რე უბრძანა, კვლავ თავის საწოლს დაბრუნებოდა. ვაუქმე და უფრვნებლივ შესაჩულა დაეთვება. საწოლში ჩაწერა და ხემამი გადაითარია. თან ფეხით მეორე ფეხი მოსინჯა. საღ-საღამისი ფეხები ერთმანეთს ეფერებოდნენ თითქოს. ფეხებში სითბოს და სისხლის მოძრაობას გრძნობდა. ბედნიერებისგან ხმას ვერ იღებდა.

— ყური დამიგდე, ვაუკ! — უთხრა ღმერთმა, — ხომ ხედავ, რა ადგილია ჩემთვის შენს მიერ და შვებული საბედისწერო შეცდომის გამოსწორება. მარტო რომ განვაგებდე სამყაროს, საერთოდ, არც დაგაშვებინებდი მაგ შეცდომის, მაგრამ ჩვენ ორნი ვართ.

— როგორ თუ ორნი, ვინ ორი? — შიშით იქითხა ვაუამ.

— ყოვლადყეთილი ანუ ღმერთი და ყოვლად ბოროტი ანუ ეშმაკი. ერთდროულია ჩვენი მეუფება, რადგან უერთმანეთოდ არსებობა არ გვეძლევა. ჩვენ ის საპირისპირონი ვართ, მუდმივად რომ ვებრძეით ერთმანეთს.

— ეს დიალექტიყაა, — იმედის გაცრუების კილოთი თქვა, — სრული უაზრობა გამოდის. რად გინდათ ასეთი მეუფება, თუკი პირველი გამორიცხავს მეორეს და მეორე — პირველს? მაშინ რა აზრი აქვს თქვენს არსებობას, ეს ხომ იგივეა, ვითომ, საერთოდ, არც არსებობდეთ?

— აბა, ერთი წუთით წარმოიდგინე, მარტო ჩემი მეუფება რომ იყოს სამყაროზე, რამდენჯერაც უნდა გადაგვრას ეგ ფეხები მატარებელმა, მე მუდმივად გაგიმთელებ ჭრილობას და შენთვის არ იარსებებს არც ტრაგედია, არც რამ პრობლემა. ასეთ დროს ისე გამოვა, რომ შენ კი არ იცხოვრებ ამ ქვეყნაზე, არამედ მე ეიცხოვრებ შენს მაგიერად, რადგან შენ მთლიანად ჩემზე იქნები მონდობილი და დამოკიდებული.

— ღმერთს მინდობილი ადამიანი, განა ეს ცუდია?

— ღმერთს მინდობილი ადამიანი შესანიშნავია, ოლონდ, დაპირისპირებულთა არსებობისა, მათი ბრძოლისა და ერთიანობის პირობებში, მაგრამ როგორც კი ეს პირობა იჩღვევა, აღარც ღმერთი არსებობს, აღარც ეშმაკი და აღარც ადამიანი.

— ვერ გავიგვე, — თქვა ვაუამ, — განა აბსოლუტი არ არსებობს ყოველგვარი საპირისპიროს გარეშე?

— აბსოლუტი ირსებობს, ოღონდ, სხვა განზომილებული
დროსა და სივრცეში კი, რასაც თქვენ ჩეალურ ცხოვრებას
უწოდებთ, აბსოლუტი ვერ იარსებებს. თქვენ დროით და სი-
ვრცით შეზღუდული და შემოსაზღვრული ხართ, დე-ტერ-მი-
ნი-ჩე-ბუ-ლი, რა აბსოლუტზე მელაპარაკები, ეს ხომ აბსურ-
დია!

— გაშ, ბედისწერაა ეს ცხოვრება? — შეაპარა ვაუაშ მისოფეს
მტკიცნეული საკითხი.

— რა თქმა უნდა, ბედისწერაა! — შეაგება პასუხი ღმერთმა.

— შემთხვევით არაფერი ხდება? — პკითხა ფრთხილად.

— ყველაფერი შემთხვევით ხდება, სუჟელაფერი!

— როგორ? ეს არ მესმის კარგად!


— შემთხვევა გადადის ბედისწერაში. ის, რაც მოხდა, ვიდრე
მოხდებოდა, შეიძლებოდა არც მომხდარიყო, მაგრამ მას შე-
მდეგ, რაც მოხდა, შეუძლებელია, რომ მომხდარი არ იყოს.
მოხდა შემთხვევით, მაგრამ იქცა აუცილებლობად. რაც ხდება,
ყველაფერი შემთხვევით ხდება, მაგრამ რაც მომხდარია, ყველა-
ფერი ბედისწერაა. აუცილებლობას მოსდევს შემთხვევითობა,
მაგრამ შემთხვევითობა კვლავ იქცევა აუცილებლობად.

— გამოდის, რომ ღმერთი და ეშმაკი თანაბარი ძალაა...

— როგორ გეკადრება, — უთხრა ღმერთმა, — ბოროტება
ის საპირისპიროა, ვის გარეშეც ვერ იარსებებს სიკეთე, მაგრამ
ეს არ ნიშნავს იმსას, რომ ისინი თანაბარი არიან. ისინი სხვადასხვა
პოლუსები არიან, თითქოს თანაბარი ძალისა და თანაბარი
მნიშვნელობის პოლუსები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიკეთეს
აქეს უპირატესობა. ამ უპირატესობაში გარკვევა, მისი დანახვა
ნშირად გიჭირო ადამიანებს.

— რაში მდგომარეობს სიკეთის უპირატესობა?

— ადამიანურ ენაზე ამის ახსნა შეუძლებელია. სიკეთის
შესამეცნებლად მხოლოდ ენა, ლოგიკა და დამტკიცება როდია
საკმარისი. სიკეთის შემეცნების მეთოდი თვით ცხოვრებაა, —
აქ ღმერთი ოდნავ ჩაფიქრდა თითქოს, — სხვათა შორის, არა
მხოლოდ ერთი კონკრეტული და ცალკეული ადამიანის, არამედ
მთელი კაცობრიობის ცხოვრება. სიკეთის სწავლა არ შეიძლება,
სიკეთის ჩრდილება მხოლოდ...



— ბოროტების რწმენაც ხომ არსებობს? — შეაწყვეტინა
ვაჟამ.

— არა, რწმენა სიკეთის საფუძველია, სიკეთ კი რწმენის
შედეგი. ბოროტება არ მოდის რწმენიდან და რწმენა არ არის
ბოროტების შედეგი. აი, ეს არის სიკეთის უპირატესობა
ბოროტებაზე და ესაა ღმერთის უპირატესობაც ეშმაკზე.

ვაჟა დაფიქრდა, თითქოს ჩაღაცას ყოყმანობდა.

— შენზე მაღლა არის ვინმე, ან ჩამე? — პკითხა მაინც.
ღმერთს გაეღიმა.

— ჩემზე მაღლა ვინ იქნება? ჩამდენი სიმაღლეც არ უნდა
იყოს, ღმერთი ყველაფერზე მაღალია... ჩატომ მკითხე?

— რა ვიცი, — დაიბნა ვაჟა, მაგრამ მაინც გულწრფელად
უპასუხა, — ჩატომძაც მომექვნა, უფრო სწორად, აზრმა
გამერა, რომ შენც ვიღაცა გმართავს.

— არის საზღვარი, რომლის იქითაც ადამიანის გონება ვერ
სწვდება. მხოლოდ მე ვიცი, მე, ერთადერთმა, რა არის ჩემზე
მაღლა.

ვაჟამ ფეხით ფეხი მოსინგა. ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ
ჩაღაცამ შეაწუხა თითქოს.

— როგორ თქვი წელან, ის, რაც მოხდა, შეუძლებელია,
რომ მომხდარი აღარ იყოს, ხომ?

— ასე გითხარი, კი.

— და ეს კიდურები რომ გამიმთელე? — პკითხა ვაჟამ.

— ხომ გინდოდა, ხომ მოხვევ, რომ სასწაული მომექდინა?!

— კი მაგრამ, ის კანონი როგორ იქნება, რაც მომხდარია,
ყველაფერი აუცილებლობად რომ უნდა იქცეს?

— ის კანონი დარღვეულია. ამიერიდან, შენ მაგ კანონებით
კუ იცხოვრებ, — თქვა ღმერთმა და სავარძლიდან წამოდგა.
ძოწისფერი, ულამაზესი ქსოვილისგან ნაკერმა მოსასხამმა უკ-
ნაურად გაიშრიალა.

— არ წახვიდე, — სთხოვა ვაჟამ. ღმერთი შეყოვნდა, — არ
მინდა, კანონების გარეშე ვიცხოვო.

— რაა? — გაუკეირდა ღმერთს.

— არ მინდა სასწაულით ცხოვრება. ბედისწერისა და შემთ-
ხვევეითობის კანონებით ცხოვრება მინდა. აქ, ამ მიწაზე და ამ

საზოგადოებაში მინდა ცხოვრება, — თქვა. მერე საწოლზე წი-
მოჭდა და შეეველრა ღმერთს.

— მომაცილე კიდურები!

ღმერთმა მოწიწებით დაუკრა თავი. მერე მთელი სხეულით
გაფერმურთალდა, გაბაცდა და თითქოს გალლვა, განიბნა ჰა-
რში.

ვაუამ საბანქეშ ჩაყო ხელი. მუხლებსქვემოთ უზარმაზარი
ნახევები ედო, ოლარსად იყო კიდურები...

●

ს აյითხი თითქოს არ დამდგარა, მაგრამ ინგა, შინაგანად, საკ-
მაოდ მწვავე დილემის წინაშე აღმოჩნდა — როგორ მოქუ-
ლიყო, რა ექნა? მას უფარდა ვაჟა, რომელსაც უმძიმესი ტრა-
გედია შეემოხვა. ცხადია, ინგა არ მიატოვებდა მას ვაჭირებაში.
ისედაც ტრავმირებულს ახალ დარტყმას არ მიაყენებდა და მა-
სთან ერთად იქნებოდა... მასთან ერთად, მაგრამ სანამდე? სულ?
მთელი ცხოვრება? ჩანაირად უნდა ყოფილიყო მთელი ცხოვ-
რება ვადასთან? ცოლად გაპყოლოდა ხეიბარს? ახალგაზრდა
კაცს ბედად ერგო, რომ ინვალიდის უმძიმესი ხვედრით ეცხო-
ვრა ამ ქვეყნაზე. ინგას უნდა შეემსუბუქებინა მისთვის ეს მძი-
მე ხვედრი, მაგრამ როგორ? თვითონაც უნდა დაეტანჯა თავი
მასთან თანაცხოვრებით? მსხვერპლის გალება საყარელი ადა-
მიანის გულისთვის შესაძლებელიცაა და აუცილებელიც, მა-
გრამ მსხვერპლის გალება მთელი ცხოვრება? ეს მსხვერპლზე
მეტია, ეს თავგანწირვაა. მერე, არის კი ინგა მზად თავგანწირ-
ვისა და გმირობისთვის? — ამ კითხვებს უსვამდა იგი საკუთა-
თავს და პასუხს უერ პოულობდა. საკუთარ თავთანაც არ იყ
ბოლომდე გულწრფელი, როდესაც ამბობდა, რომ პასუხს უერ
პოულობდა. სინამდვილეში, პოულობდა პასუხს და ეს იყო სა-
კმაოდ მტკიცე პასუხი, რომ იგი არ იყო ამისთვის მზად. როცა
ამ პასუხამდე მიდიოდა, თითქოს ამოისუნთქავდა, თითქოს იღე-
ბდა გადაწყვეტილებას, რომელიც მას ათავისუფლებდა უმძი-
მესი ხვედრისგან — ეცხოვრა და ცოლობა გაეწია ხეიბრისთვის,
რომელიც ვერანაირად უერ იქნებოდა სრულფასოვანი ადამია-

ნი. და როდესაც მიღიოდა იმ გადაწყვეტილუბამდე, რომ საკუთარ თავს ათავისუფლებდა მძიმე ხევდრისგან, მშეოდად ამოიხარისხდა სუნთქვდა და, ახლა, თავისუფლებამოპოვებული და დილემისგან თავდალწეული, უკვე ვაჟაზე იწყობდა ფიჭის, — როგორ უნდა იცხოვროს ვაჟამ, ხეიბარიმა და ყველამგან მიტოვებულმა? მშობლები სანამდე შეძლებენ მის მოვლას? ვერც და-ძმანი იჭნებიან მუდმივად ვაჟასთან. ესე იგი, ვაჟა მარტო უნდა დარჩეს საკუთარ ტკივილთან და ფიზიკურ უმწეობასთან. იგი ვერასოდეს შეირთავს ცოლს და ვერასოდეს იგრძნობს შეიღნის ბელნიერებას, რადგან თუკი ინგა, ვინც ვაჟას სიცოცხლეს ურჩევნია და ვისაც ასეთივე სიყვარულით უყვარს ვაჟა, იმის გამო, რომ მას ტრაგედია შეემთხვა, უარს ამბობს ვაჟას სიყვარულზე, მაშინ საიდან გამოჩენდება ადამიანი, ვინც ვაჟას ცოლობას დათანხმდება?! ან, რომ მოხდეს კიდეც ასეთი რამე, რა ფასი ექნება მაშინ ინგას სიცოცხლეს? რა მოტივით და რის გამო უნდა ვთქვა უარი ვაჟას ცოლობაზე? — მერამდენედ ეყითხებოდა ინგა საკუთარ თავს, — განა იმის გამო, რომ მე საერთოდ არ გვთხოვდები? ამას ხომ ვაჟას ცოლობა მიჩრევნია. თუ იმის გამო ვამბობ უარს მის ცოლობაზე, რომ სხვაზე გავთხოვდე, როგორ შევძლებ მე, სიყვარულის უარმყაფელი, სხვის შეყვარებას და ლირსეულ ცოლობას? როდესაც მეცოდინება, რომ სადღაც არსებობს ვაჟა, მიტოვებული, მიუსაფარი, უმწეო და უბედური, ნუთუ თდესმე შევიგრძნობ ოჯახის, შეილების სიყვარულის ბელნიერებას? ეს ხომ სისულელე და უაზრობა, ეს ხომ შეუძლებელია! — ასკვიდა იგი და თან ფიქრობდა, — რა არის ადამიანი? განა, მთავარი ფიზიკური სრულყოფილება? ვაჟამ კიდურები დაკარგა. ეს ნიშნავს იმას, რომ ვაჟა უკვე აღარ არის ვაჟა? კი, ეს ნამდვილად ნიშნავს იმას, რომ ვაჟა აღარ არის და არც არასოდეს იქნება ისეთი, როგორიც იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ვაჟა ინვალიდია, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ვაჟა ვაჟა აღარ არის, — ფიქრობდა, — მაში, რატომ უნდა ვერა ხელი ვაჟას, როცა მან სხეულის ნაწილი კი დაკარგა, მაგრამ არ დაუკარგავს ჩემდამი სიყვარულის თუნდაც მისხალი. შეიძლება ისე მოხდეს, რომ მთელი ცხოვრება გიყვარდეს ადამიანი, მაგრამ

შესაძლებლობა არ მოგეცის, დაუმტკიცო მას, რომ იგი გაფარს. განა, თავისთავად ბედნიერება არ არის ის, რომ საშუალება გაქვს დაუმტკიცო საყარელ ადამიანს არა მარტო სიყარული შენი, არამედ, მა სიყარულისთვის თავის გაწირების შზაობაც. განა, ეს ერთოორად არ აამაღლებს ვაეს სიყარულს შენდამი? განა, საზოგადოებაც განსაკუთრებული ინტერესითა და მოწინებით არ შეხვდება მმგვარ გადაწყვეტილებას?

მიპყვებოდა ინგა ფიქრის ამგვარ მიმართულებას და წელანდელ გადაწყვეტილებას თავისუფლების მოპოვების შესახებ, პრინციპულად უპირისპირდებოდა.

ინგას განცდებს სხვა, პარალელური სიტუაციებიც ართულებდა. ინგას სიყარულს და ისტორიას, რომელიც მას გადახდა, ინგას მშობლები და დაძმა გაგებით შეხვდა, მაგრამ ამ სიყარულის გაგრძელებას და აწ უკვე დახეიბრებულ ვაესთან ერთად ოჯახის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას, თუკი ინგა ამას გადაწყვეტდა, ოჯახი როგორ შეხვდებოდა, ინგამ არ იციდა. მიუხედავად იმისა, რომ ვაესთან ჭაველდელ სიარულს და ხშირად საავადმყოფოში ღამის თვესაც არ უშლიდნენ, ინგა არ გამორიცხავდა, რომ ოჯახის პოზიცია მკვეთრად უარყოფითი ჭავილიყო. ამის შესახებ ცალკე ფიქრობდა ინგა.

იყო სხვა პრიობლემაც:

ვაეს თავზარდაცემულმა მშობლებმა მის ტრაგედიაში დამნაშავის ძებნა დაიწყეს და „აღმოაჩინეს“ კიდეც. ეს „დამნაშავე“ სწორედ ინგა გახლდათ, ვისმა სიყარულმა, მათი აზრით, დაღუპა კიდეც ვაეა. მათ უკვე იცოდნენ, რომ ვაეა სწორედ ინგას გამო გადადიოდა ვაგონიდან ვაგონში. ერთი ვერსიით, ინგას თურმე ჩანთა დარჩენია მეორე ვაგონში და ვაეა სწორედ იმ ჩანთის მოსატანად გადადიოდა სხვა ვაგონში. იყო სხვა ვერსიაც, რომ, თითქოს, ვაეს ინგას გამო ვიღაცასთან ჩხუბი მოუკიდა და იგი ვაგონიდან გადაადგდეს.

ერთი სიტყვით, ვინაიდან შვილს გამოუსწორებელი უბედურება შეემთხვა, დამნაშავის პოვნა თითქოს ოდნავ ამსუბუქებდა და აიოლებდა მშობლების მდგომარეობას, მაგრამ უკურადებოდა რჩებოდა ის გარემოება თუ რა მდგომარეობაში აჭენებდა ეს ინგას და, განსაკუთრებით კი, თვითონ ვაეს.

ეს ყველაფერი მას შემდეგ მოხდა, რაც ვაჟამ ოპერაცია გამოიწვია დაიტანა და მის სიცოცხლეს უკვე არაფერი ემუქრებოდა. მშობლები ბლებმა ვაჟასთან ძმა და დები დატოვეს, თეითონ კი, გულმოკლული და მიწასთან გასწორებული, მარტვილში გემგზავრნენ.

ვაჟამ წერილი მისწერა მშობლებს:

— უწინარეს უოვლისა, გისურვებთ ჩემგან მიყენებული ჭრილობის მოშუშებას. ხამწუხაროდ, ცხოვრებაში ბევრი რამ ხდება გაუთვალისწინებელი, რისგანაც არც მე აღმოვჩნდი დაზღვეული, — წერდა ვაჟა, — შეცდომა უოვლოთვის ზიანის მომტანია, ზოგი მეტის, ზოგი ნაკლების. ჩემმა შეცდომამ იმდენად დიდი ზიანი მოიტანა, გამოსწორება შეუძლებელია. დიდი ჭრილობა მივიღე და ოქვენც უდიდესი ჭრილობა მოგაუყენეთ, მაგრამ მე მაინც მაქვს რწმენა, რომ მიგაღწევ იმას, რის მიღწევასაც ვცდილობდი. რაც მთავარია, ორივე მუხლი შემომრჩა და ვიცი, რომ მალე გავლას შევძლებ.

მე არ ვაიოლებ მოხსდარს. ვანა არ ვიცი, რას ნიშნავს ფეხების დაკარგვა, ვანა არ ვიცი, ოქვენგან უნაკლოდ გაზრდილმა, ჩემს მიერ დაშვებული წინდაუხედაობითა და ნაჩქარევობით თუ რა დიდი ტკივილი მოგაუყენეთ. ისიც კარგად მესმის, რომ ეს ჩემი კიდურები რამე დიდი საქმისთვის არ შემიწირავს. დავკარგე არაფრისთვის, ჩემს მიერ გაღებულ ამ უზარმაზარ დანაკლისს, არავისთვის სიკეთე არ მოუტანია. ადამიანები ტყვიის წვიმას გადაურჩნენ, მე კი ორივე ფეხი დიდუბეში დავტოვე, ჩემს მიერ დაშვებული შეცდომის წყალობით, მაგრამ ამის გამო წუწუნი არაფერს შეცვლის. აწი, ამ ცხოვრებით უნდა ვიცხოვრო და საჭირო განწყობაც უნდა შევიმუშაო. გამაგრდით და მერწმუნეთ, რომ სულით არ დავეცემი.

არის მეორე საკითხი, რომელიც, ჩემთან, სოფლიდან ჩამოსულ მნახველებს მთაქვთ. საკითხი, რომელიც ჩემს შეშფოთებას და გულისწყრომასაც იწვევს. იმას, რაც მე შემემთხვა, თქვენ ვიდაც სხვას უკავშირებთ.

თითქოს, მე მატარებლიდან გადამაგდეს თუ რაღაცა ამგვარი. ნუთუ, თქვენს შვილს, რომელსაც ეს ყველაფე-

რი გადახდა, არ უჩერებთ და ჭორებს უფრო სარწმუნოდ
შინანერთი? ისიც გიციქრიათ, რომ ეს ყველაფერი ინგან
მიერ იყო მოწყობილი, ნუთუ სირცენებილი არ არის, რომ
ადამიანს, რომელსაც ჩემდამი სიკეთის მეტი არაფერი ამო-
ძრავებს, ასე საშინელი ცილი დაგწამოთ? ერთია, როცა
არ იცი სიმართლე, მეორე კი, როცა არ გსურს გაიგო იგი.

როგორი მტკიცნეული და მტანწველიც არ უნდა იყოს,
ობიექტურ რეალობას და ჭეშმარიტებას ვერსად გავე-
ცევთ.

თქვენ ჩემთვის არაფერი გიყითხავთ და სხვის ნათქვამს,
სულელურ ჭორებს აუთლინართ. ეს უაზრობაა, ეს სისუ-
ლელეა და, ძალიან გთხოვთ, ჩემს ტანწვას ახალ დარდსა
და სატანწველს ნუ დაუშატებთ.

მე გპირდებით, რომ ჩემს ხვედრს ავიტან, ყველაფერს
გავუძლებ და ჩემს მიზანს მაინც მივაღწევ. ვაუა.

ამ ამბებიდან ოცდაორი წლის შემდეგ, 1990 წლის 16
სექტემბერს, ვაუა, ოთხმოცდარვა წლის მამისგან, ევგენი
გორიონიასგან დიდიქუნიდან გამოგზავნილ ვრცელ ბარათს
მიიღებს, რომელიც ერთგვარი ანდერძიც იყო და, როგორც
ჩანს, ერთგვარი მონანიება-მობოლიშებაც, ალბათ, იმ წყნის
გამო, რაც ვაუამ მშობლებისგან მიიღო, მისთვის ყველაზე მძიმე
პერიოდში.

მიუხედავად იმისა, რომ ვაუამაც და ინგამაც, თავის დროზე,
შესანიშნავად გაიგეს, ვაუას ტრაგედიაში მისი მშობლების მიერ
დამნაშევის ძებნის ფსიქოლოგიური საფუძვლები და მათი ქვევის
მოტივის განმაპირობებელი ის მძიმე სულიერი ტრავმა,
რომელსაც არ შეიძლებოდა თავსდატეხილი უბედურების გამო
ძლიერი შინაგანი აფეთქების გარეშე ჩაევლო, როგორც ჩანს,
მშობლები სიცოცხლის ბოლომდე განიცდიდნენ იმას, რომ
შეიღებს დიდი სულიერი ტკიცილი მიაყნეს...

— მე ყოველთვის მაოცებდა შენი უსაზღვრო კაცო-
მოყვარეობა და ჭირთათმენის უდიდესი უნარი, რომელიც
ბუნებაშ გაბოძა, — წერდა მოხუცი მამა, რომელსაც ამ
იარათის დაწერის შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია, — წის-
წვილის ქვა არ დატრიალებულა შენს თავზე, თორებ-

უმძიმესი წვალება გარეუნა ბედმა, მაგრამ არ შედრე, ნამდვილი გმირობა გამოიჩინე და სულით არ დაეცილოთ.

წერილში მამა სთხოვს შვილს, რომ მისი ეს ბარათი, როგორც ბაბუას მოსაგონარი, წაუყითხოს შვილებს... ამ წერილში მამა არ შეხებია თემას, რომლის შესახებაც ჩვენ ვსაუბრობთ, მაგრამ მასში ისე ხშირად კეთდება მანევილი ადამიანურობაზე, ჰუ-მანურობაზე, მიმტევებლობაზე, კაცომოყვარეობასა და სულის სიფაქიზეზე, რომ ადამიანის შინაგანი სამყაროსა და ფსიქოლოგიის შესანიშნავი მცოდნე ვაერა კი არა, ნებისმიერი ადამიანი, ეინც იცის ვაერა ისტორია და ვინც ამ წერილს თავიდან ბოლომდე წაიკითხავს, მაშინვე მიხვდება, თუ რას ეველრება შვილს მოხუცი მამა.

ურთიერთობების სიფაქიზე გოროზიების ოჯახის თვისება იყო...

ეს ბარათი, როგორც ვთქვით, ვაერა ტრაგედიიდან ორი ათეული წლის შემდეგ დაიწერება. მანამდე კი...

ინგასთან ერთად ვაერა იტანჭებოდა ინგასთან მის მოშავალ ურთიერთობებზე ფიქრით.

მან იცოდა, რომ ინგა მას არ გაწირავდა, თუმცა, ისიც შესანიშნავად იცოდა, რომ არც თვითონ გაწირავდა ინგას, რაც იმას ნიშნავდა, რომ მალე, ინგასთან ურთიერთობას გაწ-ჭეტდა, რადგან წარმოუდგენლადაც კი მიაჩნდა ფიქრი ინგა-სთან თანაცხოვრებასა და ოჯახის შექმნაზე. მან იცოდა, რომ, ამიერიდან, მისი ცხოვრება ტანჭული და მარტევილი კაცის ცხო-ვრება უნდა ყოფილიყო, რომელიც მეცნიერებას, ფილოსოფი-ას შესწირავდა სიცოცხლეს და, თუ ოდესმე გავლას მოახერხე-ბდა, მისი მარშრუტი უნივერსიტეტი და ბიბლიოთეკა იქნებო-და. სხეულით ხეიბარს და განახევრებულ კაცს, სულის სიფაქი-ზისა და გონებრივი სრულყოფისთვის უნდა ეზრუნა. იცოდა, რომ მეცნიერებისთვის მეტი დრო ექნებოდა, რადგან ახალგაზ-რიდული ბეჭნიერება, დროს ტარები და ამჟევჭიური სისმენი სამუდამოდ დარჩა უკან.

ჯერჯერობით ვერ ელეოდა ინგას. ჯერჯერობით, ვიდრე ფსი-ქოლოგიურად არ მოლონიერდება და ვიდრე თავიდან არ ისწა-ვლის ფეხზე გავლას, ინგას ვერ შეელევა, რადგან ეს უკანასკნე-

ლი დღეებია მის ცხოვრებაში, როცა გერ კიდევ აქვს საშუალება ბა უყუროს უსაყარლეს არსებას, დატებეს მისი ულამაზეს სახით, მისი ხმის მომავადოვებელი მუსიკალობით, მისი პეროვნებითა და კდემამოსილებით...


უყურებდა ვაერ მის ბედისწერად მოვლენილ ამ საოცრებას და ნანობდა თითქოს, ოდესლაც შემთხვევითობა რომ ეგონა მასთან შეხვედრა. — ყველაფერი შემთხვევითია, ვიდრე მოხდებოდეს, მაგრამ ის, რაც მოხდა და აღსრულდა, ბედისწერა უკვე, — გაახსენდა ლმერთის მიერ მისურვის ნათევამი და გაუხარდა, რომ ინგან ბედისწერად მოვლენაში საეჭვო აღარაფერი იყო. უყვარდა, განუზომლად უყვარდა ბედისწერა მისი, და თუ მცა კარგად იცოდა, რომ სულ მაღლ მას სამუდამოდ დაშორდებოდა ფიზიკურად, ისიც იცოდა, რომ ვიდრე ცოცხალი იქნებოდა, მისი ულამაზესი ხატი არასოდეს წარიხოცებოდა მისი გულიდან, მისი სულიდან და მეტსიერებიდან.

ერთ დღეს პატია ბარათი ჩაუდო ხელისგულში, — მერე წაიკითხეო, — უთხრა.

წერილს სათაურიც ჰქონდა — „განწირულის ოცნების მიღმა...“

— „პატიოსნება და სინდისი, — ასე იწყებოდა ბარათი, — მწამს, მაგრამ, ამავდროულად, მძაგს და მეზოზლება ეს სიტყვები. არა იმიტომ, რომ ისინი ცხოვრებაში არ არსებობენ, არამედ იმიტომ, რომ მათ თითქმის არავისოთვის მოუტანია ბედნიერება, ისინი თითქმის არასოდეს დაფასებულა სადმე. სინდისისა და პატიოსნების გარეშე არ მიცხოვრია ერთი წუთითაც, მაგრამ განვებამ სხეულის ნაწილები კი არ წამართვა, უპირველეს ყოვლისა, თქვენი თავი წამართვა...

მე მოგისმინეთ თქვენ და ვიგრძენი მწვავე გულისტკი-გილი, ვიგრძენი, რომ თქვენ ყველაფერზე მაღლა სიყვარულს აყენებთ, თქვენ მართალი ხართ, ასეც უნდა იყოს, მაგრამ არის მეორე საკითხიც. მე არასოდეს ვყოფილგარე ვინისტი, მხოლოდ საკუთარი ინტერესებით არასოდეს მიცხოვრია. არასოდეს მიუიქრია მხოლოდ ჩემი ბედნიერებისთვის. ბედნიერება მე თქვენთან ერთად წარმომედგინა,



მაგრამ დღეს, როცა მე არ შემიძლია ბედნიერება მოვანი-
ჭოთ თქვენ, რა უფლებით უნდა მივიღო თქვენგან მონიშეთის
ბული ბედნიერება? რა უფლება მაქვს ახე უზარმაზარი
ტკივილი მივაყენო თქვენს ოჯანს, მშობლებს, რომლებიც
გასაოცარი გავებით ეკიდებიან ჩემს მდგომარეობას?!

მე არასოდეს გავაკეთებ იმას, რისი გაკეთების უფლე-
ბა შესანიშნავად ვიცი, რომ არ მაქვს. ვაუა.

ვაუამ მიიღო მისთვის ყველაზე მძიმე, მაგრამ, ამავე დროს,
ყველაზე კეთილშობილური გადაწყვეტილება, ვინაიდან ამ გა-
დაწყვეტილების მიღებისას იგი ხელმძღვანელობდა არა მისი
პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ ინგან ინტერე-
სებიდან გამომდინარე.

ვაუას ფისტოლოგიური რეაბილიტაციის პროცესში გაასწრო
მისი ფიზიკური რეაბილიტაციის პროცესს.

ნაცვლად იმისა, რომ ახლობლებს, მეგობრებს ვაუა გაემხნე-
ვებინათ, პირიქით, ვაუა თვითონ ამხნევებდა ყველას, ვისაც მისი
ტრაგედია გულთან მიეტანა და შეწუხებული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით არაესოთვის, თვით ექი-
მებისთვისაც არ იყო ნათელი თუ რამდენად შეეგუებოდა ვაუა
პროთეზებს და შეძლებდა დაბრუნებოდა ცხოვრებას, ვაუა ისეთ
უზარმაზარ სულიერ მხნეობას იჩენდა, რომ გარშემო ყველა
განცემურებაში მოჰყვედა...

ოპერაციიდან შესამე თუ შეოთხე დღეს, იგი პროფესორმა
ვენორ ქვაჩახიამ მოინახულა. პროფესორი ქვაჩახია ვაუას ლო-
გიკის საფუძვლებს უკითხავდა. სხვათა შორის, მან პირველი
დღეებიდანვე შეამჩნია ვაუა, რომელიც ლოგიკის მიმართ გან-
საკუთრებულ ინტერესს ამეღავნებდა. ახლა, როდესაც შეი-
ტყო იმ ტრაგედიის შესახებ, რომელიც ვაუას შეემთხვა, საავა-
დმყოფოში მივიდა.

— ვაუა, — უთხრა პროფესორმა ქვაჩახიამ, — ვინმე რომ
გაეადნიერდეს და შენი მდგომარეობის შემსუბუქება სცადოს,
ეს ძალიან დიდი შეცდომა იქნება. შენ უდიდესი ტრაგედია
შეგემთხვა, რომელიც მთელ შენს ცხოვრებას არსებითად ცვლის
და, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე გაცვება, რო-
გორც უმძიმესი ტვირთი, მაგრამ შენ ფილოსოფოსი ხარ, რის

გამოც საგანთა და მოვლენათა ფილოსოფიური ჰერეტიკული
თხოვება. ვინაიდან, განგებამ და შემთხვევამ ეს განსატეტა
გარეუნა, მას შინაგანი მზაობით და ერთგვარი გაგებითაც უნდა
შეხვდე. მართალია, დიდია ტკივილი, რომელიც შენ უნდა ატა-
რო, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ამ ტკივილმა, ღრმა
განცდებმა და, მართალია ავად, მაგრამ მაინც ბედისგან გამოჩ-
ჩეულობამ, შენ ფილოსოფიაში უფრო მეტი შეგაძლებინოს,
ვიდრე ამას ტრაგედიის გარეშე შეძლებდი.

— ბატონო ვენორ, მადლობელი ვარ, რომ შეწუხდით, ჩემი
ტკივილი გულთან მიიტანეთ და სანახავად მობრძანდით, —
თქვა ვაუამ, — მე ვიცი და კარგად ვაცნობიერებ ჩემთვის აა-
მძიმე შედეგით დამთავრდა ჩემი ერთი შეცდომა, მაგრამ შევ-
ცდები ფარ-ხმალი არ დავყრიო. ვიცი, რომ არც წუწუნი უშ-
ველის ამ საქმეს და არც ცხოვრებაზე ხელის ჩაქნევა.

პროფესორმა მოუწონა სტუდენტს ოპტიმიზმი. მერე ცო-
ტა ხანი სოციოლოგიის, როგორც ერთ-ერთი საინტერესო ფი-
ლოსოფიური დისციპლინის პერსპექტივებზე ელაპარაგა. ისიც
უთხრა, რომ შესაძლებელი იყო თბილისში სოციოლოგიის და-
მოუკიდებელი კათედრის დაფუძნებაზე ფიქრი, მიუხედავად იმი-
სა, რომ ასეთი პროფესიის კეთედრა საბჭოთა კავშირის არც
ერთ უნივერსიტეტში არ არსებობდა.

პროფესორი ცდილობდა უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი
ვაუა აქტივურე განეწყო საზოგადოებრივი და სამეცნიერო კუ-
თხით ფიქრისკენ და, როდესაც მიხვდა, რომ ახალგაზრდა კაცი,
რომელსაც ასეთი მძიმე ოპერაცია პქონდა გადატანილი, ცოტა
სწირ მაინც განარიდა საკუთარ უბედურებაზე დარდს და, თა-
ნაც, სამომავლო ფიქრისთვის მის ცნობიერებაში პატარა მარ-
ცვალიც ჩაიგდო, ვაუას მხნეობა უსურეა და დაემშეიდობა.

ორიოდე დღის შემდეგ ვაუას სანახავად უნივერსიტეტის რე-
ქტორი, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი და უდიდესი ავტო-
რიტეტი ილია ვეკუა მივიდა, რომელიც, მისთვის დამახასიათე-
ბელი სითბოთი და გულისხმიერებით ესაუბრა ვაუას, გაამხნევა
და უკველგვარ დახმარებას შეკპირდა.

ვაუას მშობლებს ცალკე დაელაპარაგა. მიუხედავად იმისა,
რომ საბჭოთა კავშირში უკველგვარი სამედიცინო მომსახურე-

ბა უფასო იყო, მან აღუთქა, რომ ყველა ხარჯს, რაც საჭირო იქნებოდა წამლის შესაძენად, პროთეზის გასაკეთებლად, სახი-ტორიუმში გასაგზავნად თუ სხვა რამისთვის, სახელმწიფო უნი-ვრსიტეტი გაიღებდა. მერე ცოტა ხნით ინგა გაიხმო.

— შვილო, ინგა, — ეუბნებოდა ეს ჭარბაგი და მსოფლიო მათემატიკური სკოლისთვის ხელით სატარებელი მეცნიერი, — მე შევიტყვე თქვენი დამოკიდებულების შესახებ და გულწრფე-ლად უნდა გითხრა, რომ ამ ნიჭიერი ახალგაზრდის ბედი დღეს შენს ხელთაა. მხოლოდ შენ შეგიძლია მისი გადარჩენა... — აյადემიკოსს ხმა აუკანეალდა და იძულებული გახდა დაწეუბუ-ლი წინადადება დაუმთავრებლად შეეწყიტა, თუმცა, ნათება-მიც საქმარისი იყო ინგასთვის. იგი თავდახრილი იდგა და ხმას არ იღებდა. აյადემიკოსმა მხარზე მოპხევია ხელი და მისი თავი წამით მკერდზე მიიკრა... .

ინგა გამუდმებით ვაჟაზე ფიქრობდა. არა მარტო ვაჟაზე, არამედ სიყვარულზე, კეთილშობილებაზე, მოვალეობასა და თა-ვგანწირებაზე.

— განა, შესაძლებელია აღამიანმა უარი თქვას ამ ღირებუ-ლებებზე და მაინც აღამიანი ერქვას? — ხშირად ეკითხებოდა იგი თავისთავის და ყაველთვის ერთსა და იმავე პასუხს აძლევდა, — ყავლად ფუჭი და უნაყოფო იქნება იმ აღამიანის ცხოვრება, ვინც მარტო საკუთარი ინტერესების ტყვეობაში გაატარებს თავის წუთისოფელს.

ინგამ იცოდა, რომ ვაჟას მშობლები სწორედ მას აღანაშა-ულებლნენ ვაჟას უბედურებაში, მაგრამ ცდილობდა, ამ ამბა-ვსაც გაგებით მოკიდებოდა. ყოველ შემთხვევაში, წყნა არც გაუვლია გულში, ვინაიდან გრძნობდა, რომ იმ ელდისა და თავზარდაცემის შემდეგ, რაც ვაჟას მშობლებმა განიცადეს, არ იქნებოდა გამართლებული მათთვის ობიექტური და გარედან მაყურებელი აღამიანების პოზიციიდან მსჯელობა მოეთხოვა.

ინგას პოზიციაც თანდათანობით ყალიბდებოდა და მისი გა-დაწყვეტილება, რომ სიყვარული დაეჭნებინა ყველაფერზე მა-ლლა, პირველ რიგში, კეთილშობილური გადაწყვეტილება იყო, ვინაიდან ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი გამოდიოდა არა პირალი ინტერესებიდან, არამედ ვაჟას ინტერესებიდან.

და როცა ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იღებდნენ ორ, ერთმანეთის გამომრიცხავ გადაწყვეტილებას, სიყვარულის, გრძნობისგან ბოლომდე თიშავდნენ ეგოისტურ მომენტებს, პრეტიკულად, სიყვარული ალტრუიზმის, სათნოებისა და კეთილშობილების იმგვარ სიმაღლეზე აჰყავდათ, რომანებში რომ წაგვიყითხავს, მაგრამ ცხოვრებაში ძალიან იშვიათად ან თოთქმის რომ არ გვხვდება, სამწუხაროდ.

გერი იწვალა ადამიანის გონებამ, რომ ადამიანისთვის მის სხეულის დაკარგული ესა თუ ის ნაწილი ხელოვნური ნაწილით შეეცვალა. ზოგ შემთხვევაში ეს არც ისე რთული იყო, ზოგ შემთხვევაში კი — ძალიან რთულიც. კბილის პროთეზორებას ადამიანი ადვილად ახერხებს და ძალიან კარგადაც გამოსდის, მაგრამ თვალის პროთეზირება, საერთოდ, არ გამოსდის. მოკვეთილი მკლავისა და ხელის მტევნის პროთეზირების ეფექტი ძალიან დაბალია, ქვედა კიდურების პროთეზირება მეტნაკლებად ეფექტიანი გამოდის იმ შემთხვევაში, როცა ერთ კიდურზე ლაპარაკი, მაგრამ, როდესაც საჭმე ორივე კიდურს ეხება, ეს, რა თქმა უნდა, გაცილებით რთულია.

ასეა თუ ისე, ვაჟასთვის სხვა გამოსავალი არ არსებობდა. სამთვიანი ტანჩვა-წამების შემდეგ, პროთეზის მოსინჯვის დღე დადგა.

არ შევუდგებით ამ პროცესის დეტალურ აღწერას, რადგან მკითხველისთვის ისედაც ცხადი იქნება, რომ ეს პროცედურა არა მარტო ტექნიკური თვალსაზრისით იყო დაკავშირებული გარკვეულ უხერხსულობასთან, არამედ ერთგვარი ფსიქოლოგიური მიუღებლობისა თუ ადამიანისთვის სულაც შეურაცხამყაფელი მომენტის გამოც.

როდესაც ბავშვი ფეხს იდგამს, ეს არის ულამაზესი და, თუ გნებავთ, ლეთაებრივი პროცესი, მაგრამ, როდესაც ადამიანს ზრდასრულობაში უწევს ამ პროცესის გამეორება, ამაში არა ფერია ესთეტიკური, და გაცილებით მეტია დამთრგუნავი, შეურაცხამყაფელი და, თუ გნებავთ, თავზარდამცემიც...

ყოველ შემთხვევაში, გაუამ გაიარა ეს მტანჯველი პროცესი და საქმაოდ დიდი წვალებისა და ძალისხმევის შემდეგ დადგინდება.

ძნელი იყო პირველი გასვლა ქუჩაში. ოვითონ ვაუაც ვურ გეტყადათ, ფიზიკურად უფრო მტანჯველი იყო მისი მდგომარეობა თუ ფსიქოლოგიურად. შეგუება იმასთან, რომ მთელი ცხოვრება ამ ორთვებებით უნდა ევლო, ძალიან ძნელი იყო...

მარტო გამოვიდა სახლიდან. არც ძმას, არც დას არ მისწა უფლება, რომ გაპყოლოდნენ.

სახლის წინ პატარა სკევრი იყო. სკამზე ჩამოჭდა. პროცეზებს შეუჩეველი იყო და ტკივილი აწუხებდა, მაგრამ ითმენდა. რომ ჩამოჭდა, ტკივილშა უყლო. ინსტინქტურად ფეხის ფეხზე გადადება მოუნდა, მაგრამ უცებ შეჩერდა. არ იცოდა, რამდენად ბუნებრივად გამოუვიდოდა ეს სრულიად მარტივი პროცესი. მიმოიხედა, ვინმე ხომ არ მიყურებსო. ბაღში ვიღაცები ტრიიალებდნენ, მაგრამ ახლოს არავინ იყო და მასაც არავინ უყურებდა. მარჯვენა ფეხი გადაიდო მარცხენაზე. ჩვეულებრივად გამოუვიდა, მაგრამ ფეხი რომ ასწია, მძიმე მოეჩენა პროცეზი, უფრო მძიმე, ვიდრე სიარულის დროს ეჩვენებოდა.

მზით გაეაშკაშებული ამინდი იღვა, ცხელოდა.

შადრევანთან ბაეშვები წუწაობდნენ. ერთმანეთს დასდევდნენ, დარბოლდნენ. საოცრიად მოქნილად ასხმარტალებდნენ გამხდარ ფეხებს.

ჩიტები ჰიქტიკებდნენ. ერთი, აგრე, ცხეირწინ დაუსკუპდა ვაეს, ჩხირივით წვრილი ფეხებით დახტოდა აქეთ-იქით და საკენს ეძებდა. მერე შეეშინდა რაღაცის, დაიკიკიკა, განმრთელი ფრთებით შეფრთხიალდა და იმ წვრილი ფეხებით შეხტა ხის ტოტზე.

ოდნავ მოშორებით ძალლი იწვა. წინა თათები წინ გაეშეირა და თავი იმ თათებზე ედო. მიღულულ თვალებს ხანდახან ახელდა, მაგრამ მაღვ ისევ მოწურავდა. მერე უკანა თათი ასწია, ენერგიულად მოიფხანა ბეჭი.

ვაუამ პროცეზებზე მორჩებულ საკუთარ ფეხსაცმელებს დახედა. სიცოცხლით საგუე ფეხსაცმელები, ალბათ, არავის უნახავს, მაგრამ ასეთი უსიცოცხლო ფეხსაცმელებიც აქამდე არ

ენახა ვაედს. ოდნავ გვერდულად მოქმედებული, თითქოს უხალ-
სოდ და მოწყვილი გამოიყერებოდნენ. — ფეხსაცმელი არ-
სოდეს მომიშერს, — მწარე ირონიით გაიფიქრა. ახლა ფე-
საცმელი კი არა, ფეხები ეცვა თითქოს, რომელიც წერებს უ-
შეძერდა და სტკენდა...

საერთოდ, იმდროინდელი საბჭოთა პროთეზები არ იყო და-
ხვეწილი. რამდენიმე წლის შემდეგ, ვაედს გაცილებით უფრო
მაღალი ხარისხის პროთეზებს ჩამოუტანენ, თვითონაც გაცი-
ლებით მეტად მიეჩვევა მდგომარეობას როგორც ფიზიკურად,
ისე ფსიქოლოგიურადც და უკვე ისე ივლის ხელოვნური ფე-
ხებით, რომ დაკვირვებული თვალისოვისაც კი ძლიერ შესამჩნე-
ვად იქოჭლებს.

ვაედმ ისე გაითავისა პროთეზები, რომ გარშემომყოფი უა-
ლოესი ადამიანებისოვისაც კი შეუმჩნეველი რჩებოდა ის დის-
კომფორტი, რომელსაც ვაედს ისინი უქმნიდნენ.

ერთხელ, ქვათახევის ექლესის სანახავად ექსკურსიაზე წა-
სულმა თანამშრომლებმა ექლესისასთან მდებარე პატარა გო-
რაკზე ასვლა გადაწყვიტეს, ეიღოცამ თქვა, იქიდან ძალიან ლა-
მაზი პანორამა იშლებაო, მაგრამ მერე გადაიტიქრეს, ვაკა იქ
კურ ამოვა და თავს დაჩაგრულად ნუ ვაგრძნობინებოთ. ათიო-
დე წუთის შემდეგ, ყველასთვის მოულოდნელად, ვაედმ იმ გო-
რაკიდან გაღმოსახა მეგობრებს და მასთან ასვლა უჩრიდა, აქ-
დან შესანიშნავი სანახაობა იშლებაო. როგორც ჩანს, მიხედა
თუ რატომ თქვეს უარი იქ ასელაზე მისმა მეგობრებმა.

ეს ყველაფერი მერე მოხდება, ბევრი ტანჯვა-წვალების გადა-
ტანის შემდეგ, მაგრამ მიზანი — საკუთარი ნებისყოფისა და
ძალისსმევის მაქსიმალური მობილიზების ხარჯზე მიეღწია იმი-
სთვის, რომ სულიერი წონასწორობა შეენარჩუნებინა და ცხო-
ვრებაში მისი ადგილისა და ფუნქციისთვის მიეგნო — ლირდა
წვალებად.

მთავარი მაინც ინგასთან ურთიერთობა იყო. ვაედს გადაწყ
ვტილება, რომ უარი ეთქვა ინგაზე, რათა მისი ხვედრის გაზი-
არებით არ დაეტანგა იგი, ძალაში რჩებოდა. თუმცა, ინგას
გადაწყვეტილებაც, რომ სიყვარულისთვის ხელი კი არ ექრა,
პირიქით, ვაედს მძიმე ხვედრის გაზიარებაში ეპოვნა ბედნიერე-



ბა, ასევე რჩებოდა ძალაში.

ინგას ამ მტკიცე გადაწყვეტილებას ხელი შეუწყო მისი ღვა-
ნის ერთსულოვანმა პოზიციამაც. მშობლებიც, და-ძმაც, მიუ-
ხედავად იმისა, რომ კარგად აცნობიერებდნენ მდგომარეობის
სირთულეს, მაინც სიყვარულის მხარეს იხრებოდნენ.

ინგას მამამ, ქართული ტრადიციული სულისკვეთების პი-
როვნებამ, შალვა კოკაიამ, ამ საკითხზე მსჯელობა ერთი წინა-
დადებით დაამთავრია.

— სიყვარული არც გართობა და არც ფუფუნება, სიყვარუ-
ლი მოვალეობაა. ვინც უყვართ, იმსა გაქირვებაში არ ტოვებენ.
თუ გიყვარს, ეს საკითხი არც უნდა აქციო განხილვის საგნად.

ინგას დედას, ლილის, მართალია არ უაქტიურია, მაგრამ
მისი დუშმილი, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში ხდება-ხოლმე,
უფრო თანხმობის ნიშანი იყო, ვიდრე წინააღმდეგობისა. ინგას
უმცროსი და — როენაც სიყვარულს აჭნებდა ყველაფურზე
მალლა, ხოლო ძმა — რეზო, ვის თვალწინაც დატრიიალდა ვა-
კის ტრაგედია და ვისმა გამჭრიახობამ და საზრიანობამ, და-
კრილს ქამრები რომ მოუჭირა კიდურებზე, ვაკის სიცოცხლე
შეუნარჩუნა, მის მიმართ ისეთ ჭირისუფლურ დამოკიდებუ-
ლებას და ადამიანურ თანადგომას განიცდიდა, რომ ერთი წუ-
თითაც არ უშვებდა საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტის შესაძ-
ლებლობას...

დიდხანს წვალობდა ვაჟაც, მაგრამ მის კეთილშობილებასაც
სიყვარულმა სძლია, არა იმიტომ, რომ კეთილშობილების დე-
ფუციტს განიცდიდა, არამედ იმიტომ, რომ მისი სიყვარული
ინგასადმი ყოვლისმომცეველი და მისი მტკიცე ნებისყოფისთვი-
საც დაუძლეველი აღმოჩნდა...

და იდგა ვაჟა მის ბედისწერასთან ერთად ეკლესიაში და
ჩურჩულით იმეორებდა მოძღვარის შეერ წარმოთქმულს:

— ღმერთისა და კაცის წინაშე წარმოვსთქვამ საზეიმო ფიცს,
რომ სიცოცხლის ბოლომდე მეყვარება მეუღლე და თანამეცხე-
დორე ჩემი ინგა კოკაია, გავიზიარებ მის ყოველ ჭირსა და ლხინს
და არ დაეშორდები, ვიდრე სიკედილი არ დაგვაშორებს!

მასთან ერთად წარმოსთქვამდა ინგა:

— ღმერთისა და კაცის წინაშე წარმოვსთქვამ საზეიმო ფიცს,

რომ სიცოცხლის ბოლომდე მეყვარება მეუღლე და თანამეუტე-
დრე ჩემი ვაჟა გოროზია, გავიზიარებ მის ყაველ ქირსა დ-
ლხინს და არ დავშორდები, ვიდრე სიკედილი არ დაგვაშორებ.

მერე შეუცვალა ბეჭდები მოძღვარმა და უბრძანა ამბორე-
ყოთ ერთმანეთისთვის. და როცა ოდნავ შეეხო მათი ტუჩები
ერთმანეთს, ორივეს ერთნაირად შეეფალათ ლაწვები, მღელ-
ვარებისგან სუნთქვა შეეკრათ და დახარეს თავი...

წლისთავზე ზაზა ეყოლათ, ორი წლის შემდეგ, ტყეპი ვაჟი
— ზურაბი და ზვიადი, მაგრამ ბეჭმა კიდევ ერთხელ უმუხლათ
და, ხუთი თვის ასაკში, ზვიადი გარდაცვალათ.

თორმეტი წლის შემდეგ კიდევ ერთი ვაჟი ეყოლათ — ლე-
ვანი.

გოროზიების ოჯახს არც შემდეგ მოპკლებია ტკიეილი და
ტრაგედიები. ჭერ ვაჟას დას, აზას გარდაცვალა 22 წლის ვაჟი
— გოგოტა. სულ მალე კი, ძმას — ბენოს გამოეცალა ხელიდან
28 წლის ვაჟიშვილი — კახა...

ინგანაც ახალგაზრდა ასაკში დაეღუპა საოცრად ყურად-
ღებიანი და მზრუნველი მამა — შალვა კოკაია, ერთადერთი და
— როენა, მისი მეუღლე — ელბერტი. გარდაცვალა მამაც,
უკეთოლშობილესი ქართველი ვაჟები შალვა კოკაია.

მოკლედ, ცხოვრება თავისი გზით მიღიოდა...

ოცდაჩეიდმეტი წელი იცხოვრეს ერთად. ოცდაჩეიდმეტი წე-
ლი ზიდეს მძიმე ჯვარი. იყო მრავალი სიხარული, იყო ჩვეულე-
ბრივი, ნაცრისფერი დღეებიც, მაგრამ, როგორი საკვირველიც
არ უნდა იყოს, სიყვარულს არ მოპკლებია ხასხასა ფერები...

გმირები ერთხელ ხდებიან გმირები, ხოლო ვაჟას ცხოვრება
ყაველდღიური, ყაველწუთიერი გმირობა იყო. მან მოიპოვა
სამეცნიერო რეგალიები — დოცენტის, პროფესორის წოდებე-
ბი. აირჩიეს საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიე-
რობათა აკადემიის ნამდვილ წევრად. მისი სამეცნიერო მოხ-
სნებები ყაველთვის ყურადღების ცენტრში ექცევდა როგორც
საქართველოში, ასევე საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთის
მრავალ სამეცნიერო თავმჯილობებზე.

ვაჟას მეცნიერულ ნაშრომებს მომავალი თაობებიც ვერ აუ-
კლიან გვერდს, რაღაც ზერელედ და ზედაპირულად არაფერი



უწერია და უკეთებია.

ოცდაჩემეტი წელი მეცნიერული და საზოგადოებრივი საქმიანობით, მეგობრებთან ურთიერთობებით, ადამიანური ვნებებით, წარმატებებისა და წარუმატებლობის განცლებით აღსავს, სისხლსაჟეს და ენერგიული ცხოვრებით ცხოვრების წლები იყო, მაგრამ იმ ოცდაჩემეტი წლის შესახებ წიგნის ამ ნაწილში მკითხველებს არ გადავლლით, ვინაიდან ამ საქმეს, ჩვენზე უკეთესად, ვაჟას და იმ პატარა მოთხრობის ავტორის კოლეგები და მეგობრები გააქეთებენ. მათ მოვონებებს ვაჟას ცხოვრებასა და მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ შემდეგ წიგნის მეორე ნაწილში წარმოგიდენთ. ჩვენ კი გავუსწრებთ მოვლენებს, ვამოვტოვებთ ვაჟას ცხოვრებისა და მოღვაწეობის თითქმის ოთხ ათეულ წელიწადს და 2004 წელში გადმოიწავლებთ, როდესაც იგი 60 წლისა შესრულდა.

უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გამართული საიუბილეო საღამო ვაჟას სამეცნიერო ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთგვარი შეჯამებაც იყო, მაგრამ უფრო მეტად მაინც მომავლისკენ მიმართული მზერა გახლდათ, რადგან 60 წელი მეცნიერისთვის მხოლოდ სიმწიფისა და მიღწევების შეჯამების ასაკია. მაშინ არავინ იცოდა, რომ ვაჟას მომივალი ძალიან ხანმოკლე იქნებოდა.

იმ დღიდან ვაჟამ თითქმის ერთი წელი იცხოვრა. ზუსტად ხუთი დღე დააკლდა დაბადების დღემდე — 26 დეკემბრამდე.

B ეკემბრის პირველი რიცხვები იყო, 2005 წლის ზამთარი დგებოდა.

ვაჟას კათედრიდან დაურეკეს.

ჩვეულებრივად მოიკითხა თანამშრომელი, რომელმაც დარეკა, ცოტა ხანს ისაუბრეს.

— დღეს, რომელ საათზე მობრძანდებით? — პეითხა თანამშრომელმა, მაგრამ ვაჟამ არ უპასუხა. თანამშრომელმა იფიქრია, შეკითხვა ვერ გაიგოო.

— დღეს, რომელ საათზე მობრძანდებით კათედრაზე? —

კვლავ გაუმეორა კითხვა.

— არ ვიცი... — გაისმა პასუხად და ჩამდენჯერმე გამეორა,

— არ ვიცი... არ ვიცი... არათერი არ ვიცი...

— ბატონო ვაჟა, — შემცბარ თანამშრომელს უნდოდა კი-
დევ რაღაცა ეთქვა, მაგრამ ყურმილში კვლავ ის უცნაური სი-
ტჭა გამეორდა.

— არ ვიცი...

კავშირი გაწყდა...

ქალაქის მეცხრე საავადმყოფოში ვაჟას თავის არის კომპიუ-
ტერული გამოკვლევა ჩაუტარეს.

დიაგნოზი საიდუმლოდ უთხრეს ინგას: თავის ტვინი სიმსი-
ენური მეტასტაზებით იყო დასერილი.

ინგას არ გაჰქირებია დიაგნოზი.

ამ თავმა, ამ ტვინმა ბევრი ჩამ გადაიტანა, არა მარტო პი-
რადი ტრაგედია — ტკივილი, სიხარული, ბეღნიერება, უბედუ-
რება, არამედ საზოგადოებრივი ტრაგედიები, სამოქალაქო ომები,
ტერიტორიების დაკარგვა, საქართველოს პოლიტიკური, ეკო-
ნომიკური, ცნობიერი და ზნეობრივი ნგრევა, ლირებულებათა
გადაფასება, აგრე, უნივერსიტეტისა და განათლების სისტემა-
ში დაწყებული ქაოსი, განუკითხაობა და ნგრევა... კვლავ ნგრე-
ვა. ოჯახის, შეილების, ქვეყნის მომავალზე ფიქრი და დარდი,
მის ცხოვრებაში შემოქრილი შემოდგომა და მოახლოება იმი-
სა, რასაც სხვებისთვის სიბერე ერქვა, ვაჟასთვის კი... ღმერთსა
იცის, რა იქნებოდა ან როგორი იქნებოდა ვაჟას სიბერე, დაუ-
ძლურებული და ენერგიისგან დაცლილი სხეული როგორ უნდა
ეტარებინა მის ერთგულ პროთეზებს? შეძლებდა კი, სიბერეში
ლირსების შენარჩუნებას? ეს კითხვა მთელი ცხოვრება სტანგა-
ვდა ვაჟას. მართალია, პროთეზებზე იდგა, მაგრამ კაცური, ადა-
მიანური ღირსება არასოდეს დაუკარგავს. ისე ახერხებდა ცხო-
ვრებას, რომ თვით მეუღლესაც კი, ვინც ყველა დარდი და
ტკივილი ვაჟასი, ბოლომდე გაიზიარა, იგი უმწეო და ღირსება-
შელახული არასოდეს უნახავს. ვაჟა არასოდეს გამხდარა მოსა-
ვლელი, ვაჟას ყველაზე მსუბუქი ივადმყოფობის უფლებაც კი
არ მიუცია საკუთარი თავისთვის, რომ უმწეოდ არ ჩვენებოდა
არავის, განსაკუთრებით კი, ინგას. არა, იგი ყოველთვის თვი-

თონ იყო ყველას მომელელი. იგი ყოველთვის მხნე იყო, ყოველთვის ფორმაში იყო, მაგრამ სიბერეზე ფიქრი აწუხებდა მაინც. და ჩაც უფრო ახლოვდებოდა ეს დღე, მით უფრო ნერვიულობდა და განიცლიდა. არა, არ სურდა მოსავლელი გამხდარიყო.

ინგამ იცოდა, უფრო სწორად, გრძნობდა, ვაჟა არასოდეს დაუშებდა, რომ ოჯახს ტვირთად დასწოლოდა. და თუ ეს ხელიც გარდუგალი იქნებოდა, ვაჟა, შინაგანად, იმ საბედის-წერო ნაბიჯისთვისაც მზად იქნებოდა, რაც ესოდენ მიუღებელია ქრისტიანული მორალისთვის, მაგრამ ვაჟას ამის უფლება მოპოვებული ჰქონდა — ის ხომ ღმერთთან იყო ნასაუბრები, მაშინ, ოცდაწელეტი წლის წინ, როცა სასწაულით ცხოვრებას შემთხვევითობისა და აუცილებლობის კანონებით ცხოვრება არჩია. ოცდაწელეტი წელიწადი უმძიმესი ტვირთის ზიდვა, მას აძლევდა უფლებას, რომ...

არა, ვაჟას ამის შესახებ არასოდეს არაფერი უთქვამს, მაგრამ ვაჟას ცხოვრებაში, მის გონებასა და არსებობაში განარავები იყო ისეთი, რასაც ინგა ვერ ჩასწავებოდა?

იცოდა ინგამ, რამდენ არამეს ხარშავდა ამ ჰქვიანი კაცის ტვინი და გონება. როგორც ჩანს, ველარ გაუძლო ამ ჭოჭოხე-თურ დატვირთვას ტვინმა და წარმოიქმნა მასში მკვდარი უწრედი, რომელიც იმ ვერაგი სენის კანონების შიხელვით, გამრავლდა, გავრცელდა და დაიპყრო მთლიანად ვაჟას გონება...

საავადმყოფოში დარჩენას აზრი არ ჰქონდა. იმავე დღეს გადაიყანეს სახლში. ორიოდე კვირა გაატარა სიზმრებისა და ხილვების სამყაროში, მაგრამ ის, რასაც ხედავდა, იმდენად ცხადად და ხელშესახებად ხდებოდა, რომ სიზმარს ვერანაირად ვერ დაარჩევდა.

იმ ღამეს მისი დიდი მასწავლებელი რომ გამოეცხადა, მიხედა, ორი სამყარო — ჩეილური და ირეალური ისე დაახლოვდა მისთვის, რომ აქედან იქით გადასვლა და იქიდან აქეთ გადმოსვლა შესაძლებელი გახდა...

პროფესორი ვენორ ქაჩიაშია ოცდასამი წლის წინათ, 1982 წლის 13 მარტს გაიღდაცვალა. 2004 წლის გაზაფხულზე მისი დაბადებიდან მეოთხმოცე წლისთავი აღნიშნეს უნივერსიტე-

ტში და ამ ლონისძიებას, მის კოლეგებსა და მეცნიბრებთან ერთად, თვითონ ვაკა ხელმძღვანელობდა. ბატონ ვენორის მიერ 25 წლის წინათ დაწერილი სენსაციური მონოგრაფია — „ვეტენისტურ-სნის საიდუმლო”, როგორც იქნა, გამოსცა სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ და ამ საქმესაც თვითონ ვაკა ედგა სათავეში.

ახლა კი, ოცდასამი წლის წინათ გარდაცვლილი მასწავლებელი, აგრე, სასთუმალთან ეჭდა ვაკას და ისე ეფერებოდა და ანუგეშებდა, როგორც მაშინ, ოცდაჩედმეტი წლის წინათ, როცა ვაკამ კიდურები დაკარგა და ჩეკინიგზის საავადმყოფოში სულ აამდენიმე თვის გაცნობილი პედაგოგი სანახავად მიეიღა...

მაშინ ბატონი ვენორი ვაკასთვის მახლობელი ადამიანი არ ყოფილა, მაგრამ მერე მათი ურთიერთობა მასწავლებლისა და მოსწავლის ტრადიციულ ჩარჩოებს გასცდა და კოლეგიალობაში, მეცნიბრობასა და თანამოაზრეობაში გადაიზარდა.

იმ უზარმაზარმა ტრაგედიამ, რომელიც პიროვესორ ქვაჩახიას დაატყდა თავს, როდესაც მისმა 12 წლის ერთადერთმა ქალიშვილმა თავი ჩამოიხრჩო (ეს ვაკას ტრაგედიიდან ოთხი წლის შემდეგ მოხდა), ეს ორი პიროვნება სამუდამოდ შეავაგშირა.

სოციოლოგის პირველი კათედრა მთელ საბჭოთა კავშირში, რომლის ჩამოყალიბების იდეა მაშინ, საავადმყოფოში ვანდეო ვაკას პიროვესორმა ქვაჩახიამ, იმ დღიდან აამდენიმე თვის შემდეგ (1968 წელს) მართლაც გაიხსნა, სადაც ვაკამ მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა, იმ კათედრის პირველი ასპირანტიდან პიროვესორამდე.

ახლაც, მიუხედავად ოცდასამწლიანი განშორებისა, ვაკას სასთუმალთან უფროსი, მაგრამ უახლოესი მეცნიბარი იჭდა...

— რა იყო, ვაკა, დაგლალა ცხოვრებამ? — ისე ჰქითხა მასწავლებელმა, თითქოს არასოდეს დაშორებიან ერთმანეთსო.

— რადა დაგიმალოთ, საკმაოდ დავიღალე, ბატონო ვენორ, — გულწრფელად უპასუხა ვაკამ.

— შენ ვრ გაგტეხა ცხოვრებამ და ეს მიხარია, მაგრამ მანტერესებს, კმაყოფილი ხარ ვანკლილი გზით?

— მოწუწუნე არასოდეს ვყოფილვარ. იყო წუთები, როცა

ძალიან მიკირდა, მაგრამ არ ვწებდებოდი, ოჯახის, სამშობლო-
სა და მეცობრების წინაშე მოვალეობა და პასუხისმგებლობა
მაძლევდა ძალას, თქვენი მაგალითიც მშველოდა ძალიან.

— რაღაცა ხდება საქართველოში, უნიკერსიტეტში?

— ლიტებულებათა დიდი გაძაფასების უამი დადგა, ბარონო
კვნორ. ბევრი ისეთი რამე დაინვრა, რაც მართლა დასანგრევი
იყო, მაგრამ ბევრი ისეთი რამეც დაინვრა, თქვენი თაობა და
ჩვენი თაობა თვალისწინებით რომ ვუფრითხილდებოდით. ამ პრო-
ცესებში ჩემს ადგილს ჟრ ვხედავ...

— რა გადაწყვიტე?

— მე არაფერი გადამიწყვეტია, წინასწარ არის ყველაფერი
გადაწყვეტილი.

— ბედისწერა?

— ვაკეს გაახსენდა, ოდესაც, სემინარებზე, აუცილებლო-
ბისა და შემთხვევითობის შესახებ რომ ეკამათებოდა პროფე-
სორს.

— ბედისწერა, — თქვა, — მე მაინც ბედისწერისკენ ეიხრები,
თუმცა, კარგად მესმის ბედისწერისა და შემთხვევითობის დია-
ლექტიკა, — მერე თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა, — ადამი-
ონებს ეშინიათ ბედისწერის, მე კი მიყვარდა ჩემი ბედისწერა.

— ვერანაირი ფილოსოფია და სოციოლოგია ვერ ახსნის
ცხოვრებას, ცხოვრება რაღაცით მეტია ფილოსოფიაზე, ისევე
როგორც ფსიქოლოგია ვერ ამოწურავს ადამიანს, მის სულს,
ადამიანიც ყოველთვის მეტია, ვიდრე მისი შემსწავლელი დის-
ციპლინები, — თქვა მასწავლებელმა.

— ცხოვრებას ვერ ისწავლი, ის უნდა იგრძნო და განიცა-
დო, — თქვა ვაკემ, — და მთელი ცხოვრება უნდა გაიარო,
რათა მიხედვ თუ რაშია სიკეთის უპირატესობა ბორიტებაზე.
— მერე გაჩუმდნენ...

ვაკეს ჩაეძინა.

დიდხანს არ უძინია. თავის ტკივილმა გამოაღვიძა.

იქითკენ მიაბრუნა მწერა, სადაც მისი დიდი მასწავლებელი
ეგულებოდა, მაგრამ პროფესორი არსად ჩანდა. ინგან მზერას
წააწყდა. ინგა ვაკეს თვალში მუდამ ახალგაზრდად გამოიყურე-
ბოდა, თითქოს წლები არ ემატებოდა. ახლა კი, ერთბაშად

შეამჩნია ვაჟამ, რომ ძალიან შეცვლილი იყო ინგა. **დაბერებულის**
ბულს ვერ ეტყოდი, მაგრამ ახალგაზრდაც აღარ იყო უკვე
შეცოდა ინგა.

ოცდაჩემდეტი წელიწადი გავიდა. სიყვარულის, თანაგრძ-
ნობისა და თანაცხოვრების ოცდაჩემდეტი წელიწადი. ძნელი,
ხშირად მტანჯველი და მძიმე წლები, მაგრამ მაინც ჩქარა გაფ-
რენილი დრო.

ხელით ანიშნა, მოდიო.

ინგა მივიდა, თავზე დაადგა ავადმყოფს.

— გაწუხებსი? — ჰეითხა.

ვაჟამ ხელზე წაატანა ხელი. ფრთხილად მიიტანა ინგას ხე-
ლი ტუჩებთან და აკოცა.

— ძალიან მტკივა, ლამის გამისკდეს თავი, — თქვა.

ინგამ უხმოდ გამოართვა ხელი. კარადასთან მივიდა, წამალი
აიღო, მერე ჭიქაში წყალი ჩაასხა და ვაჟას მიუტანა.

— ორ ცალს დავლევ, — სთხოვა.

— ძლიერია ძალიან, — უთხრა ინგამ, — ერთიც გაგიყუჩებს.

— ლევანს ხომ არ დაურეკავს? — უმცროსი ვაჟი მოიკითხა,
რომელიც იტალიაში იყო წასული სამუშაოდ.

— ღილას ველაპარაკე, — თქვა ინგამ, — ერთ კვირაში ჩამო-
ვა.

— ჩემი ავადმყოფობის გამო ხომ არ მოდის, ცოდვაა, ადვი-
ლი კი არ არის იტალიიდან ჩამოსვლა, — ტუჩები გამშრალი
ჰქონდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა.

— არა, ვაჟა. შენი ავადმყოფობის შესახებ არათერი მითქვამს,
მაგრამ ახალი წელი მოდის, შენი დაბადების დღეც მოახლო-
ვდა და მაინც აპირებდა ჩამოსვლას.

— ბიჭები სად არიან?

— ვერ არ მოსულან, მოვლენ საკაა.

— რომელი საათია? — იყითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— ხუთი საათია, მაგრამ დაღამდა უკვე, დეკემბერია, ადრე
ლამდება.

— ადრე ლამდება, — თქვა ვაჟამაც, — ადრე ლამდება, —
ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გაიმეორა ჩურჩულით.

— გაგიყუჩა? — ჰეითხა ინგამ, მაგრამ ვაჟას არ უპასუხია,

თვალები მიღულული ჰქონდა.

ინგა ფეხაერებით გავიდა ოთახიდან.

ვაერა კვლავ სიზმრების სამყაროში გადავიდა.

ჩამდენიმე საათს გასტანა ასეთმა მდგომარეობამ, ეტყობა, ძლიერმოქმედმა გამაყუჩებელმა იმოქმედა...

დაახლოებით თერთმეტ საათზე, ინგამ შეაკითხა ავადმყოფს. კარის გაღებაზე თვალები გაახილა. ინგა თავზე დადგა და ჩურჩულით ჰქითხა, — როგორ ხარო. ვაეამ თითქოს გაულიმა და ხელის მოძრაობით ჩაღაც გაუჩივეველი ანიშნა.

ინგამ იფიქრა, ალბათ ბიჭებზე მეკითხებაო და შეილებს გასძახა, შემოდითო.

ჯერ ბავშვებმა შემოიჩინეს, მერე შემოვიდნენ ჩალები — ნინო და მაკა, რომლებსაც ზაზა და ზურაბიც შემოუწენენ.

ბავშვები ბაბუასთან მივიღნენ და მოშვებულ წევრ-ულვაშე წაეპოტინენ. უფროსს, ინგას, ინგა ბებოს თვალ-წარბი და წაბლისფერი თმები ჰქონდა. სიცილის დროს, ბებიასავით, პაწია ფოსო უჩინდებოდა მარჯვენა ლოფაზე. უმცროსი, ნინი, კელავ წვერებზე ეპოტინებოდა ბაბუას და ჩაღაცას ეტიტინებოდა.

ვაერა უცებ გაირინდა, წარბები ერთმანეთთან მიიტანა და თვალები დახუჭა.

ინგა მიხედა, რომ კელავ დაეწყო თავის ძლიერი ტკიეილი.

ბიჭები დაადგნენ თავზე. ზაზა დაიხარია და შუბლზე აკოცა მამას. ზურაბმაც იგივე გაიმეორა.

ინგამ კვლავ დაალევინა გამაყუჩებელი.

ცოტა ხანში, შეკრული კოპები გახსნა ავადმყოფშა, თანაბრად და მშვიდად იწყო სუნთქვა.

მერე თვალები მიღულა და კვლავ სიზმრებისა და ხილვების სამყაროში გადავიდა.

ოცდაერთი დეკემბერი იწურებოდა. ყველაზე მოკლე დღე დამთავრდა და ყველაზე გრძელი ღამე დაიწყო...

და კიდევ ერთხელ იხილა შავი ხარი, რომელსაც ფოლადის ჩლიქებიანი, ოდნავ მოკლე და სქელი წინა ფეხები ჰქონდა. აღრინდელივით არ გამოყიდებია ხარი. იდგა და უყურებდა ვარას, ამღვრეული თვალებით.

ვაერა მივიდა ხართან, ჩქაზე წაავლო ხელი.

— წიგიდეთ, — უთხრა, — წავიდეთ, მე მოვედი შენობას! — ზურგზე შემომაჯექი, მე წაგიჭან, — შესთავაზა ჰარმა, — არა, — უთხრა ვაეკამ, — ოცდაჩედმეტი წელიწადი ვა-რე ამ ხის ფეხებით. ისე მივეჩვიე, საკუთარ ფეხებს მიჩრევნია, არავის სათრევი არ ვყოფილვარ არასდროს. ახლაც ჩემით ვ-ვლი, არ მჟირდება შენი სამსახური.


დაიძრა შავი ხარი და გაჭუა ვაეკან. დიდხანს იარეს, თუმცა, უსწორ-მასწორო და მაღალი ბალახით იყო დაუარული ვრცელი მინდორი, რომელიც უნდა გადაელახათ, ვაეს ერთხელაც არ შეშლია ფეხი, ერთხელაც არ წაბორიძიკებულა, ოდნავ განიერი ნაბიჯებით მტკიცედ მიაბიჯებდა, ვიდრე ორივენი, ჰორიზონტს მიღმა, თვალს არ მიეფარნენ...

თბილისი, 2006 წელი

ពេជ្ជនាមទំន់ ពួរប្រព័ន្ធវិច្ឆូនិក គិតលទ្ធផល



ეპუას ბავშვობა (წინა რიგში, მარცხნივ)



ძმები – ეპუა და ბენთ კორომილები



ქართველების ცერემონიალი





ახალგამზღვა ცოლ-ქმარი შეიძლებონ ერთად



ପାଦ୍ମ ଏବଂ ନିତ୍ୟା ପ୍ରେମମାନିଙ୍କୁ (1984 ଫି.)



ვაკეა და ინგა ვაკეას ძმასთან, დებორან და სიმეულთან



ინგას ოჯახი (მამა – შალეგა, დებორა – ლილი, და – როუზა, ძმა – რეზო)



მესამე ვაჟიმელი დევეანთან ურთად



ოჯახში



უფროსი ვაჟიმენილი შაბა, რძალი ნინო და მათი ქალიმენილი ინგა



მეორე ვაჟიმენილი შურაბი, მეუღლე მაკა და მათი ქალიმენილი ნინო



ემიროსი ეაკიშვილი დევანი ვენეციაში



შვალიშვილები ინგა და ნინი



ინგა




ნინი



მეორე ვაჟიმეილი მურაბი, შეილიმეილი ნინი



შეილები და რძლები
ემსოფლივ ვაჟიმეილ ლევანის ევროპამი გასილების დროს



ლევანის გაცილება იგაღიაბეთი — ქადრი, როდესაც ვავამ თქვა,
ლევანს უკანასკნელად ვხედავო

— არ არის ის უკანასკნელი? — მარჯორი დასკვირდა და მის გარეშე მის მამაზე მიუდიდებობდა.




საქართველოში, გორისმინების ოჯახში სტუმრად მყოფი გერმანელი
პროფესორი დიგერ მტრესელი (მარცხნიდან მეორე)



საქართველოში, გორისმინების ოჯახში სტუმრად მყოფი რესი პროფესორი ვალერი კუდი მეედღესთან ერთად (მარცხნიდან მეორე)



შვილიშვილ ინგაბიან ერთად



ელიონოდ დაღუპულების ეპისტოლით გოგიგა წელადა
და მშისმეოლი კობა გორიონია



გერმანელ სტუმრებთან ერთად სამაჩაბლოში



მეცნიერებთან ერთად – ჯუმბერ კესაცევა,
დათო ბასილაძა, რექტო კოქაძა



ღვევანთან ერთად (ღვევანის იგალიაში გამგზავრების წინ)



პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილთან ერთად



შეგობრუებთან ერთად – ია ხებაშვილი (მარცხნივ),
არსენ გვიმრაძე (მარჯვნივ).



შეგობრუებთან ერთად – თემურ ქობერიძე, თამაზ ყანდარიული,
ლეო ჩიქავა, თემურ გოლიაძე, გერმანე ფაქაცია



დედაუნივერსიტეტში



მეცნიერებლთან ერთად – პროფესორები დევის ბექვათა, მერმან ტურავა



ვაჟა და ინგა გურმანიაში პროფესორ დაგურ მტრეალითან
და მის მეცნიერებითან ერთად



შეგობრებთან ერთად – მანანა ასათიანი და
პროფესორი ვახუშტი უარცვანიძე



ლევანთან და ლისმეილ დათოსისთან ერთად



მეგობრებთან ერთად –
პროფესორი აკაკი ყულავანიშვილი (მარცხნივ)



მეგობრებთან ერთად – მარინა ბურძენიშვილები,
ცოდლა ხინთიბიძე, მანანა ასათიანი



პროფესორ აშორან ბერძენიშვილთან ერთად



ვაჟა და ინგა მეგობრებთან ერთად – დათო ქამჩხაძა,
თემერ გოუარიძე, ვახუშტი უარცვანიძა,
ციალა ხინიაძებე, კლლარ გოლერძიშვილი



გერმანიაში მუსობრებთან ერთად – ქრისტენები
ბაალერ გელაშვილი, ანშორ ტყემალაძე, ოთარ გაბოძაშვილი



ეკანას ქალი დლეები



ମନ୍ଦିରରେ ଧୀର୍ଘମୌଖିକୀ

ის იყო პაცი...

ადამიანის არსებობის, აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრესი აუცილებელი პირობაა მტკიცე ჰუმანური გარემოცვა, რაც იქმნება მის შემადგენელობა ინტელექტუალური, მორალურ-ფიქოლოგიური და სხვა სულიერი მონაცემების, აგრეთვე პრაქტიკული სიკეთისქმედების უნართა ერთობლიობის სახით. მაგრამ გარემოცვის წევრები აღნიშნულ თეოსებებს სხვადასხვა ძალით ავლენენ. ასე რომ, მათ შორის გამოიყენებიან ლიდერებიც, საშუალო ძალის მქონენიც და, რა თქმა უნდა, გარემოცვის ერთგვარიად პასიური წევრებიც.

გადაუჭირებებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩემს გარემოცვაში, რომელმაც განსაზღვრა და წარმართა ჩემი არც თუ წარუმატებელი ხანგრძლივი ცხოვრება და მოღვაწეობა, ერთ-ერთი ლიდერი, საერთო შემოქმედებითი აქტიურობის მასტიმულირებელი ძალა იყო ბატონი ვაჟა გორგაშია. მაპატიეთ გადახვევისათვის: იგი ცოცხალი რომ იყოს, ბატონობით მიმართებას არ მაპატიებდა — გამიბრაზდებოდა, როგორც მან ეს ერთხელ უკვე გააეთა. როცა მე მას, ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს სწავლულ მდივნად არჩევის შემდეგ, ხუმრიობით ასე მივმართე ვერ ვიტყო, რომ იუმორით უაღრესად დაჭილდოებულმა აღამიანმა ხუმრიობა ვერ გაიგო, მაგრამ იგი იმდენად ღრმა ჰუმანისტურ-დემოკრატიული სულისკვეთების მატარებელი პიროვნება იყო, იმდენად მიაჩნდა ყოველგვარი თანამდებობა სხვებზე ზრუნვის საპატიო მოვალეობის გამოხატულებად, რომ ასეთ

მიმართვას ხუმრობის სახითაც არ დებულობდა. იგი მას დასაცავის შევბად მიაჩნდა მხოლოდ უფროსებისადმი მიმართვის დროს.

ვაკეს ჰქონდა უდიდესი პიროვნული ხიბლი. მისი სიკეთისქმედებისკენ მიმართული უდიდესი ენერგია იმდენად ნათლად ირკვლებოდა მის ცეცხლოვან გამოხედვაში, რომ ხანდახან მიკვირდა კიდეც: როგორ იტევს ფიზიკურად ეს შედარებით მომცრო ტანის კაცი ასეთ ამოუწურავ ენერგიას?

ვიმეორებ, ეს იყო სხვისთვის სიკეთისქმედების ენერგია, რასაც ჩვენი ვაკე იყენებდა საკუთარი თავისადმი ზიანის მიუნების სახითაც კი.


ვაკესთვის არ იყო გაყაფილი თეორიული და პრაქტიკული სიკეთისქმედება, ანუ, იგი იყო, მარტივად რომ ითქვას, საქმისა და სიტყვის კაცი. პირდაპირ შეიძლება ვთქვათ, იგი ასეთი იყო, „არა თავისთვის, არამედ სხვისთვის“. ეს დასტურდება მისი ბოლოდროინდელი მოღვაწეობით, როცა მან, როგორც სოციოლოგიაში სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს სწავლულმა მდივანმა, ფასდაუდებელი როლი შეასრულა ფაქტობრივად ფორმალურად არსებული და უმოქმედო საბჭოს ამოქმედებაში. ხარისხის მქონე კალრების მომზადებაში. იგი გულგრილად ხედებოდა ჩვენს საყვედურებს და ალბათ წუხდა კიდეც, რომ ვაძძულებდით სხვებზე ზრუნვისთვის მის მიერვე უხვად გამოყაფილი დროის ნაწილი მაინც საკუთარი თავისთვის დაეთმო.

მე არ შევეცდები ბატონი ვაკეს მიერ შექმნილი უაღრესად მაღალი ხარისხის მეცნიერული პროდუქტების ანალიზით შეგაწყინოთ თავი. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ იგი იყო მრავალმხრივი, უნივერსალური ფილოსოფოსი, რომელსაც ერთნაირი გატაცებითა და მაღალ თეორიულ დონეზე შეეძლო მსჯელობა როგორც გაუცხოების ფენომენის, ისე ფილოსოფიის ზოგად-შემეცნებითი ფუნქციის, ძალაუფლების, როგორც სოციალური ფენომენის, საზოგადოების სოციალური სტრუქტურის, საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმათა კანონზომიერების და სხვა უამრავი ზოგადფილოსოფიური ძირეული პრობლემების შესახებ. სწორედ მათ კელევაში გამოავლინა მან თავისი დიდი ნიჭი და უნარი.

მაგრამ მაინც მინდა განსაკუთრებით შევეხო მის თავგამოადებულ და პრინციპულ ბრძოლას ფილოსოფიის ერთიანობისათვის, უფრო სწორად, — ფილოსოფიისაგან სოციოლოგიის ჩამოშორების გაუმართლებელი ავანტურისტული ცდების წინააღმდეგ. უნდა ვაღიარო, რომ ფილოსოფიის მთლიანობის გადარჩენისათვის მისი პრინციპული ბრძოლა გამოხატა ვაჟას დაუქინებულ თხოვნაში ჩემი და ბატონი ბიძინა ლუტიძის მიმართ, — რეაგირება მოგვეხდინა ამ გაუმართლებელი ცდების მიმართ. სწორედ ასეთი ზემოქმედების შედეგად არის შექმნილი ბატონი ბიძინა ლუტიძისა და ჩემი ერთობლივი ნაშრომი „სოციალური ფილოსოფიისა და სოციოლოგიის მიმართების საკითხისათვის“ („ფილოსოფიური ძიებანი“, IV, 2000წ.). უნდა ვაღიაროთ, რომ აღნიშნული ერთიანობის შენარჩუნების გამომხატველ ძირითად მეთოდოლოგიურ არგუმენტებს ბატონი ვაჟა შესანიშნავად ფლობდა და თავისებურად გვეარნახობდა კიდეც, რომ ფილოსოფია სოციოლოგიის გარეშე მართლაც „მეთე ლირს“ დაემსგავსებოდა, რომ ე.წ. „თეორიული სოციოლოგია“ იგივე სოციალური ფილოსოფიაა, ხოლო კონკრეტული სოციოლოგია — ფილოსოფიის გამოყენებითი მხარე და ა.შ.

სამწუხაროდ, მოვლენათა მსვლელობამ, პირველ რიგში კი, მაღალ დონეზე უფლებამილებული ვაირეფორმატორების ძალისხმეული დროებით მაინც გააქარწყლა ფილოსოფიის ერთიანობის გადარჩენის ყოველგვარი მცდელობა. ამჯამად ფილოსოფია წარმოდგენილია თსუ-ს აღალაც ამორფული „პუნაიტარული ფაკულტეტის“ სტრუქტურული ერთეულის სახით, ხოლო სოციოლოგია — ასევე შინაარსეულად გაურკვევლი „სოციალურ-პოლიტიკური“ ფაკულტეტის შემაღებენლობაში. ასე რომ, იმედი ვიქონიოთ, თეოტნებობის შედეგებს დიდხანს არსებობა არ უწერია და ფილოსოფიის მთლიანობის იდეა, რომლის ერთ-ერთი თავგამოდებული დამცველი იყო ვაჟა გორიშია, ახლო მომავალში მაინც იზეიმებს.

ვაჟა გორიშია იყო სხვისი ლირსების ხელყოფის, სხვის დამსახურებათა და ლირებულებათა მითვისების დაუქინებელი მტერი. მაგონდება, როგორი აღშფოთება გამოხატა მან, როგორც



ვენორ ქაჩახიას საიუბილეო სესიის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, დარგისა და კათედრის იმდროონდელი ხელმძღვანელის არაუთილსინდისიერი ორიენტაციის წინააღმდეგ, როცა იგი ცდილობდა ვენორ ქაჩახიას დამსახურება, ფაქტობრივად, სხვისთვის მიეწერა...

ვაჟა გოროზია იყო შესანიშნავი კოლეგა და პარტნიორი, უაღრესად კეთილსინდისიერი და საიმედო მოწაფე, რომელიც ფოელთვის მტკიცედ ინარჩუნებდა მასწავლებლისადმი დისტანციურობის გრძნობას. როგორც იტყვიან, იგი მაშინაც კი „ტონს არ აუწევდა“, ინარჩუნებდა შესაშურ თავმდაბლურ ლირსებას, როცა იცოდა, რომ დამსახურებულიც აქებდნენ. ალბათ ასეთი სიჯიუტის ერთგვარი მიზეზი მაინც ის თანდაყოლილი ემოციურობა და ცხოველმყაფელი ხალისიანი მისწრაფებები იყო, რომლითაც ალსავსე იყო მისი ცხოვრება. ამის დასტურად მინდა მოვიგონო ერთი იუმორისტული შეფერილობის ფაქტი:

როგორც ფაკულტეტის ხელმძღვანელს, ერთ-ერთი ცენტრალური განერის რედაქტორი მთხოვა დამესახელებინა რამდენიმე დიდი მომავლის მქონე სტუდენტი, რომლებზეც ჩვენ განსაკუთრებულ იმედს ვამყარებდით, მე ფიქრის გარეშე დავასახელე ვაჟა გოროზია, ზურაბ ხასაძა (ამჟამად „რეფორმიტული“ უნივერსიტეტიდან გამოქვეყნდული პოეტი — პროფესორი) და ბორის ბეგაშვილი. მეორე დღეს, მაშინდელი ორგონიკიძის თუ კალინინის ასიმილიციის თანამშრომლები დეკანატში მეწვივნენ და მორიდებულად მთხოვეს დამედასტურებინა, რომ ზურაბ ხასაძა და ვაჟა გოროზიაზე „მამხილებელი“ მასალის გაცნობის შემდეგ აზრს ხომ არ შეეიცვლიდი. დამატებითი განმარტების შემდეგ გაირკვა, რომ ისინი მეტროში შეზარხოშებული ჩაბრძანებულიყვნენ. ჩემს შეპასუხებაზე, რომ ნასვამობა თავისთვის დანაშაული კი არ არის, არამედ შეიძლება იყოს უარყოფითი ქმედების სტიმული და ვთხოვე კონკრეტულად ეთქვათ, რა ჩაიდინეს ყმაწვილებმა. ორგანოს თანამშრომლებმა მიპასუხეს, რომ მათ იმდერეს. ყველაფერი მშეიდობიანად დამთავრდა, თუმცა „ბრალდებულები“ ვაჟის სიცოცხლის ბოლომდე არკვევდნენ, „ვინ წამოიწყო სიმღერა“. ე.ი. ალიარეს,

რომ მათი სიმღერა იყო „დანაშაული“...

ადამიანის ცხოვრება განსაკუთრებით მაშინაა ტრაგიული, როცა მასზე ზემოქმედებს მისი პიროვნებისა და პროფესიული ლირსების დამამცირებელი უხეში ძალები. ვაკამაც განიცადა ასეთი ზემოქმედება ე.წ. „განათლების რეფორმისტორების“ მიერ გამოცხადებული „კონკურსის“ პროცესში. გადაუტარდებლად შეიძლება ითქვას, რომ „კონკურსებმა“ მოკლა, შეიწირა ბევრი ცნობილი მეცნიერისა და პედაგოგის, მათ შორის ვაკას სიცოცხლეც.

08 საბეჭისნერო დღეს...

ვაჟა გორიშია გავიცანი 1967 წლის 1 სექტემბერს, როგორც თანაკურსელმა.

ლამაზი, შავი ხუჭუჭა თმით და ულვაშებით, ენერგიით სავსე, მაშინვე ჩაება მჩეულარე სტუდენტურ ცხოვრებაში. იგი ჩვენთან შედარებით უფროსი იყო. როგორც ნიჭიერ და დიდი ენერგიის პატრონს, მთელი კურსი მაშინვე მიენდო. იგი ყელა ლონისძიების ორგანიზატორი და სულისხმლელი იყო.

ერთ დღეს ვაჟამ გამოვიცხადა, საგურამოში მივდივართ ლაშერობაზე. ჩენ, რასაკვირველია, დიდი სიხარულით ავტოცეტ მისი წინადადება. დიდუბის სადგურიდან გავედით მატარებლით. მცხეთაში ჩასულები ბაზრისკენ გავემურეთ პროდუქტებისა და სასმელის შესაძენად. ბოლოს საგურამოში ჩავდით. სანამ გოგონები სუფრას შლიდნენ, ბიჭებმა ფეხბურთის თამაში გადავწყიტეთ.

ერთ გუნდს ვაჟა გორიშია ჩაუდგა სათავეში, მეორეს — მე. ვაჟა ძალიან აზარტული მოთამაშე იყო და საწადელს მიაღწია, ჩენს გუნდს 3-2 მოუგო. ბევრი ეიმზადებულეთ. მოსალამოვდა და წამოსასვლელად მოვამზადეთ. გზაში სატვირთო მანქანა შეგვხედა და მცხეთის სადგურამდე მიგვიყვანა. სადგურში რომ მივეღით, მატარებელი უკვე დაიძრა. მემანქანემ სადგურისკენ ყეინით მიმავალი 25-მდე ახალგაზრდა რომ დაინახა, მატარებელი გააჩერა და ჩენ სასწრაფოდ სხვადასხვა ვაგონებში შევცვივდით. ისე მოხდა, რომ მე, ზურაბ ხასაგა და ჩენი სხვა მეგობრები წინა ვაგონში მოეხედით. ჩვენთანვე იყო ვაჟის სა-

ცოლე, ინგა კოუათა. ვაჟა და ჩვენი დანარჩენი მეგობრები უკანა ვაგონში ავიდნენ. ამ დროს წეიძა წამოვიდა. ვაჟამ გაიდაწერა, ჩვენთან გადმოსულიყო, საუბედუროდ, სიჩქარეში ფეხი დაუკდა... ჩემიძლე ინგას ყვირილმა მოაღწია — „ვაჟა მატარებლის ქვეშ ჩავარდაო!“ ჩემი პირველი რეაქცია მუხრაუჭის ჩამოწევა იყო. მიუხედავად ამისა, მატარებელმა 200-იოდე მეტრი კიდევ იარა ინერციით და გაჩერდა. იმ მიმართულებით გავიჟუ, სადაც ვაჟა მეგულებოდა.

ეს საშინელება იყო. ვაჟას ფეხები ლიანდაგების შიგნით ეყრა, ის იჯდა და თავის მოჭრილ ფეხებს დაჭყურებდა... მე მეტი აღარაფერი მახსოვეს. გონს საავადმყოფოში მოვედი. მითხრეს, რომ ვაჟას ოპერაცია ცნობილმა პროფესორმა კანიანმა გაუკეთა და ორივე მუხლის გადარჩენა შეძლოო. ეს კი იმის საშუალებას იძლეოდა, რომ შემდგომში პროთეზები ეტარებინა და სრულფასოვნად ემოძრავა.

მართლაც, ჩემმა ვაჟამ (მე მაქვს ამის თქმის უფლება) ვაჟა-ცურად გადაიტანა ყველა სიძნელე და შემდგომში, მოსკოვში ჩვენი ერთად ყოფნის დროს, სასტუმრო „როსიაში“ ყვარჩნის გარეშე იცეკვა.

ცალკე უნდა შევეხო ჩემთვის საოცარ ფენომენს, ინგა კოუაის პიროვნებას. ყველასთვის გასაგები უნდა იყოს, რამდენი წინააღმდეგობა შეხვდებოდა მას იმ, მე ვიტყოდი, გმირული ნაბიჯის გადაღვენისას, რაც ვაჟა გორიზიასთან ერთად ოჯახის შექმნა იყო. ყველაფრის მიუხედავად, მან თავისი ბედი ჩვენს უსაყარლეს მეგობარს დაუკავშირა. საბედნიეროდ, ეს ნაბიჯი სწორი გამოდგა. მათ შექმნეს ბრწყინვალე ოჯახი და საქართველოს ანუქს დიდებული შვილები და შეილიშეილები.

დღესდღეობით, საუბედუროდ, მეგობრები და ახლობლები ხშირად მხოლოდ ჭირის სუფრასთან ეხვდებით ერთმანეთს. ქალბატონმა ინგამ ამ სუფრაზე ისეთი ატმოსფერო შეგვიქმნა, რომ დიდი ხნის უნახავმა მეგობრებმა აქ ერთმანეთს სითბო გავუზიარეთ, თავი დავხარეთ ვაჟა გორიზიას დიდი კაცობის წინაშე და იმ წუთებში ყველას თანადგომის სურეილი გვაერთიანებდა.

მეგობრის ხსოვნა

ძნელია ილაპარაკო, წერით მეგობარზე და თანამოაზრებზე წარსულ დროში, მით უფრო მაშინ, როდესაც მას ცხოვრების შუა გზაზე შემოაღამდა და მრავალი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა. ვაკე გორიოზია საოცარი ბედის ადამიანი იყო, უფრო სწორად, მის პიროვნებაში ბედიც და უბედობაც გაერთიანებული იყო. გარეშე თვალისოვნის, ვინც მას შორიდან იცნობდა იგი ამ ცხოვრებით კრაფტილი, უზრუნველი, სიცოცხლეზე შეკარებულ ადამიანად ჩანდა. რომლისთვისაც ცხოვრებამ სიკეთე, ნიჭიერება, სხეულებრივი თუ სულიერი სილამაზე, დიდი სიკარული, მეგობრობისა და ალზრდილების მხრივ კი ულევი სითბო და მხარდაჭერა უხვად გამოიმეტა. ძალიან ცოტამ თუ იცოდა, რომ ის ბედის ნებიერი კი არა, სწორედ, რომ ბედისაგან დაჩაგრული კაცი იყო, რომელსაც მისი ცხოვრების ყველაზე აქტიურ და შემოქმედებით პერიოდში წააჩოვა ორივე კიდური, მაგრამ ესეც არ აქმარა და ყრიმა ვაჟის სიკვდილითაც დაუშძიმა ცხოვრების სავალი გზა.

დიდი ძალისხმევა იყო ვაჟის მხრიდან საჭირო, რომ მას არამხოლოდ შორეული ნაცნობების თვალში შეენარჩუნებინა ბედნიერი, ცხოვრებისგან განებიერებული კაცის იმიჯი, არამედ მის უახლოეს მეგობრებსაც კი „დავიწყებოდათ“, თუ რა დიდ სულიერ და ფიზიკურ ტვირთს დაატარებდა იგი.

ვაჟასთან ურთიერთობის თითქმის 35 წლის მანძილზე არასოდეს გამიგონია, სატეივაზე დაეწუწუნოს. უკანასკნელ დღეებშიც არ კირგავდა იმედს, რომ წამოდგებოდა და თავის

სიყარელ საქმეს ახალი ენერგიით შეუდგებოდა. ბოლო წლებში ბევრი საერთო საქმესთან ერთად ბევრ საერთო მეცნიერული იდეაც გვიჩნდებოდა. რისი დასტურიც არის ამდენიმე ერთობლივი სტატია თუ გამოკვლევა ფილოსოფიისა და სოციოლოგის აქტუალურ საეითხებზე. ძალიან ბევრი ერთობლივი იდეა, პროექტი გვჭინდა ჩატიქტებული, ვაჟას გარდაცვალებამ მძიმე ტვირთად დამაკისრა ამ ერთობლივი შრომების დასრულებისა და წიგნად გამოცემის მისია.

მის სულიერ სიმტკიცეზე, გაუტეხელობაზე და სიცოცხლის დიდ სიყარულზე, ბედისაღმი შეურიგებლობაზე, მრავალი დასამახსოვრებელი ფაქტი მიუთითებს, ლხინსა თუ ჭირში ის ერთნაირად ვაჟაცურად იტკეოდა და უკან დახევა არ სჩვეოდა. დახმარების, მხარში ამოღვომის საოცარი უნარი პქონდა. თოვქოს ჩვენს გულში იჯდა, არ მახსოვს რაიმე დახმარება მეთხოვს მისთვის და... სიტყვა არ მქონდა დამთარებული, რომ უკვე მზად იყო ნებისმიერი დახმარებისთვის. ეს არა მხოლოდ მეგობრებს შეუძლიათ ამაყად თქვან, არამედ მისმა მრავალმა სტუდენტმა, რომლებსაც იგი არა მხოლოდ პროფესიულიც აკალიანებდა, სათანადო ლიტერატურით ამარაგებდა, მათ ნაწერებს გულდასმით კითხულობდა, ასწორებდა და კორექტირებას უკეთებდა, არამედ შემდეგ სხვადასხვა გამოცემებში უქვეყნებდა. ამის მრავალი მაგალითი არსებობს: ვახტანგ ფარცვანისთან თანამშრომლობით გამოცემული წიგნები, რომლებშიც სწორედ ვაჟას მიერ დაკვალიანებული სტუდენტების, ასპირანტების თუ ახალგაზრდა მასწავლებლების ნაშრომებია გამოქვეყნებული.

ვაჟას ვაჟაცობაზე და მეგობრისაღმი დიდ სიყარულზე მიუთითებს ერთი ყოფითი შემთხვევა, როდესაც დისერტაციის დაცვის აღსანიშნავად ჩემს სახლში მოვიყარეთ მეგობრებმა თავი. შუაგულ ჰეიფისას, როდესაც უკვე ქართულმა ლეინომ ავგამლერა, ხოლო ქართულშა სიმღერამ საცეკვაოდ განგვაწყო, მეგობრებმა დაიკინეს, უნდა ვაცეკვოთო. მართალი გითხრათ, სიმღერა მეხერხება ცოტათი, მაგრამ ცეკვისგან ძალიან შორს ვარ, ამ დროს, რას ვხედავ, ვაჟა წამოდგა: „თქვენ რა გითხროთ“ და საოცარი მოხდენილობით ჩამოუარა ჩვენს მაგიდებს

ცეკვა-ცეკვით, თვალებზე ცრემლი მომადგა და სხვა რაღა და-
მრჩენდა მეც შეუურობდი, სულ დამავიწყდა რომ ცხოვრება-
ში ერთხელაც არ მიცეკვია, მაგრამ მე მგონია, რომ ეს იყო
ორი მეგობრის ყველაზე საუკეთესო ცეკვა და მხიარულება,
რასაც კი ოდგილი ჰქონია ქვეყნიურებაზე. ვაეფა თითქოს გვეუბ-
ნებოდა: მაინც და მაინც ფეხები არ უნდა გქონდეს კაცს, რომ
ქართული ცეკვის ჯადოსნური და მაგიური ძალა შეიცნო და
მისით დატებეო. ეს შემთხვევა ჩემს მესაიერებაში სულის სხეუ-
ლზე გამარჯვების, მეგობრის უანგარი სიყარულისა და პატი-
ვისცემის ნიშნად და სიმბოლოდ დარჩა.

უცრუნებელ სენსაც ბოლომდე შეუდრიელად ებრძოდა და
სიცოცხლის იმედს არ კარგავდა, საოცარი სანახავი იყო, სიკვ-
დილის სარეცელს მიზანულიც კი არ წუწუნებდა, ცხოვრების
აუგს არ ამბობდა. გარდაცვალებამდე, რამდენიმე დღით აღრე,
მე და ვახტანგ ფარცვანია ერთად აღმოვჩინდით მისული მის
სანახავად. ვნერვიულობდი, ვიცოდი სიცოცხლის ბოლო დღე-
ებს ითვლიდა და ჩოგორ შემენარჩუნებინა სახეზე უშფოთვე-
ლობა არ ვიცოდი, მეშინოდა, ჩემი სახე და თვალები გამცემდა.
ამიტომ ინგას ვთხოვე ოთახში სინათლე არ აენთო, საკმაოდ
შებინდებული იყო და გარედან შემოსული დღის სინათლე კა-
რგად ვერ ანათებდა ჩვენს სახეებს, ამით ჩემი შინაგანი მჟღუნ-
ვარებისა და შფოთვის დამალვას ცვდილობდი, მინდოდა ჩემს
მეგობარს მოჩვენებითი სითამამის უკან, ჩემს სახეზე არ ამოე-
კითხა დიდი შიში და მოსალოდნელი ტრაგედიის განცდა. თა-
მაში არ დამჭირდა. ჩვენს დანახვაზე ვარა ისე ჩვეულებრივ და-
გველაპირაკა, პირიქით, აქეთ მოგვიყითხა და ჩვენს ერთობლივ
შრომის დასრულებაზე ისე დამიწყო საუბარი, რომ შინაგანმა
შფოთვამ და სულიერმა სისუსტემ სრულებით გამიარი. ჩემს
წინ ისევე გაუტეხელი ახლა უკვე სიკვდილთან მებრძოლი და
უშიშარი ვაეფა იყო, უბრალოდ, იმაზე წუხდა, რომ სტუდენტე-
ბთან ბევრი ლექციი გაუცდა და ისე აქტიურად ველარ მეხმა-
რებოდა ერთობლივი შრომის დასრულებაში. (იმ სტატიის და-
სრულება შევძელი, მაგრამ, სამწუხაროდ, მის გამოცეკვებამდე
ვაეფა გარდაიცვალა). ასევე მრავალ საერთო წამოწყებაზე ესაუ-
ბრებოდა ვახტანგ ფარცვანის და განსაკუთრებით ემაფუბოდა

ახალი საერთაშორისო სამეცნიერო უფრინალის „პომი ქავე-რანს“-ის გამოსკლა, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი და დაუკავშირებელი იყო.

საქმიოდ დიდხანს ვსაუბრობდით, დროდადრო შიში შემე-პარებოდა, ძალიან არ გადავლალოთ მეთქი, მაგრამ ჩვენს წინ ისევ ის გაუტეხელი, სულით ძლიერი ვაჟა იყო, უფრო მეტიც, ჩვენი ნახვით ისე გაიხარა, რომ საკუთარი ხელით დაწურული კახური საფერავით მეგობრობის, სიცარიულისა და სიცოცხლის სადღეგრძელოები შეგვასვა. მე იმდენად გავთამამადი, რომ ჩვენს უახლოეს გეგმებზეც დაიწყებ საუბარი, თავდაპირველმა შიშია და ნერვიულობამ ისე გამიარა, რომ საესებით გულწრფელად უურჩივ (როგორც ეს ადრე ხდებოდა) სულ წამოწოლილი წუ იქნებოდა და ფიზიკურად მეტი აქტიურობა გამოეჩინა. ჭო, საოცრებავ! თურმე ის ჩვენი რჩევების გარეშეც თითქმის ყოველდღე ავარჯიშებდა სხეულს და რამდენიმე მოძრაობაც კი გააჩვენა, რომლითაც სხეულის გაფანსალებას ფიქრობდა. წამოსვლისას არ დავმშვიდობებივარ, იმდენად იმედიანი და დაფრებული ვიყვი, რომ ვაჟა ახლაც ლალად დაუსხლტებოდა ბეჭედულანჭებიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, მეორე დღეს მწუხრის ეამს გარდაიცვალა.

ვაჟა არამხოლოდ გასცემდა სიკეთესა და ადამიანურ სითბოს, არამედ ამ დიდი სიკეთის მცირე ნაწილს თვითონაც იღებდა, რისი საუკეთესო მაგალითია მეგობრებისა და მისი მოსწავლეების, აღზრდილების და სტუდენტების მიერ ვაჟას იუბილის გადახდა. იუბილეს იდეა სტუდენტთა და ასპირანტთა სამეცნიერო წრიდან წამოვიდა. ბევრს ვფიქრობდით, რით მიგვლოცა მისთვის 60 წლისთავის შესრულება. მისგან ფარულად დაეიწყეთ იმაზე ფიქრი, რომ ლირსეული იუბილე გადაგვეხადა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მას ამის შესახებ ეცოდინებოდა, ამის უფლებას არ მოგვცემდა.

მისმა მეგობრებმა და მოსწავლეებმა, აღზრდილებშა მივუდევნით მას საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც საქართველოში ინფორმაციული საზოგადოების განვითარების პერსპექტივებს ეხებოდა. სხვათა შორის, ვაჟა მრავალ სხვა არა-სამთავრობო ორგანიზაციისთან ეთრად „ინფორმაციული სა-

ზოგადოების განვითარების ინსტიტუტის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური წევრი იყო, როდესაც ვაჟა გაეცნო კონფერენციის მოხსენებათა თეზისებს, სიხარული ვერ დამალა, მოხსენებათა მაღალი დონის გამო. სწორედ ამ დროს ვუთხრით, რომ ეს იქნებოდა მისი 60 წლის იუბილის აღსანიშნავი ღონისძიება. უნდა გენახათ ვაეს სახის, თვალების გამომეტყველება, რომელშიც არეული იყო გაეკირვება, ცოტათი აღშეოთვაც და, ამავე დროს, მაღლიერებაც. მართალია, ყოფიანი დაიწყო, მაგრამ ჩვენი ზეწოლის შედეგად დაგვთანხმდა. იუბილე ისე ჩატარდა, როგორც ეს ვაეს სახელს შეეფერებოდა. ბევრს არ დავიწყებია მისი სამადლობელი სიტყა, რომელშიც მისთვის დამახასიათებელ ჰუმანურობასთან ერთად დიდი ინტელექტი გამოსვიოდა. ეს იუბილე არ იყო ღონისძიება ღონისძიებისთვის. არ იყო ოფიციალური ხელისუფლებისგან ხელდასმული, მაგრამ იყო ვაეს მეგობრებისგან და მოწაფეთა გულებიდან წამოსული დიდი მაღლიერების გამოხატულება. ამ იუბილედან წელიწადიც არ იყო გასული, რომ ვაჟა გარდაიცვალა და ახლა მე უფრო მეამაყბა, რომ მას სიცოცხლეშივე დავუფასეთ ჩვენთვის გაწეული დიდი ამაგი. მის სიყარულს და პატივისცემას ასევე სიყარულითა და პატივისცემით უუპასუხეთ. ამ დიდი სიყარულის გამოხატულებაა ეს კრებულიც, რომელიც ვაეს სახელის უკვდავყოფას ემსახურება.

ვაჟა ბუნებით ფილოსოფიის იყო, რომელშიც გაერთიანებული იყო მეცნიერისა და მოძღვრის თვისებები. სოციოლოგია, რომლის ერთ-ერთი დამტუძნებელი იყო საქართველოში, მას უფრო ფილოსოფიურ დისციპლინად მიაჩნდა, რომელმაც ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთობის ფუნდამენტური პრობლემები უნდა იკვლიოს. მისთვის ინდივიდი, პიროვნება, ადამიანი იყო უმთავრესი საზრუნვავი, როგორც პრაქტიკაში, ისე თეორიაში. ამიტომ იგი ცდილობდა შეესწავლა ის სოციალური ფაქტორები, რომლებიც ადამიანის თვისებას ზღუდავდა, მისი არსებობის ადამიანური არსებისაგან გაუცხოებას იწყებდა და სტიქიური, ბუნებრივი თუ სოციალური ძალების ხელში მარიონეტად აქცევდა. ამ პრობლემის კვლევისას იგი კ. მარქსისა და მ. ვებერის მოსაზრებებს ემყარებოდა. საყურად-

ლებოა, ჩომ ქართულ ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ ლი-
ტერატურაში, ვაჟამ ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო მაქს ჭეკე-
რისეული ფორმალური რაციონალურობის კატეგორიის მნი-
შვნელობის გაცნობიერება თანამედროვე საზოგადოებრივ ცხო-
ვრებაში და წინა პლანზე წამოსწია რაციონალურობის რო-
გორც აღამიანური ცხოვრების „რეინის გალიად“ ქცევის საში-
შროების პრობლემა.

მას ასევე დიდი წვლილი მიუძღვის მის დიდ მასწავლებლე-
ბთან ვ. ქეჩამიასა და ე. კოდუასთან ერთად საქართველოში
სოციალური მეცნიერების განვითარების საქმეში — სოციო-
ლოგიის სპეციალობის დაფუძნებაში. იგი სოციოლოგიის კა-
თელრის დაარსებიდან მხარში ედგა ჯერ ვ. ქეჩამიას, ხოლო
შემდეგ, როდესაც კათელრა უკვე საუნივერსიტეტო სპეცია-
ლობად იქცა ე. კოდუას და ყველა იმ პიროვნებას, რომელიც
სოციოლოგიის განვითარებაზე ზრუნავდა ჩვენს ქვეყნაში.

ვაჟას არ დასცალდა მრავალი საინტერესო იდეის, პროექ-
ტისა თუ წამოწევების ხორციშესხმა, მისი შრომების უმრავლე-
სობა რაღაც დიდი ჩანაფიქრის ფრაგმენტებს მოგვაგონებენ,
და მას ჩომ დასცულოდა, იგი შეძლებდა ქართულ სოციალურ
მეცნიერებაში ამ დიდი ჩანაფიქრის ფრაგმენტების ერთ სისტე-
მაში მოყვანას. დღეს კი, მის დაწეულულ საქმეს მისი მეგობრები
და აღზრდილები აგრძელებენ, რომლებსაც სიკედილის შემდე-
გაც არ დაავიწყედებათ ვაჟას მიერ გაწეული შრომა, ამაგი და
ის დიდი სიყვარული, რომელსაც იგი ასე უხვად უნაწილებდა
თავის მეგობრებსა და მოსწავლეებს.

მცირვასო ვაჟა!

ერთი წელი ხდება, რაც შენ ამ ქვეყნიდან წახვედი, მაგრამ შენი ნააზრევი, ნაწერები, ბიოგრაფია, სახე, შიმიკა... არის სინამდვილე, რომელთანაც საუბარი სულს სწყურია. შენ სასულიერო ში ხარ. ჩვენ, აქ დარჩენილ შენს კოლეგებს, უაზრო უპირატესობის ილუზია გვაქვს: ჩვენ ბეღნიერები ვართ, რაღაც სიცოცხლით „ვხარობთ“. ასეთი განცდა სიცოცხლის ამჭერის უპირატესობისა, დამთავრდა იგი მას შემდეგ, რაც ქრისტე მეორედ მოკლეს. ქრისტე, როგორც მაცოცხლებელი, მანათობელი, მაკავშირებელი, ამამაღლებელი ოდამიანური ურთიერთობისა აღარ არის ამჭერად, იგი ისევ ზეცაშია.

რაც შენ წახვედი ჩემო ვაჟა, მას შემდეგ, მოხდა ამჭერად რაიმე ისეთი, შენ რომ გაგიხარდებოდა? არა! შენ რა შეიმებსაც წერდი საკაცობრიო კრიზისის შესახებ, ეს აზრი განმტკიცდა. შენი საუცხოო შრომები გაუცხოების შესახებ, უფრო და უფრო ცხადი ხდება: სახელდობრ, ტექნიკური ცივილიზაციის პროდუქტი, ადამიანის მიერ შექმნილი სინამდვილე თავისი საგნებითა და ურთიერთმიმართებებით, არაა ისეთი, ადამიანს რომ სურდა, იგი თავისი არსობის საწინააღმდეგო მოღვაწეობას ეწევა. განა არ იცის, იცის, რომ თვითდამღუპველია ცივილიზაციის გარჩა. განა მარტო ატომური ყუმბარაა მისი მტერი? მშეიდობიანი ატომური ელექტროსაფგური? ისიც ხომ პოტენციური „ჩერნობილია“. ეს კარგი, მატერიალური ცივილიზაციის ეს საგნობრივი პროდუქტი, თავისთვეად არის ფულუნება, რომელიც დღეს თუ აფეთქდება, სხვა ფორმით წაი-

ლებს პლანეტის ჯანმრთელობას, ადამიანის ჯანმრთელობას, მაგრამ შენი ყურადღება გაუცხოებული სამყაროს დამდუშებული ტენდენციის შესახებ სულიერ სფეროს განიხილავს ძირითადად. აქ რა ხდება? მოკედა ხელოვნება, იგი შეცვალა ანტიზნეობამ. შენს ნაწერებში ეს კრიზისები ღრმა ანალიზით გაქვს მოცუმული. რა თქმა უნდა, იმ ფილოსოფიურ ლიტერატურაზე დამყრებით, რაც ყელაზე მეტად დასავლეთის ფილოსოფიამ გაიხადა გოლების საგნად. ამ საკითხებზე ეპროპაში კარგა ხანია მოსთქვამენ, ხმამალლა ტირიან, მაგრამ უკეთესი არ გახდა ადამიანი. შენ სწორად მიგაჩინია, რომ ეს საკაცობრიო კრიზისი შეუძლებადია. ამის განსაკურნივი წამალი კაცობრიობას აღარ აქვს. დაავადება არის, წამალი არ არის. რაც შეეხება შენს დამოკიდებულებას დასავლური ფილოსოფიის მიმართ, მე მახარებს, რომ შენ კარგად, სწორად განიხილავ მას, როცა შპენგლერის ფილოსოფიაზე შრომას წერ. ეს ერთ-ერთი პოკალიფსური საკითხთაგანია.

აპოკალიფსი მარტო სარწმუნოების ფიქრის საგანი არ არის, ცხადია. მთავარი სცენარი ბიბლიაშია მოცუმული, მაგრამ აპოკალიფსურია, მაგალითად, ორი საუკუნის წინანდელი შევდლისა და სოციოლოგ-ეკონომისტ მალთუსის მოძღვრება. დაინგარიშა იმ კაცმა, ეს დედამიწა, დედა-მასაზრდოებელი რამდენს აიტანს, რამდენ შევილს გამოკვებავს. ის პესიმისტური პროგნოზი, აქამდე სულ შორეულ კეშმარიტებად მიგვაჩნდა — პო, ეს ოდესლაც იქნება, მაგრამ ეს ხომ ჩვენ არ გვიწევთ. ეს სხვებს შეხვდებათ, ის საშინელი შიმშილი, უმძიმესი ხვედრი... ჰოდა, რაღა ჩვენ ვიგლოვოთ. ეს სულ სხვებისთვის, მომავლისთვის გვემეტებოდა. ახლა ცოტა ხნით აქაურ ამბავს მოვითხოობ, შენმა სულმა განსაჭოს, შენ უფრო ბედნიერი ხარ, თუ — ჩვენ.

ყელაზე დიდი ეროვნული ტრაგედია ისაა, რომ საქართველოს აღარ აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მძღვრი მენციერებათა აკადემია... ჩვენ ხშირად გვისაუბრია, თუ რატომ დაგვეგმა ტრუმენმა ოცი საბჭოთა ქალაქის, მათ შორის თბილისის დაბომბვა ატომური ყუმბარებით.

მოტივი კარგადაა ცნობილი: დაიბომბოს ის ქალაქები, სა-
დაც მაღალ დონეზეა განვითარებული ფუნდაშენტური მუცნი-
ერებები და მაღალია სამრეწველო პოტენციალი. მაშინ სტა-
ლინის გენიამ შეაჩერა ანტიჭრისტეს ბარბაროსობა. მაგრამ,
აგრე ნახევარი საუკუნის შემდეგ, მტერმა ულმობლად, მაგრამ
მეთოდურად, მოთმინებით გაანადგურა დიდი ქვეყნა, დიდი
კულტურა, დიდი ინტელექტი, დიდი ზნეობა.

უნივერსიტეტიდან გაყრეს 80 პროცენტი პროფესორ-მას-
ტავლებლებისა. ძირითადად საუკუთესო ნაწილი. ზოგმა კი თვი-
თონ თქვა უარი — მონაწილეობა მიელო უნივერსიტეტის მკლე-
ლობაში და იქ მერე დაეკავებინა პროფესორის თანამდებობა.
შენ, რა თქმა უნდა, იქ არავინ გაგიყვანდა, რადგან იქ პიროვნე-
ბა, და ისიც ისეთი, როგორიც არის ვაჟა გორიოზია, ეს გამო-
რიცხული იყო. გამორიცხული იყო მეორე ვარიანტიც, შენ
დათანხმებულიყვავი ანტიუნივერსიტეტში მუშაობაზე. ეს არის
გოდება სულისა, როცა დაესტირით ერის საამაყო სიბრძნის
ტაძარს. ეს იყო დიდი ტაძარი — ი.ბ. სტალინის სახელობის
სიბრძნის ტაძარი. მოკლეს სტალინი, მოკლეს დიდი სახელმწიფ-
ო, რამდენიმე წელი ინერციით იჩანჩალა პატარა, ვითომ სა-
ხელმწიფომ და ის, ტრუმენის ბიჭებმა მოკლედ მოსვრეს —
მორჩით!

რა არის ჩვენი ნუგეში? ნუგეში არის ღმერთის ნება. ჩვენმა
ხალხმა ეს სასჯელი დაიმსახურა, მაგრამ არც ჩვენი დამპტი-
ბელია უკუთეს დღეში... „სიკვდილი ხსნაა სულისა ამ ხორციე-
ლი ჭუქუსგან“. ყაველ შემთხვევაში, დღეს თუ დამიანს ოდნა-
ვი ლირსება გააჩინა, მისთვის „სიკვდილის გზა არრა არის, ვარ-
დისფერ გზის გარდა“.

არც არასდროს შეწყვეტილა მიება აზრისა — ვისი ცხოვრე-
ბაა კარგი ცხოვრება, რანაირ აღამიანად ისურვებდა შეგნებუ-
ლი კაცი, რომ თავის თავისგან შეექმნა ღმერთის თვალში კაი
კაცი? მაგონდება ერთი შემთხვევა. ოცი წლის ბიჭი ლექსებს
წერს. ერთხელ ხელში ჩაიგდო ერთი დიდი თავგადასავალის
მქონე კაცი. მთელი საათი უკუცა თავის ბიოგრაფიას: როგორ
გაიქცა ციხიდან, როგორ გადაცურა ერთი პატარა ნავით ენი-
სეი და ა.შ. ფათერიაკიანმა ეპიზოდებმა ისე გაიტაცა ყმაწვილი,

ტაშიც შემოჰკრა და ალალად ეუბნება — ძია გენო, მაჩუჭე რა
შენი ბიოგრაფია?.. გენოს გულიანად გაეცინა ამ მიამიტ თხოვთხოვა
ვნაზე — ბიქო, ჩემი ბიოგრაფია რად გინდა? აი, ბიძაშენი არ
გიჯობს, კაცი მილიონერია! — ეეეპ, მაგის წუწურაქი ბიოგრა-
ფია რად მინდა, ფულის მეტი არაფერი აინტერესებს... ფული-
ანი, მდიდარი კაცის მდგომარეობა შეიძლება შეგშურდეს და
მოგინდეს, მაგრამ იმ მდგომარეობის კაცის სული და გული არ
შეიძლება კაი კაცს მოუნდეს. ყველა კაი კაცი ტანგულია, მა-
გრამ არავის ვუსურებ ტანგვისგან გაქცელეტილობას, წუწუნს.
ამის ნიმუში შენი ცხოვრებაა, ჩემო ვაეა, ტიტანურ ტეკილე-
ბგადატანილი კაცი, სხვებს რომ ამსნევებდი და ამსნევებ შენი
ცხოვრების მაგალითით. არც მე, არც შენს მცნობელს, არა-
სდორს უნახავს, ვაჟა გორიოზია რომ წუწუნებდეს. ტანგვის
დამმარცხებელ კაცს პქვია გმირი. მე უხვად არ ვაბნევ ამ ტი-
ტულებს. ყველ შემთხვევაში, არც ლენინის ორდენი და არც
ლირსების ორდენი ამას ვერ შეეღრება, პირიქით კი არის. ნამ-
დვილი ლირსება წუწისოფლის ჭილდოთი არ გამოიხატება.
ჭრისტიანის გზა გოლგოთაა, ჩემო ვაეა, შენი ცხოვრება ამ
გზაზე წარიმართა!

გაბედულების გამოვლენის ასპარეზად, ჩვეულებრივად, ბრძო-
ლის ველი, შაშხანით ან ხმლით ხელში არის მიჩნეული, მაგრამ
ალიარებენ, რომ უფრო მაღალი გაბედულება სჭირდება, ყვე-
ლასგან განსხვავებულ, დაცინვის საგნად ქცეულ სიმართლის
დაცვას. შენ ჩემზე ოთხი წლით უმცროსი ხარ და ხანდახან
მგონებია, რომ ჩემზე უფროსი ხარ, მკაცრი სიდარბაისლით,
გაბედულებით. შარშანწინ ზუგდიდში (მაისში, 2004 წ.) საინ-
ტერენესო კონფერენცია ტარდება, ინიციატორია ახალგაზრდა
პროფესორი — ვახუშტი თარიცვანია. ეს იყო პეტერბურგისა
და ზუგდიდის უნივერსიტეტების მაღალი დონის კონფერენ-
ციია. არც მიფიქრია, რომ ჩვენ, მე და ვალერის ვინმე დაგვიძე-
ბდა რუსეთ-საქართველოს მეგობრობის აღმნიშვნელ რაიმე ლო-
ნისძიებაზე. ჩვენ, როგორც ამ მეგობრობის გულწრფელ ქომა-
გებს, ახლოს არ გვიყარებდნენ ასეთ შეხვედრებზე. ეს თითქმის
ყველთვის ტარდებოდა ამ მეგობრობის ყალბი წარმომადგენ-
ლების ინიციატივითა და მონაწილეობით. საქართველო-რუსე-

თის მეგობრობის, ერეკლეს გზის შეადაგებლებს — რუსეთიდანაც და აქტანაც გაგვიჩიბოდნენ, როგორც ეშმაჟი — საკმენელს. ძალიან ახლობელნი, შინაურნი და გარეულნი არც ვიცი ინსტინქტით გრძნობდნენ, თუ ინფორმაციით — არ გაიკაროთო ეს საშიში ხალხი. როდესაც შენ, ჩემო ვაჟა, აღშეფოთება გამოხატე, — როგორ შეიძლება შენ და ვალერი იმ ღონისძიებაში არ მონაწილეობდეთ, ეს ხომ კურიოზია, ჩვენ მიგახვედრეთ, რომ ამან შეიძლება უსიამოვნება მოვიტანოთო. შენ მაინც, როგორც ყოველთვის, შენი პრინციპი ვაიტანე. ეს ჩვეულებრივი ეპიზოდია შენი ცხოვრებიდან, დევნილის გვერდით იყვი ყოველთვის. სხვები პირს იმშვენებენ ბიბლიური მცნების მაღალფარიდოვნებით, სიტყვებით: „ნეტარ არიან დევნულნი სიმართლისათვის“ — იტყვის ამას და ზურგს შეაქცევს იქვე მდგარ დევნილს.

ჩემო ვაჟა, შენ არავის მისცემ ნებას, რომ თქვას, — „საწყალი ვაჟა“. — საწყალი თქვენ ხართ, თქვე უბედურებო, — ალბათ, გაგიელვებს სულ ში ახლანდელი გაერანებული საქართველოს შემხედვარეს. შენ სხვებისთვის, ადამიანებისთვის, შენი სამშობლოსთვის, სიყვარულისთვის შექმნილი კაცი ხარ. დაილოცოს შენი დაბადების დღე, შენი უკვდავების დღე. ღმერთმა შენს უდიდეს სიყვარულს, მეგობარს, წიგნების გმირებს რომ აღმარება, ქალბატონ ინგას დღეგრძელობა მისცეს. შენი ვაჟაცი შეიღები და შეიღიშვილები დაგილოცოს ღმერთმა. შენ შეგიძლია თქვა, მე ისე ვიცხოვრე, როგორც ჩემმა გამჩენმა, ჩემმა მშობლებმა, ჩემმა რჯულმა მასწავლაო. შენ პირნათლად მიუხელ ჩვენს სახელოვან მამა-პაპათა სავანეს. შენ არ შეიძლება არ უყვარდე ადამიანს, ვისაც ადამიანის გული და სული აქვს. დიდება გქონდეს ზეცის მარადიულ სასულულში!

უცდა ვიცოცხელო ბედისწერისა და ღმერთისას ჯინაგე!

ვაჟა გორიოზია ფილოსოფიურად მოაზროვნე კაცი იყო. მას პეტრი თანდაყოლილი ნიჭი საგანთა ფილოსოფიური ხედვისა. შეიძლება ითქვას, რომ ის „ფილოსოფოსი ტიპი“ იყო. სწორედ ასეთი ადამიანის ნაფიქტრისა და ნააზრევს ჰქვია „ფილოსოფიური“. თუმცა ვაჟა საკუთრივ სოციოლოგიის სფეროში მუშაობდა (ამ მხრივ, მისი მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა პროფესირ კენორ ქვაჩახიას უშუალო ზეგავლენით). ის სოციოლოგიის ყველა პრობლემას უდგებოდა ფილოსოფიური თვალთანედვიდან და მეტაფიზიკური საფუძვლიანობით განიხილავდა. მისი აზროვნების სტილი იყო იმთავითეუ ფილოსოფიური.

ვაჟას აზროვნების ფილოსოფიურობას, უწინარეს ყავლისა, ის განაპირობებდა, რომ მას სწორად ესმოდა ფილოსოფიის საგანი და ამოცანები, რაც, მისი წარმოდგენით, თავს იყრიდა ადამიანისა და მისი გაუცხოების პრობლემაში. სწორედ ეს უკანასკნელი მიმწრდა ფილოსოფიისა და სოციოლოგიის უმთავრეს პრობლემად. ამ პრობლემაზე ფიქტრისას ის მკაფიოდ არ მიგნავდა „საკუთრივ ფილოსოფიისა“ და „საკუთრივ სოციოლოგიას“, არამედ პრობლემისადმი ერთიან, სინთეზურ „ფილოსოფიურ-სოციოლოგიურ“ მიდგომას მოითხოვდა. შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა გორიოზია ფილოსოფიურად მოაზროვნე სოციოლოგი იყო. ამის დასტურად შეიძლება გავიხსენოთ საერთაშორისო ეურინალ „პომი ესპერანში“ გამოქვეყნებული მისი სტატია — „თანამედროვე პირობებში ადამიანის ყაფიერების ფილოსოფიურ-სოციოლოგიუ-

რი გააზრების ძირითადი ფაქტორები", რომელიც ვაკეს ფილო-
სოფიური ნაზრეების ერთგვარ შეგამებას წარმოადგენს, აღნიშნულ
აღნიშნულ სტატიაში ვადა გორუზია დასავლური ცივილი-
ზაციის სამ დამახასიათებელ ნიშანს გამოყოფს:

1. თანამედროვე დასავლური ცივილიზაცია მიზნად ისახავს
მიწიერი ცხოვრების რაციონალურ მოწესრიგებას, რომლის
მსოფლმხედველობრივი საფუძველია სციენტიზმი, მეცნიერე-
ბისა და ტექნიკის უნივერსალიზაცია. იგი თავის მხრივ წარმო-
შობს საქონლის ფეტიშიზმსა და „სახაზინო ტიპის“ ადამიანის
ჩამოყალიბებას. დასავლური ცივილიზაციის ადამიანური ყო-
ფიერების საზრისი მდგომარეობს ცხოვრების კომფორტულ
მოწყობაში, ვიტალურ-ფიზიოლოგიური და მატერიალური მო-
თხოვნილებების მაქსიმალურ დაქმაყოფილებაში.

2. ამ ცივილიზაციის დამახასიათებელი ნიშანია გლობალიზა-
ცია ანუ „ამერიკანიზაცია“, რომელიც მოასწავებს, ერთის მხრივ
ერებისა და ეროვნული კულტურების, ხოლო, მეორეს მხრივ,
პიროვნებებისა და პიროვნულ ღირებულებათა ნიველირებასა
და სტანდარტიზაციას. ის ემყარება პოსტმოდერნის იდეოლო-
გიას, რომელიც უარყოფს ყოველივე მყრს, მტკიცესა და სუბს-
ტანკიურს და საყველთაო ჩელატივიზმს ქადაგებს. პოსტმო-
დერნის მსოფლმხედველობა ამგვარ ჩელატივიზმა და თვითნე-
ბობაში ხედავს პიროვნების თავისუფლების გამოვლენას. თუ ჰე-
გელი თვლიდა, რომ „ყველაფერი, რაც არაქეშმარიტი და არა-
გონიერია, დაღუპვის ღირსია“, პოსტმოდერნული იდეოლოგია
მიიჩნევს, რომ ყველაფერი ქეშმარიტი და გონითი უნდა დაიღუ-
პოს, თუ ისინი არ შეესაბამებიან დასავლური ცივილიზაციის
სტანდარტებს. გონების კანონები ფიქციად ცხადდება, მეტაფი-
ზიკას კი ირონია და ცინიზმი უპირისპირდება. კანტის „საყვე-
ლთაო მოვალეობის ეთიკა“ აღგილს უთმობს ე.წ. „მცირე ეთი-
კას“ — მიზნის, ტურიზმის, გენდერულ და პროფესიულ ეთიკას.

3. თანამედროვე ეპოქა შეიძლება იწოდოს ფილოსოფიური
ნიჭილიზმისა და სოციოლოგიური ოპტიმიზმის ეპოქად. სიბრ-
ძნისადმი სიყარული ნივთებისადმი სიყარულმა შეცვალა, ხო-
ლო მეტაფიზიკური პრობლემები უსაზრისოდ გამოცხადდა. ამ
ცივილიზაციისათვის ნიშნეულია საზოგადოების აბსოლუტუ-

რი და საყოველთაო სოციოლოგიზაცია მან ინდივიდის თვეობურობაზე და უარყოფის სოციალურ ურთიერთობის მართებათა ფუნქციად მიიჩნია.

მარად დაუვიწყორ და სასიამოვნო მოგონებად დამრჩა ვაჟას მიერ ჩემი ერთი სტატიის მიმართ გამოთქმული შენიშვნა. სტატიაში ვწერდი, რომ თანამედროვე დასავლურ ცივილიზაციაში ღმერთის ადგილი ტექნიკამ დაიჭირა, ხოლო მეტაფიზიკის ადგილი სრულიად უტიფრობად სოციოლოგიამ დაიკავა-მეტე. ვაჟამ მისთვის ჩვეული დიდი ტაქტითა და მეგობრული ტონით მისაყვედურა, ეს ეპოქის თავისებურებებითაა განპირობებული და აქ სოციოლოგიის უტიფრობა არაფერ შუაშიაო. მიეხვდი, ზედმეტი რომ მომივიდა, რადგან სიტყვა „უტიფარი“ სოციოლოგიის მიმართ აღნიშნულ კონტექსტში მართლაც ზედმეტი და უადგილო იყო.

მიუხედავად იმ დიდი განსაკულელისა, კეშმარიტად იობისებური ტანჯვისა და ტკივილისა, ბედმა ვაჟა გორიოზიას რომ არგუნა, ის სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყარებული ადამიანი იყო და ამ სიყვარულს სხვებსაც გადასდებდა. ვაჟა საოცარი შემართებითა და სიზიფესეული შეუპოვრობით შეხედა უბედურ გამოწვევას. იმ ახირებული ბერძენის დარად, მასაც შეეძლო ეთქა: მე უნდა ვიცოცხლო ბედისწერისა და ღმერთების ჯინაზე! როგორც ჩანს, ტკივილი და ტანჯვა ფოლადივით აწირობს ადამიანს, სულიერ მხნეობასა და მეტ ცხოვრებისეულ სიბრძნეს ჰმატებს მას. ვაჟა ოპტიმისტი, მებრძოლი და შეუპოვარი კაცი იყო, ცხოვრების არანაირ სიძნეელეს არ ეპუებოდა. მისთვის უცხო იყო გულგატეხილობა, უიმედობა და პესიმიზმი. ქალბატონ ინგასთან ერთად არაჩვეულებრივად ტრადიციული ოჯახი შექმნა, სადაც შესანიშნავი შვილები აღიზარდნენ.

ვაჟამ კარგად იცოდა ადამიანად ყოფნის სევდა და ტკივილი, მისი მეტაფიზიკური საზრისი. ერთი მწერლისა არ იყოს, სიცოცხლე სევდაა, ადამიანად ყოფნის სევდა; სიკედილიც სევდაა, ოლონდ ადამიანად არყოფნის სევდა. სიცოცხლეში დიდი ტანჯვისა და ტკივილების მატარებელი კაცი ტკივილითვე გამოეთხოვა სიცოცხლეს. ამერიდან, ვაჟა გორიოზიას უკვდავი სული მის ფილოსოფიურ ნააზრევსა და ნაშრომებში იცოცხლებს.

სიკათით გამორჩეული

არიან ადამიანები, რომელთაც ზეცა იმედად და ნუგეშად უგზავნის დედამიწაზე მცხოვრებთ. სამწუხაროა, რომ ასეთი რჩეულები არც ისე ღიღხანს რჩებიან ჩვენს გვერდით. ეტყობა, ზეცა ხანგრძლივად ვერ ელევა მათ. მაგრამ, მაღლობა ღმერთს, ადამიანის სიცოცხლე, იგავ-არავისა არ იყოს, სიგრძით და ხანგრძლივობით არ იზომება: მთავარი ის კი არ არის, რამდენ ხანს იცოცხლე, არამედ ის, თუ როგორ, რა პრინციპებით იცხოვრე, ღირსებით განვლე ეს წუთისოფელი და მაღლი რანგის ღირებულებები იყო შენი ცხოვრებისეული კრედი და ორიენტირი, თუ მხოლოდ სხეულის მოთხოვნილებების დაქმაფილებისთვის მიგინიჭებია უპირატესობა.

ვაჟამ ადრეულ ასაქში ისეთი ტრავმა გადაიტანა, რამაც აღმართ, მხოლოდ სხეულს როდი მიაყენა ზიანი. ბევრი, მის ადგილას, „გატყდებოდა“, გაბოროტდებოდა, სულით დაეცემოდა, სხვისი საპატრიონო გახდებოდა და უკიდურეს პესიმიზმში გადავარდნილი, ირგვლივ მყოფთათვის არცოუ სასურველი პარტიორი იქნებოდა. მაგრამ ღმერთმა მას განსაკუდელთან ერთად ისეთი სულიერი სიმტკიცე, ენერგია და ნებისყოფის ძალა მიშმადლა, რომ ხანდახან ვფიქრობ: ის საბედისწერო ტრავმა რომ არა, ერთ კაცს ნამდვილად გაუჭირდებოდა მხელა სიკეთით სავსე ენერგიის თუნდაც უმცირესი ნაწილის დახარჯვა, რაც ვაჟამ მოახერხა.

ვაჟა გორუზია ნიჭიერი, მოელენათა ღრმა ფილოსოფიური ანალიზის უნარით დაჭილდოებული, ფიზიკურადაც და სუ-

ლითაც ლამაზი ადამიანი იყო და თუ ვინმე მკითხავს, მანც რა იყო ვაჟაში უმთავრესი და მნიშვნელოვანიო, უყოფანოდ შემიძლია ვთქვა, რომ ესაა ვაჟასთვის დამახსიათებელი დადგინო ენერგია, რომელზეც დღეს ასე ბევრს ლაპარაკობენ და რომ ლითაც დამუხტული კოსმოსური ველის გაზომვას ცდილობენ; ესაა გადამდები სიკეთე, რომლითაც გამოიჩინდა ვაჟა, გარდა იმისა, რომ ის ბრძენი, გონიერი და ზნეობრივი ადამიანი იყო, მას არაჩვეულებრივად შეეძლო (შინაგანი მოწოდებით) ეს სიბრძნე, სიკეთე და სიყვარული გადაეცა და გადაედო ირგვლივ მყოფთათვის.

ის შინაგანად თავისუფალი ადამიანი იყო, ოღონდ ეს თავისუფლება ყოველთვის ღირებულებათა შეალისთან თანხმობასა და შესაბამისობაში ელინდებოდა და ხორციელდებოდა. მისი ძეტიურობა ყოველთვის მოყვასის მხარდასაჭერად, თანადგომისა და შევბის მოგვრისსკენ იყო მიმართული.

ის ოცნებობდა ადამიანთა ხსნაზე ურთიერთგაუცხოებისაგან და ამიტომაც შემთხვევითი არ იყო, რომ მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ადამიანის გაუცხოების ფილოსოფიური ანალიზი იყო. ამ სფეროში მან არაერთი საინტერესო ნაშრომი შექმნა და როცა თანამედროვე პირობებში, გლობალიზაციის პროცესში ადამიანის, ინდივიდის, პიროვნების, ეროვნული კულტურისა და ეროვნული სახელმწიფოების მომავლის პრობლემა მწვავედ დააჭნა დღის წესრიგში, ვაჟას, როგორც ნიჭიერი მკელევარის რეაქციამაც არ დააყოვნა და მან მისთვის ჩვეული მეცნიერული სიღრმით, საფუძვლიანად გაანალიზა გლობალიზაციის თანმხლები უარყოფითი და დადებითი ტენდენციები, კულტურათა და პიროვნებათა ნიველირების სახითათო მომენტები და თეალსაზრისი ამ მოვლენათა ოპტიმალური და გონივრული რეგულირების აუცილებლობის შესახებ სათანადო ირგუმენტებით დასაბუთა. მან ეროვნული კულტურების უნიკალობის, თვითმყოფადობის და ეროვნულისა და ზოგადსაყაცობრიოს ურთიერთობის ვაჟა-ფშაველისეული თეზისი მეცნიერულად გაანალიზა და ჩივნა, რომ ზოგადსაყაცობრიო ლირებულებათა და, შესაბამისად, ზოგადსაყაცობრიო კულტურის სიმდიდრეს სწორედ თვი-



თმყოფადი ეროვნული კულტურები შეაღენენ, რომ ყოველი ერი, მით უმეტეს, ჩვენსავით მცირერიცხოვანი, ყოველმნიშვილი უნდა გაუფრთხილდეს იმ „სტატუსურ“ ღირებულებებს, როთაც ის ცნობილია როგორც ერი.

ვაკა გოროზია იყო პიროვნება, რომელსაც საყუთარი ძალიან ღამაზი სულიერი სამყარო ჰქონდა და მისი დამოკიდებულება, ზრუნვა ადამიანებისადმი. სიკეთის კეთება კეშმარიტად შინაგანი მოთხოვნილება იყო. ყოველთვის გვარწმუნებდა, რომ ამჭერად ადამიანებს შორის ნამდეილ ადამიანურ ურთიერთობებზე უფრო დიდი და მნიშვნელოვანი სიმდიდრე არ შეიძლება არსებობდეს.

სამწუხაროდ, ვაკა გოროზია ფიზიკურად ჩვენს გვერდით აღარაა, მაგრამ ის მუდამ ჩვენთანაა და კვლავაც (ისევე, როგორც სიცოცხლეში) ერთმანეთის თანადგომა-ურთიერთგავებისა და ურთიერთსიუფარულისქნ მოვაწოდებს.

ჰერიძენი ფილოსოფოსი ეპიკურე ამბობს, რომ გარდაცობილ მეცნიერებს, ახლობლებს თანაგრძნობა მხოლოდ დატირებით კი არ უნდა გამოვუწხადოთ (ვაკა გოროზია — ვამოუსწორებელი ოპტიმისტი, არც გვაპატიებს ზედმეტ ცრემლთა ღვრას), არამედ მათზე მუდმივი ფიქრით, მარადიული მოგონებით და მათი ნათელი ხსოვნისადმი მოკრძალებული და ფაქიზი დამოკიდებულებით.

ვაკა გოროზია, როგორც ნათელი წერტილი, ამ ხშირად გაუსაძლის წუთისოფელში, ჩვენთვის რჩება იმ პიროვნებად, რომელსაც სიბნელეშ სინათლე ვერ დაუჩრდილა, უსამართლობამ — სამართლიანობა, შურმა და მტრობამ — სიკეთე.

სიკვდილს შერპინებული

არიან ადამიანები, რომლებიც ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ ტკიფილთან, სევდანარევ მოგონებასთან ერთად, ერთგვარ სიამაყის განცდასაც ტოვებენ. ერთი მათგანი ვაჟა გორიოზია იყო — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის პროფესორი.

ვაჟა გორიოზიას სახელი თითქმის 40 წლის წინ გავიგე, როცა ხმა გავარდა — პირელკურსელი ფილოსოფოსი მცხეთაში მატარებლის ბორბლებქეშ ჩავარდა და ორივე ქვედა კიდური დაკარგაო.

შემდეგ იყო ბრძოლა სიცოცხლისთვის, სწავლის გაგრძელება, უნივერსიტეტის დამთავრება, ასპირანტურა, სამეცნიერო ხარისხი, მნიშვნელოვანი გამოკვლევები და, რაც მთავარია, ამ ხნის განმავლობაში იყო დიდი სიყვარული, სიყვარულით შექმნილი მშენები თვალი და ყოველივე ამის შემოქმედი ქალბატონი ინგა, ვისმა დიდმა სიყვარულმა და ქართველ ქალობამ ვაჟა გორიოზიას ჯერ სიცოცხლე შეუნარჩუნა, შემდეგ კი, თითქმის ოთხი ათეული წელი აციცხლა.

ვისაც გარკვეული დროით მაინც თბილისის უნივერსიტეტთან ჰქონია ურთიერთობა, მისი მაღლი და სითბო უგემია, გაიხსენებს საშუალო ტანის, გამხდარ მამაკაცს, ბოლო წლებში ჭალარა წვერით, ზოგჯერ ჯონით, ზოგჯერ უჯოხოდ, პირველი და მეორე კორპუსიდან მეოთხეში, ან პირიქით, ოდნავ ტორტმანით მიმავალს. ამ მოქლე მანძილის გავლის იგი ზოგჯერ ერთ საათს უნდებოდა. ამის მიზეზი ის კი არ იყო, რომ

სიარული უჭირდა, არამედ გზად შეხვედრილ ნაცნობ-მეგობ-
რებთან გაბასება, მათთან ურთიერთობა, ხშირ შემთხვევაში გა-
მათზე ზრუნვა, მხარში ამოდგომა, ჩაც მისი ცხოვრების შემა-
ღვენელი ნაწილი იყო.

ეს მძიმედ ტრავმირებული კაცი ქართულად მოლხენის დი-
ლისტატი იყო, უფრო კი მოლხენის ორგანიზება ეხერხებოდა.

უზომოდ უყვარდა სფერო, რომელშიც იღეს იდა — კონკ-
რეტულად, სოციოლოგია, ზოგადად ფილოსოფია. საათობით
შეეძლო ესაუბრა ფილოსოფიაზე, ქართველ ფილოსოფოსე-
ბზე, ქება უფრო ეხერხებოდა, თუმცა ნაკლის თქმასაც არ ერი-
დებოდა, თვით მისთვის ლამის ხატად მიჩნეულ მასწავლებლე-
ბზეც.

ვაჟა გამორჩეული იყო გარდაცვლილი მეგობრების თუ სუ-
ლაც ნაცნობთა მიმართ. ზოგჯერ შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ
გარდაცვალების შემდეგ დაუმეგობრდა ბევრს, ისე ზრუნავდა
მათზე. ყარელში, სტუდენტობისდროინდელი მეგობარი დაგ-
ველუბა, ლევან ელოშვილი, რომლის ერთადერთი შეილი, მა-
მის დალუპვიდან რამდენიმე თვის შემდეგ მოევლინა ქვეყნას.
ვიდრე, ეკა უნივერსიტეტის სტუდენტი გახდებოდა, იშვიათი
გამონაქლისის გარდა, ყოველ წელს ჩავდიოდით ლევანის დაბა-
დების დღეს ყარელში. მანქანა, როგორც წესი ვაჟასი იყო,
მძლოლსაც თვითონ წამოიყანდა. ლევანის მშობლებთან, ქა-
იფს ვერიდებოდით და სავალდებულო სადღეგრძელოების შე-
მდეგ, თბილისის გზას დავადგებოდით. გზად კი, სადმე შევჩერ-
დებოდით და არ მასსოვს ვინმეს დაესწროს მისთვის ფულის
გადახდა. ამ მხრივაც გამორჩეული იყო ჩვენი ვაჟა.

ვაჟამ შეუძლებელი შეძლო და ათეული წლების განმავ-
ლობაში სიკედილს აჭობა, მაგრამ განა ვის უჭობნია ბოლო-
მდე სიკედილისთვის. ბოლოს ისიც დაწებდა. დაწებდა ვაჟა-
ცურად და დაგვიტოვა დიდი სიყვარული, დიდი მეგობრობის
განცდა და უსაზღვრო ტეივილი. ვიდრე ცაცხალი ვიქნებით
მისი მეგობრები, გვემახსოვრება ერთი შეხედვით, ჩვეულებ-
რივი, სინამდვილეში არაორდინალური, მოაზროვნე, ფიქრია-
ნი, სევდიანიც და, ამასთან, იმედიანი კაცი. ამ კაცს ვაჟა გო-
როზია ერქვა.

ნათელი მოგონება

ლირსეულ ადამიანთა მიმართ, უთქმელობა კეთილი სიტყვისა ცოდვად ჩაითვლება, მით უფრო, როდესაც ეს ეხება ისეთ პიროვნებას, როგორიც ვაჟა გახლდათ.

გარდაცვლილთაგან უფრო მეტი სინათლე მოდის, ეიდრე ცოცხლებისგან, და მართლაც, დიდი სინათლე და სითბო დატოვა ვაჟამ თავისი უწყინარი არსებობით, თავისი განუსაზღვრელი სიყარულით, ერთგულებით საქმისაღმი, მეგობრებისადმი, ოჯახისაღმი.

ბევრი რამ სტკიოდა ვაჟის, მაგრამ არავის არ უნახავს იჯი მოწუწუნე, ავადმოსაუბრე, სხვისი აუგად შხსენებელი. სული დაუშძიმა, გული ატკინა ადამიანთა სიავემ, მაგრამ წავიდა უხმაუროდ, მორიცებულად, წავიდა ჩვენგან ნათელი მოგონებით.

და, სიცოცხლე მოკვდას პიღებ, მაგრამ სიკვდილმა არ უნდა იცოცხელოს!

„წინააღმდეგობებისაგან გაცვეთილი ბუნებისა იფა ჰაინეო!“ — წერდა ქართულ ენაში დამკვიდრებულ კანონიების საწინააღმდეგოდ კონსტანტინე გამსახურდია. უდიდეს მწერალს ქართული ენის გრამატიკის უცოდინარობას ვინ შეძედავდა. არადა, გარეგნულად ამ წინააღმდეგობრივ გამოთქმაში შინაგანად დიდი შინაარსი იდუმალებს. საქმე ისაა, რომ ყველა მოკვდავს წინააღმდეგობა ანვითარებს და უცილობლად მიიყვანს თეითუარყოფამდე, რაც ზოგჯერ უკვდავების ტოლფისია. კონსტანტინე ბატონი ხაზს უსუაშს ჰაინეს განსაკუთრებულობას და აქცენტს სწორედ წინააღმდეგობასა და ჰაინეზე აკეთებს.

თუ დიდ კონსტანტინეს დავესესხებით და ჰაინეს ადგილას ვაჟა გორიზიას ვიგულისხმებთ, რაც ამ შემთხვევაში უპრიანია, თამამად შეგვიძლია ვთქვათ: „წინააღმდეგობებისაგან გაცვეთილი ბუნებისა გახლდათ ვაჟა გორიზია“. კიდევ მეტი, თუ, ვთქვათ, სპარტაკი იყო პირველი ომი ნეგანს-ი, რომელმაც არამარტო იდეურად უარყო მონათმოლობელობა, არამედ პრაქტიკულად საფუძველი ჩაუყარა დრომოქმული საზოგადოების ნერებას, ვაჟა გორიზია გამედულად ებრძოდა იმ მონური ურთიერთობების დამკვიდრებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საზოგადოებაში სტალინის გარდაცვალების შემდეგ. ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომ სტალინი მისი კერპი იყო. მას ხშირად უთქვაშს: რომ არა სტალინის უდრიოთ სიკედილი, მსოფლიო დღეს სულ სხვანაირი იქნებოდათ. სტალინი, მისი აზრით, ის-

ტორიაში შეუდარებელი პიროვნება იყო. მან, დღეს მოქილიკე ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, შეძლო ერთ მუშტად შეეკრა ადრე დაპირისპირებული ერები და ფაშისტურ ურჩესულს არა თუ გაუმკლავდა, არამედ თავის ბუნაგში ამოშანთა ის. არ შეიძლება გარკვეულწილად არ დავეთანხმოთ სტალინის პიროვნების გორიზიასეულ შეფასებას. მხოლოდ ერთი მაგალითის მოყანაც კი საქმარისია სტალინის სიღილის საილუსტრაციოდ. ავიღოთ ისეთი ორი უდიდესი პოლიტიკოსი, როგორიც იყონენ რუსელტი და ჩეჩილი, რომელთანაც სტალინს მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებით ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა. ცნობილია, რომ ორივე ამ პოლიტიკოსს, მათივე აღიარებით, სტალინის უდიდესი რიდი და, ჩვენ დაუუმატებდით, შინაგანი შიშიც ჰქონდათ. არადა, ცხადია, ეს შიში სტალინის დიქტატორული ბუნებით დეტერმინირებული სულაც არ იყო. არაა სადაცო, რომ სტალინი მათ ვერ დაიჭირდა, და ვერც გააციმბირებდა, თუნდაც ასეთი სურვილი ჰქონოდა.


ბევრს უჭირს, ერთმანეთისაგან განასხვავოს ისტორიულიტერატურული განათლება ნამდვილი ცოდნისაგან. ნამდვილი ცოდნა მოვლენის ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივ დასაბუთებას გულისხმობს, რაც ფორმალური ლოგიკის კანონებით ყოვლად შეუძლებელია. აქ დიალექტიკური ლოგიკა შეუცვლელია. სტალინის ფენომენის საიდუმლო სწორედ ამ ორბიტაზე მოძრაობს. საჭმე ისაა, რომ ის თავის კოლეგებს სწორედ დიალექტიკური ლოგიკის ცოდნით ჯაბნიდა, თუმცა მას, როგორც ცნობილია, საუნივერსიტეტო განათლება სრულიადაც არ ჰქონდა მიღებული. დღესაც, სამწუხაროდ, დასავლეთის არცერთ უნივერსიტეტში არ ისწავლება ჰეგელის (თავი რომ დაგანებოთ კ. მარქსს) დიალექტიკური ლოგიკა, ხოლო ე.წ. აღმოსავლეთის რომელიმე უნივერსიტეტში თუ ისწავლება, მხოლოდ ზერელედ.

ცნობილია, რომ, საერთოდ, მეცნიერებაში მემკვიდრეობითობის პრინციპის დაცვის გარეშე რაიმე სერიოზული ნაბიჯი არ გადადგმულა. შემთხვევითი აღმოჩენები ყოველთვის მოკლებული იყო მეცნიერულ დასაბუთებას. ეს ასე იყო და ასე იქნება ყოველთვის, მაგრამ კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას

იძენს დასაბუთების პრობლემა მსოფლმხედველობრივ მეცნიერებებში. აქ ახალი სიტყვის თქმა შეუძლებელია ისე, თუ არა მარტინ ლინკის წავლე და გაითავისე უდიდესი თეორიული მემკვიდრეობა, რაც დაგვიტოვეს სისტემური მოძღვრებების სახით არის ტოტელემ, კანტმა, ჰეგელმა და მარქსმა. განსაკუთრებული ადგილი კ. მარქს უჭირავს. მის მოძღვრებაში მთავარია არა ისტორიის მატერიალისტური გაერბა ან ზედმეტი ლიტებულების თეორიის დასაბუთება, არამედ სწორედ ჰეგელის დიალექტიური ლოგიკის შემდგომი განვითარება. ის, რაც მარქსიდან უნდა ავილოთ სახელმძღვანელოდ მეცნიერებაში, სწორედ დიალექტიკური მეთოდია.

მარქსის მოძღვრებას ზოგადად უარი რომ ეთქვა, ეს კანონზომიერია, იმდენად დიდი იყო იდეოლოგიური გარსი, რაშიც აეტორმა მთელი თავისი თეორია გაახვია. მარქსიზმი იდეოლოგიურად კაპიტალიზმისადმი სიძულვილს ბადებს. ცნობილია, რომ სიძულვილი სიძულვილს იწვევს და ისიც კანონზომიერია, საერთო ზიზლი რომ გაჩნდა მარქსიზმისადმი. ეს ზიზლი კიდევ უფრო გააძლიერა სოციალისტური სისტემის ნგრევამ. მაგრამ ცნობილია, რომ სიძულვილი და ზიზლი არ არის კარგი მრჩეველი მეცნიერებაში. ასე მოუვიდა საქართველოს მთავრობა-საც: — მან საერთოდ უარი თქვა მარქსზე, და ამას საფუძვლად დაუდო არამარტო იდეოლოგიური მოსაზრებანი, არამედ სწორედ მარქსიზმის უცოდინრობა. ამ მდგომარეობამ აღაშფოთავი გოროზია. ეს იყო ბობოქარი გამოსვლა ნახევრად დამტოთხალი პროფესურის (პროფესურის ნაწილი რომ დამტოთხალია, ეს გააფერცხადა უნივერსიტეტიან დაქავშირებულმა მოვლენებმა) წინაშე. მაგრამ ვაგლახ, რომ არ დასცალდა...

სხვათაშორის, აქ უნდა მოვიგონოთ ბრიტანეთის აქადემიის წევრის, კემბრიჯის უნივერსიტეტის სოციალური ანთროპოლოგიის (ბატონი ვაეკ ხომ ამ მიმართულებით იღწვოდა დღინიადაგ) კათედრის პროფესორის ერნესტ გელნერის ხედვა: მართალია, კარლ პოლანდი ისტორია საესებით ორიგინალურად დაპყო სამ სტადიად და არის კიდევ სხვა დაყოფებიც, მაგრამ მარქსიზმი ამ დარგში ჩაიტანა კულაზე გავლენიან, კულაზე მნიშვნელოვან და, ალბათ, კულაზე დამუშავებულ თეორიიად. ამ



თეორიისადმი უარის თქმა ვერ აიტანა ვაეგა გორიოზიაშ.

როგორც წესი, დიად ადამიანთა წასვლა იმქვეყნად ბუნებრივი რივად არ ხდება. ვაეს სიკედილიც არ იყო ბუნებრივი. ბატონი ვაეგა დაღალა ყაველდლიურმა შინაგანმა ბრძოლაშ უმეცრებისა და ბოროტების წინააღმდეგ. ტვინმა ვერ გაუძლო ამ კოშმარს...

ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ საზოგადოებას უდროოდ გამოიყლდა სწორედ საზოგადოებისთვის თავგანწირული ადამიანი, რომელსაც უშრეტი ენერგია და პოტენცია ჰქონდა საიმისოდ, რომ საქართველო ყოფილიყო ბედნიერი? სამგლოებრო მიტინგის გარეშე, წყნარად მიებარა მიწას ეს დაუდეგარი ადამიანი...

ლრმა დაფიქრებას საჭიროებს ის გარემოება, თუ რას, რომელ საზოგადოებას ვაშენებთ ჩვენ?..

დიდი კაცი

ვაჟა გოროზია — წესიერი კაცი, წესიერი ცხოვრებით განვლო ლეთისგან ბოძებული აშენებიური ყოფა, წესიერ ცხოვრებისა და ქუევას მისდევდა იგი და სხვებისგანაც ამას მოითხოვდა. ქართული ტრადიციის, ადათის მიმდევარი, უაღრესად ნიჭიერი, ღრმად განათლებული ფილოსოფოსი იყო. არ უყარდა მეტირობა, წერილმან საქმეთა კირკიტი.

სხვათა წარმატება უხაროდა, დაუზარელი კაცი იყო, ყველას გვერდში ედგა. სიმართლისათვის ქვექნის დასალიერს წაყვებოდა კაცს. ოჯახის წევრმა, ნათესავმა, მეგობარმა, უბრალოდ ნაცნობ-უცნობმა, ყველამ კარგად ვიცოდით ვაჟას ლექსიკონი, მასში ცნებები: არ შემიძლია, უკვე გვიანია, არ აჩსებობდა. იმედიანი კაცი იყო. თავად მრავალ ტრაგედიაგამოვლილს, სხვათა იმედად ყოფნა ენაღელებოდა. ოცდაოთხი საათი ოჯახზე, უნივერსიტეტზე, მეგობრებზე ფიქრობდა. გამოუვალ სიტუაციაში გამოსავალს პოულობდა. სიმართლეს და კეშმარიტებას ეძებდა ამ ქვექნად.

უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს სესიები გვქონდა. უმაღლესი მათემატიკა რთულ საგანთა რიცხვს მიეკუთვნება. გამოცდა მათემატიკაში ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში მიმდინარეობდა. შედის ვაჟა გოროზია გამოცდაზე. გადის ორი საათი მაგრამ არ გამოდის გოროზია, სამაგიეროდ გამოდის დაღლილი, მშერ-მწყურვალი ბიბლიოთეკარი; ყველანი მიღვივდით, რაშია საქმე, უკითხებით.

— ეგ თქვენი გოროზია მეტად პრინციპული ვინმეა!..

ახლა აღარ მახსოვს ჩა მათემატიკურმა ფორმულამ გამოი-
წევია ის დიდი შეხლა-შემოხლა გამომცდელსა და სტუდენტ
გორიზიას შორის, მაგრამ გორიზიას ხასიათი კი ნათლად წა-
რმოჩინდა იმ დღეს...

არ ეთანხმება გამომცდელებს, ფორმულა თავისებურად ამო-
უსხსნია და იძახის: ამა და ამ მეცნიერს ამა და ამ წიგნში ასეთი
პრინციპით და მიმდევრობოთ აქვს ახსნილი.

ამ დროს გამოდის გორიზია ბიბლიოთეკიდან, ჩვენსკენ არც
მოუხედავს, სადღაც გაქრა. დანარჩენი გამოსაცდელები ბიბ-
ლიოთეკის კარებს მივცვივდით, მაგრამ, არა ბატონო, ფერ გო-
რიზიასთან არ დაგვიმთავრებიაო, გამოგვიცხადა გამომცდე-
ლმა. მოდის გორიზია და მოაქვს ჩამდენიმე სქელტანიანი წი-
გნი. შედის გამოცდაზე და, როგორც შემდგომ ირკვევა, ამტკი-
ცებს თავისი პოზიციის სიმყარეს. გამომცდელი აღიარებს გო-
რიზიას ნიჭის, განსწავლულობას, პრინციპულობას და უდას-
ტურებს ხუთიანით (ჩაც გორიზიასთვის არ იყო თვითმიზანი).

აი ასეთი იყო სტუდენტი ვაჟა გორიზია და ასე კაცურად
და სიყვარულით იცხოვრა მან ამ წუთისოფელში. მადლიანი
კაცი იყო ჩვენი ძმა, დიდი კაცი — ვაჟა გორიზია.

გედნიერი იყო, მამრამ...

ვაჟა გორიოზია სამეგრელოში დაიბადა. ამ კუთხის ადამიანებისთვის ჩვეული სითბო, სიკეთე და თავმდაბლობა თავიდანვე დაპყვა.

ვაჟა ფილოსოფოსი, სოციოლოგი გახლდათ და ზოგიერთი ცნობილი ფილოსოფოსივით ლექსებს ვერ წერდა, მაგრამ პოეტი იყო ყველაფრით.

დიდ არისტოტელეს რომ განუცხადებია — შეცდომა ადამიანთა ხვედრიაო, ეტყობა, დიდ რიცხვს გულისხმობდა, თორეშ ვაჟა ისე აღესრულა, შეცდომა არ დაუშვია.

ანტონ ჩეხოვს რომ უთქვამს — გარემო ადამიანზე გავლენას ახდენსო, ვაჟას მაგალითზე ზედმიწევეით მართლდება. ვაჟაზე — ამ მეტად მირონ ცხებულ შეგირდზე დიდზე დიდია ცნობილი უბადლო ოსტატის, პროფესორ ვენორ ქვაჩახიას ამაგი. ბევრს ნიშავედა ვაჟას მეგობრობა მწერალ და მეცნიერ-ფილოსოფოს ვალერი კვარაცხელიასთან, პროფესორებთან ვახტანგ გოგუაძესთან, იროდიონ ქვაჩახიასთან, გემალ პაჭიორიასთან, ვახტანგ ფარცხვანიასთან და სხვებთან. ვაჟა პროფესორი იყო, მაგრამ ამ დაუნდობელ, ამ აწერილ წუთისოფელში ბევრი მეცნიერული გამოკვლევა არ დარჩენია, თუმცა ის მცირედიც კი, აღბათ, ზოგიერთი ცნობილის ნააზრებს გადაწონის.

ცხოვრების მეგობრის არჩევის დროს ბედმა გაულიმა ვაჟას. ვაჟა, ცხადია, არ იყო ტრისტანი და შეულლე — ინგაც არ არის იზოლდა, მაგრამ ვაჟასა და ინგას შესაშუალებაზე იმდენი რამ მსმენია, რომ ხსენებული ცნობილი წყვილის ან



სხვათა საქედაცვოდ განმაურებული სასიცორულო ისტორიების
გაახსენდება კაცს.

არისტოტელე წერს: ფილოსოფოსის სიცოცხლე უფრო ბე-
ღძნიერი სიცოცხლეათ. ვაჟასთანაც დიახაც ასე იყო, მაგრამ,
ვით, რომ ასე მოულოდნელად ჩაქრა ის!..

ვაჟამ, ცხადია, იცოდა ის ცნობილი ჭეშმარიტება, რომ ცო-
ცხადი არსებებიდან მხოლოდ ადამიანმა იცის, თავიდანეუ იცის,
მოკვდება, მაგრამ ძალზე ძნელი იყო შეჩვევა. რამხელა ტკიე-
ლია, სამუდამოდ გამოეთხოვო, უდროოდ გამოეთხოვო შვი-
ლებს, მეულლეს, შენიანებს, მეგობრებს...

ჭირისუფალს ვაჟასთან განშორება ასევე მეტისმეტად გაუ-
ჭირდა...

და რახან ყველაფერი ასე მტკიცნეულად დასრულდა, ოდე-
სმე, როცა კარგად გამოიდარებს, ვაჟას საფლავს შესაძლებე-
ლია ანტიკური ქანდაკება დაედგას — ოდნავ თავდახრილი ქან-
დაკება, რაც მისი — ამ მოაზროვნე, გონიერი ადამიანის ჩაუი-
ქრების ნიშანი იქნება.

ვაჟას ფასი იცის ყველამ, უმისობა ტკივა ყველას...




თანამდეროვე გაუცხოებული ადამიანის თვითმყოფადობის არსი

ადამიანის, როგორც თვისებრიობათა ერთობლიობის ქმნა-დობის პროცესი ისტორიულ-ლოგიკურ კრიოლში ვერანაირ შე-მთხვევაში ვერ ასცდება კონკრეტულ ადამიანთა გადაგვარება-გაუცხოებას, რაც დღევანდელი საზოგადოებრივი ფასეულობების მწვერვალის გაღმოსახელიდან ნაკლებად ანტერესებს ჩვენი საზოგადოების ცნობიერებას, არადა ამ ყალბი, უსახო სოციალური წინააღმდეგობების გაშიშვლების გარეშე ნამდვილად მოაზროვნე გონისათვის წარმოუდგენელია ჯანსაღი, კონკრეტული ადამიანის დამკვიდრება თუ თვითდამკვიდრება.

საზოგადოების რაციონალური აზრის ისტორია მისი დასაბამიდან დღემდე გამუდმებით კელევა-ძიებაშია კონკრეტული ადამიანის სიცოცხლის საზრისთან მიმართებაში. ეძებს და ვ-რა პპოულობს რა, რაღანაც მისივე ბიოლოგიური მოცემულობის დომინანტობა სულის, ნამდვილი სულის, ანუ ადამიანის არსის მარცვალს გაღვივებაში უშლის ხელს და ჭრიჭერობით მიასლოებითაც კი ვერ პასუხობს კითხვას: რა არის ადამიანი? ზებუნებრივ თუ მეორეხარისხოვან სოციალურ გარემოში ეძებს ამ კითხვაზე პასუხს მაშინ, როდესაც მარტივზე უმარტივესია გაიგო ადამიანის დანიშნულება, მისი რაობის საზრისი.

ბუნების კანონზომიერება არც სოციალურ საკითხთან დარჩეა გულგრილი. ადამიანთა განვითარებაც მთელი სიმკაცრით დაუმორჩილა დიალექტიკის ფენომენს, რაც მთელი სიმკაცრი-



თა და სისასტრიკით ელინდება საზოგადოების სისხლიანი ისტორიული ძეგლების სახით.

პირველ რიგში ხომ ადამიანი-ცხოველი, რომელიც არის და არც არის ცხოველი, არის და არც არის ადამიანი, მატერიალურ სამყაროში გაბატონებულ საგანთა აბსოლუტურ ტუფობაში ექცევა მისი ბიოლოგიური რაობის ღომინანტობის გამო. ამ შემთხვევისათვის და თუნდაც ჭერ კიდევ დღესაც, საზოგადოების უმრავლესობისათვის სულიერი მომენტი დაჭვემდებარებულის როლში მოიაზრება მხოლოდ. მარტო ცალკეულთა ხვედრია თავი დააღწიოს ადამიანი — მომხმარებლის სტატუსს და გაანათოს სიბერით გაუკუნებული ადამიანური სამყარო და ამით ცის კაბადონზე მორჩმულ ვარსკვლავთა კაშკაშს ოდნავ მაინც ჩაანაცელოს მის არსობრივად მოწოდებულ დიადი ნათელის ძლევამოსილება.

ისტორიულად და ლოგიკურად ადამიანთა ურთიერთობა როდი იყო უშუალო, არამედ ეს ურთიერთობა საგნობრიობითა გაშუალებული. და დღესაც ადამიანი-მიზანი ადამიან-საშუალებად მოიაზრება, რაც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობითაა ზღვარდებული. ადამიან-მომხმარებელს ნაკლებად ანტერესებს თავისი სხვის, ანუ მეორე კონკრეტული ადამიანი-მომხმარებლის სულიერი განვრცობა, ანუ მისი, როგორც ადამიანი-უზენაესობის დამკვიდრების სოციალური მომენტი. ის მიიღოს საგნობრიობის სიუხვისაკენ, საგანთა სიმრავლეა დომინანტი მის პრიმიტიულ ცნობიერებაში. ამ შემთხვევაში თოთოველი ადამიანი, როგორც ადამიანი თავისი უშუალობის მონადაა ქცეული. ის ხდება სკეპტიკოსი, ცინიკოსი და განუწყვეტილივ მიიღოს ვულგარული ინდივიდუალიზაციისაკენ. მისი ცნობიერება, როგორც დიდი ქართველი დიალექტიკოსი, პროფესორი ვაერ გორიოზია აღიარებდა, „უბედურ ცნობიერებადაა“ ქცეული. სწორედაც ეს ცხოველურ-მომხმარებლური აუცილებლობა აშიშვლებს მასში მოცემულ წინააღმდეგობას: არის და არც არის ცხოველი; არის და არც არის ადამიანი, და უკვე რამოდენიმე ათასმა წელმა განვლო, მაგრამ ადამიანმა ჭერჭებით თავი ვერ დააღწია ამ უსაშინლეს მდგომარეობას. ზემოთაღნიშნულ სოციალურ პრობლემებთან მიმართებაში.

დღევანდელი ადამიანის სინამდვილე ნაკლებად განსხვავდება პრი-
მიტიული ადამიანის სოციალური სინამდვილისგან, უფრო მე-
ტიც: პრიმიტიული ადამიანის სოციალური ყაფადება მაღიან
მცირე დოზით მოიცავდა დღევანდელ სოციალურ ურთიერთო-
ბებში გამოხატულ ადამიანი-საშუალების ნიშან-თვისებებს და,
პრიმიტიული ხელვით, მაგრამ მაინც ისტორიაში დადგა ობიექ-
ტური აუცილებლობა პრიმიტიული ადამიანის გარდაქმნისა. ის
უთუოდ უნდა მიუახლოვდეს თავის სხვას, ანუ სულიერი მოწო-
დების ნამდგილობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არც ცხოველი
იქნება და არც ადამიანი, ხოლო ორგანულ სამყაროში და, საე-
რთოდ, განვითარების კანონზომიერებიდან გამომდინარე, ყავე-
ლივე განუვითარებელი საფეხური უნაშთოდ ქრება.

პროფესორ ვაჟა გოროზიას შემოქმედება უშუალოდ ადა-
მიანის გადაგვარება-გაუცხოების კალევა-ძიებას უკავშირდება.
მან თავისი შეგნებული ცხოვრება შეალია ამ პრობლემის ამო-
სნას და ლომის წვლილი დაგვიტოვა ამ ურთულეს პრობლე-
მასთან მიმართებაში.

გერმანული კლასიკური ფილოსოფიიდან მოყოლებული მე-
ოცე საუკუნის ჩათვლით, ადამიანის გადაგვარება-გაუცხოების
პრობლემას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა თეორიულ აზროვ-
ნებაში. საკითხის მხოლოდ ისტორიულ კრილში, ანუ ეპოქე-
ბთან მიმართებაში განხილვას შეუძლია წარმოაჩინოს მისი მრა-
ვალმხრივობა, რაც თავისებური წანამძღვარი იქნება გაუცხო-
ვების კატეგორიის ნამდვილი შინაარსის დადგენისათვის. უნდა
აღინიშნოს, რომ დღევანდელ ფილოსოფიურ აზროვნებაში ნა-
კლები ყურადღება ეთმობა ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემას,
რომლის ამოსნის გარეშე შეუძლებელია საზოგადოებრივი ურ-
თიერთობების რაციონალური განვითარება, ადამიანთა კეთი-
ლდღეობის დამკეიდრება. არადა, დღეს ადამიანის გაუცხოებამ
თავისი შინაარსობრივი დატვირთვის პიქს, უზენაესობას მიაღ-
წია და ყველა სოციალური ასპექტი მომწიფებულია მისი უარ-
ყოფისათვის. ბუნებრივია, იბადება კითხვა: რატომ ეთმობა ნა-
კლები ყურადღება ამ პრობლემას დღევანდელ ფილოსოფიურ
რეალობაში? აქ ამდენიმე მომენტია აღსანიშნავი: პირველი
ის, რომ საბაზრო ურთიერთობების საზოგადოება არ იკვლევს

ადამიანს, მის მნიშვნელობას. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების კულტივირების ეპოქაში ნამდვილი ადამიანის საპატიო აღვილი და ყავებულია ფულის კანონზომიერების განმავრცელებლი პროლიგეტების მიერ; მეორე ის, რომ თითქმის ყველგან ამოღებულია პოლიტიკური ეკონომიკისა და ნამდვილი ფილოსოფიის სწავლება, დიალექტიკურ მეთობზე საუბარი კი საერთოდ ზედმეტია. ყველაფური ეს ფინანსური მონოპოლიის უმქაცრესი მოთხოვნებია, რადგანაც საბაზრო — ეკონომიკური საზოგადოებრივი ურთიერთობების პირობებში ზემოქამოთვლილი მეცნიერებები აშიშვლებენ მის ყველა არაადამიანურ ასპექტს, უკანასკნელი კი ვერ ჭდება ფინანსური კაპიტალიზმის ინტერესებში.

ვაյა გოროზია ეყრდნობოდა იმ აზრს, რომ ადამიანის პრობლემა ყაველთვის იყო ფილოსოფიური და პოლიტ-ეკონომიური განსხვის ერთ-ერთი ძირითადი საგანი. ნამდვილ ადამიანზე ჩაიშვი გარკვეული, რაციონალური აზრის სათქმელად, საჭირო იყო მისი განხილვა არა აბსტრაქტულ იზოლაციაში, არამედ სოციალურ კონტექსტში, კონკრეტულად, სწარმოო ურთიერთობათა კონტექსტში. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ გაუცხოების პრობლემა წარმოიქმნება შრომის პრობლემასთან მიმართებაში. თუ შრომის შედეგის გასხვისების მიზეზად გამოდის კერძო საკუთრება, მაშინ გაუცხოების მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ კერძო საკუთრების ელიმინაციის გზით. მაგრამ, მეორეს მხრივ, სიტუაცია რთულდება იმ გარემოების გამო, რომ კერძო საკუთრება წარმოადგენს არა მხოლოდ შრომის შედეგის გასხვისების მიზეზს და შედეგად ადამიანის არის გაუცხოებას, არამედ, გარკვეული ნაწილით, თვით შრომის (უფრო სწორად, მუშაობის) ფენომენი არის კერძო საკუთრების წარმომქმნელი ადამიანის ქმნადობის ისტორიის გარკვეულ ისტორიულ ჰრილში, ანუ შრომა და კერძო საკუთრება მიზეზ-შედეგობრივ, ურთიერთგანმაპირობებელ სოციალურ კეტორებს წარმოადგენენ.

როგორც ასეთი, გაუცხოების პრობლემა მხოლოდ კერძო საკუთრების მოსპობით არ მთავრდება; ლაპარაკია შრომის სფეროში არსებულ ყველა ძეველი შეხედულებითი მიმართულებე-

ბის არსებით და ძირეულ გარდაქმნაზე. სხვა შემთხვევაში წრობლება გადაჭრილი იქნება მხოლოდ ზედაპირულად, ობიექტები რი მხრიდან, ხოლო მის სუბიექტურ არსობრივ დატვირთებას ან დაეკარგება მნიშვნელობა. ამიტომ მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების წესის უარყოფა ან წარმოადგენს გაუცხოების პრობლემის აბსოლუტურად გადაჭრას, ის მხოლოდ მთავარი წინაპირობაა, არამედ შრომის, ან მისი სუბიექტური მიზეზის არსობრივი გარდაქმნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საუბარია მუშაობისა და შრომის ცნებების არსობრივი განსხვავება-იგივეობის დიალექტურ მომენტზე. გაუცხოების პრობლემის საბოლოო დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ მონური გუშაობის შემოქმედებითი შრომით შეცვლის შემთხვევაში. ლაპარაკია ადამიანი-მუშის ადამიან-მშრომელად დამკვიდრებაზე, არადა უკანასკნელი მიიღწევა თავისუფალ დროსა და თავისუფალი საზოგადოებრივი ურთიერთობების პირობებში.

ვაჟა გორიოზია სასტიკად აერიტიკებდა ფულის საზოგადოებით გამოწვეულ თანამედროვე გულგარულ ყოფის. მისი აზრით იმ საზოგადოებაში, სადაც ადამიანის ყოფის მთავარ მიზანს ფული წარმოადგენს, უფასურდება ინტელექტუალური, ესთეტიკური, ეთიკური და სხვა სოციალური ფასეულობები. ამ შემთხვევაში ადამიანის გადაგვარება-გაუცხოება თავისი გამოვლენის პიქს აღწევს და ვლინდება ყველა მისი ფორმა. ფული თავისთავად და თავის თავთან მიმართებაში წარმოადგენს საგნების ლირებულებით ურთიერთმიმართების გამოხატვის საშუალებას და ამ მიმართებაში ადამიანები ერთნაირ, თანაბარ ლირებულებას წარმოადგენენ, არა იმიტომ, რომ თითოეული სოციალურად ამაღლებული ლირებულებაა, არამედ იმიტომ, რომ ფულის საზოგადოებაში მხოლოდ ფული წარმოადგენს ლირებულებას და არა ცალკე აღებული ადამიანი.

ულმობელია ფულის კანონი. ის გულგრილი და დაუნდობელია ადამიანური ლირებულებების მიმართ, იგი თავის მიზეზს — ადამიანს თავის კანონების მონა-მორჩილად ხდის და ზღუდავს ნამდვილ ფასეულობათა დამკუიდრებას — ადამიანი-მიზნის თვითმფაფადობას. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მატერიალურ-ტექნიკური პროგრესისათვის, ნივთთა სიმრავლის

წარმოშობისათვის. ამ უკანასკნელმა კი ადამიანს დაუკარგა თავისი ნამდევილი სახე და შეიგუა მხოლოდ მისი მომზრდებული, ლურ-მეშჩანური, მესაკუთრული, ყალბი, უსახო ფაქტულობები. ასეთ საზოგადოებაში ადამიანი, როგორც ადამიანი ნელ-ბად საინტერესოა — ასი შეცვალა უშინაარსო ფორმაში. ფულის საზოგადოებაში ადამიანებთან მიმართებაში სოციალური ღრ-ებულებები ვერ ინარჩუნებენ ფორმა-შირაარსის ნამდევილ სი-ნოებს.

დღევანდელი ადამიანი გაშიშელებულია. ის არც ადამიანია და არც ცხოველი, მოწყვეტილია ადამიანური ცხოვრებისაგან, მარტოა მხოლოდ უშინაარსო ნივთებთან ჩახურებული. მის ერთადერთ ხსნას ამ საზოგადოებაში, ირაციონალური ინდი-ვიდუალიზაციისაცენ სწრაფვა წარმოადგენს, რითაც მზარდი ინტენსივობით კარგავს სიცოცხლის საზრისის ერთ-ერთ მთა-ვარ „კომპონენტს“ — სიყარულს, სხვის დამკეიდრების სიხა-რულსა და მომავლის რწმენას. ადამიანი ყველაზე მეტად თვი-თონ თავისივე მოძმისგან გახდა დაუცველი. მოაზროვნე გონის გადმოსახელიდან ალოგიკური გახდა მისი მყოფადობა. საზოგა-დოების ნაწილი ეგუება ამ გაუცხოებულ სოციალურ ურთიე-რობებს, ნაწილი კი დეპრესიული და ჭირვეული, ყაფით აუ-ტანელი სულიერი ტეივილების განცდით უიმედოდ ელოდება თავისი ბუნებრივი უშუალო მოცემულობის ბიოლოგიური ნა-მდევილობის მოახლოებას.

პროფესორი ვაჟა გორიოზია მეცნიერთა იმ გამონაკლისს ეკუთვნოდა, რომელიც სასტიკად არ ურიგდებოდა სიყალბის, ფსევდო-მეცნიერული ხედვების შემოტევას, მას სიმართლისთვის, ნამდევილი მეცნიერული ხედვის განვრცობის ყოველდღიურ ზრუნვაში არასოდეს დაუხევია უკან, არც აუდიტორიებში სტუ-დენტებთან და არც ფართო სამეცნიერო ასპარეზზე. ადამია-ნის პრობლემის კვლევა მის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას, სი-ცოცხლის კრედის წარმოადგენდა და გადმოუცემელი ენთუ-ზიაზმითა და მებრძოლი სულისკვეთებით აშიშველებდა რო-გორც აზიატურ, ისე დასავლურ, დრომოვემულ და დამყაფ-ბულ სოციალურ ღირებულებებს, მცდარ პროდასავლურ მე-ცნიერულ შეხედულებებს. ამ მხრივ დიდ მეცნიერულ ინტე-

რესს იწვევს მისი თეორიული ნაშრომები აღამიანის ყოფიერების გააზრების საკითხთან მიმართებაში.

ვაჟა გორგოზის აზრით, ეპოქის წინაშე აღამიანის ყოფიერების პრობლემა მაშინ დგება მწვავედ, როცა ისტორიული გარდატეხის, ლირებულებათა გადაფასების უამი დგება, მათი უშუალო განცდა კი ძალუმიდ გვიბიძებს მომხდარის, არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გააზრებისკენ. ფაქტია ის, რომ მსოფლიო ცივილიზაციათა შორის მაღომინირებელი მდგომარეობა ეგრეთწოდებულ დასავლურ ცივილიზაციას უკავია. კაცობრიობის განვითარების ძირითად ორიენტირად სწორედ აღნიშნული ცივილიზაციაა მიჩნეული და ამ მარაონოში ჩვენი (ქართული) საზოგადოებაც არის ჩართული. ისმება სავსებით ლოგიკური კითხვა: როგორია თავისი არსით დასავლური ცივილიზაცია? რა ლირებულებას ეფუძნება იგი? საით მიღდივართ? როგორი იქნება ჩვენი ყოფიერების საზრისი? და ა.შ.

თანამედროვე დასავლური ცივილიზაცია თავისი არსით მიწიერი ცხოვრების რაციონალურ მოწესრიგებაზეა დაფუძნებული. მიწიერი სამყარო ბუნებრივ და სოციალურ გარემოს გულისხმობს. თავის მხრივ, ბუნებრივი და სოციალური გარემოს სრულყოფილად მოწესრიგება ეფუძნება აღამიანის მუდმივად მზარდი ეიტალურ-ტიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაქმიყოფილების პრინციპს. რამდენადც ამ მოთხოვნილებათა დაქმიყოფილების ობიექტი არის ნივთი, ამიტომ ნივთთა წარმოება და მისი მოხმარება იღებს უნივერსალურ ხასიათს. ნივთთა წარმოების და მოხმარების ძირითადი საშუალებებია: ერთის მხრივ — წარმოების (ინდუსტრიის) განვითარება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მეორეს მხრივ — სოციალური გარემოს უკიდურესად რაციონალიზაცია. პირველი — მეცნიერებისა და ტექნიკის კულტს წარმოშობს, მერე — საზოგადოებრივი ცხოვრების აბსოლუტურ სოციოლოგიზაციას. ორივენი ერთიანდებიან სციენტისტურ მსოფლმხედველობაში.

დასავლური ცივილიზაციის მსოფლმხედველური საფუძვლი სციენტიზმია, რომლის არსია მენციერებისა და ტექნიკის აბსოლუტური უნივერსალიზაცია. შედეგად ვიღებთ სასაქო-

ნლო ფუტიშიზმს, ნიეთი უნდა იქცეს საქონლად, საქონელი ბაზრის კონიუქტურაზე დაფუძნებული. ბაზარი და ვაჭრობა ყელაფერის აქცეს საცელელ ლირებულებად. ბაზარი აყალიბებს „ბაზრული ტიპის (ე. ფრომი) ადამიანს და ადამიანთა ურთიერთობა იღებს მეშჩანურ, ინგარებაზე დაფუძნებულ ფულად, უსულგულო სასაქონლო ურთიერთობათა ფორმას. ნამდეილი ადამიანური, გონითი (gaist) სულიერი არსობრივი ძალები (სიკეთე, მშენიერება, ჰეშმარიტება და ა.შ.) ითრგუნებიან და ვიტალურ-ფიზიოლოგიური არსობრივი ძალების უპირობო ჩეალიზაციის საშუალებას იძლევიან“. დასავლური ცივილიზაციის ადამიანის ყოფიერების საზრისი, ცხოვრების კოფორტულ მოწყობაში, მატერიალურ მოთხოვნილებათა მაქსიმალურ დაქმაყოფილებაში მდგომარეობს. უფრო მეტიც, სოციალური ინერციის კანონი ადამიანს მიაქანებს იმ უაზრო მდგომარეობამდე, რომ მას უსაზღვროდ იმაზე მეტის „ფლობა“ უნდა, რაც მის მაქსიმალურად გაზრდილ მოთხოვნილებებს დააქმაყოფილებს. „მე უნდა მქონდეს გაცილებით მეტი, კიდრე მჭირდება!“ ასეთია დასავლური ცივილიზაციის ადამიანის ზნეობრივი იმპერატივის არსი. ნიეთთა სისაძაგლემ დაფარა დააბნელა ადამიანის ყოფიერება, ჩამოყალიბდა „ქვალიტეტის ეთიკა“ (ა. კამიუ). აშეარაა, რომ ადამიანი მოწყდა თავის ნამდევილ ყოფიერებას, იგი შეიცვალა ფსევდო ყოფიერებით, ადამიანის არსებობა დაუპირისპირდა მის არსებას, ყოველივე ამან თავის გამოხატულება ტოტალურ გაუცხოებაში ჰპოვა. ეს კი აშეარად მიუთითებს ადამიანის ყოფიერების საზრისის ფილოსოფიური გაზრების საჭიროებას.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების საზოგადოებაში საგანთა სამყარო ადამიანთა უმრავლესობისათვის წარმოადგენს თავიანთი არსობრივი მოწოდების დამახინგებისა და გამოცარიელების აბსოლუტურ საშუალებას. ასეთ ადამიანთა პირადი უშუალობა მოკლებულია ყელანის შინაგან პარმონიას, რადგანაც მათ ცნობიერებაში მიძინებულია ადამიანური გრძნობა და ხშირად მოკლებულია ადამიანად ყოფნის განცდას, რადგანაც ნამდვილი ლირებულებითი ხედვა და მისი დამკვიდრება ზიანის მომტანიც კი შეიძლება გახდეს ფულის საზოგადოება-

ში. ადამიანი, როგორც ადამიანი, ჩაიკარგა უსულო საგანთა გულგრილ სამყაროში, ის ამოიკვეთა საზოგადოებრივი ცნობიერებიდან, როგორც მთავარი მიზანი. საზოგადოებრივი ერთიანი „მე“ დაიშალა ცალკეულ „მე“ ნაწილებად და მათ შორის საშინლად გაიზარდა არსობრივი დაპირისპირება.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარების გარეშე, ზოგადად, პროგრესი შეუძლებელი იყო კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ ადამიანის, მისი ქმნადობის, ანუ კულტურიზაციის პროცესი, როგორც ადამიანის არსის ობიექტური გამეშვევება შეუძლებელია უარყოფითი სოციალური მომენტების გამოვლენის გარეშე. საქმე მხოლოდ იაშია, რომ დადგა ის კრიტიკული ისტორიული პერიოდი, როდესაც განსაკუთრებულ გონის, ანუ სუბიექტურ ფაქტორს ეყისჩება გადამწყვეტი, დომინანტური როლი კაცობრიობის კუთილდღეობის დამკვიდრებაში. დღეს, ჭერ კიდევ ფინანსური კაპიტალის მონოპოლია ბოგინობს, აგონიაშია გადასული და თავის ქაბალაში აქციებს საზოგადოებრივ ცნობიერებას, მსოფლიოს იღბლის განმსაზღვრელ პოლიტიკოსებთან ერთად. სინამდევილეში კი ეს უსაშინლეს უბედურებად მოიაზრება ჩვენს რეალობაში.

XXI საუკუნე ადამიანის დამკვიდრების საუკუნეს წარმოადგენს თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანი, როგორც ყელა სოციალურ ლირებულებათა შორის უზენაესი ლირებულება, თავის ნამდვილ ისტორიულ და ლოგიკურ დამკვიდრებას მოელის, რაც, თავისთავად, ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს.

სამწუხაროა ის გარემოება, რომ კაპიტალიზაციის ობიექტური პროცესის პოგებს და, შესაბამისად, მისი უკიდურესად ირაციონალური სოციალური შედეგების დამანგრეველ, აშკარად გამოკვეთილ ტენდენციებს ხშირ შემთხვევაში თავისი უსუსურობისა და ცალმხრივობის გამო ვერ არეგულირებს ღლეს მსოფლიოში გაბატონებული სოციალური პოლიტიკა.

განსაკუთრებით მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან შოულებული დღემდე ადამიანი ბრძად დაიქვემდებარია და დამორჩილა მის მიერ შექმნილმა სოციალურმა ინსტიტუტებმა. ადამიანი-მიზანი ვერ აღწევს თავს ადამიანი-საშუალების მდგომა-

რეობას, რაც მეტწილად ნეგატიურად აისახება ჩვენს სოციალურ ფასეულობებზე და ეკოსისტემაზე.

მსოფლიოში გაბატონებულმა უსუსურმა სოციალურმა პოლიტიკამ განაპირობა ის გარემოება, რომ თანამედროვე საზოგადოების ძირითადი ნაწილი მომზარებელია, ხოლო, ხშირ შემთხვევაში, მსოფლიოში გაბატონებული პოლიტიკა დღემდე, რატომძალაც შენილბულად, საპირისპირო სოციალური ვექტორის წარმართვისა და ნამდვილი სოციალური ფასეულობების დამკვიდრების სანაცვლოდ ხელს უწყობს ადამიანი-მომზარებელის დამკვიდრებას, აგრესის დაფუძნებას. ამაზე მიუთითებს დღევანდელ რეალობაში კულტივირებადი ყალბი ფასეულობები: უსარგებლო ნივთების, უსაზღვრო მომზარებისა და ადამიანურ არსებობის მოკლებული ფილმების რეკლამირება, დედა-ბუნების ულმობლად გამინძურება, კონკრეტულ „მე“-სა და ეკოსისტემას შორის ჰარმონის დარღვევა, შედეგად ნამდვილი ადამიანის სანაცვლოდ ადამიანი-ზომბის დამკვიდრება ხდება პრიორიტეტული.

თუ ასლო მომავალში მსოფლიოში წამყანი ქვეჭების პოლიტიკასებმა არ ითამაშეს გადამწყვეტი როლი, რასაც ჰუმანური ადამიანის, ანუ ადამიანი-მიზნის დასამკვიდრებლად მიმართული პოლიტიკა ჰქვია, კაპიტალიზაციის ულმობელ პრიცესს ირაციონალური ეკონომიკური გლობალიზაციის, სიერთაშორისო ტერორიზმისა და აგრესის გაფართოება მოყენდა, ხოლო უკანასკნელს კი ლოკალური და გლობალური ეკოკარსტონფები.

მიუხედავად მსოფლიოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური სიდუბებისა, ნამდვილი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, ყველანაირი სოციალური და მატერიალური რესურსები მოგვეპოვება კაცობრიობის ნათელი მომავლის დამკვიდრებისათვის.

ჩემს მეცნიერებული გაფართოების მეცნიერული გამბედაობა, პატრიოტული სულისკვეთება, მეცნიერის კანტისეული მორალური იმპერატივი ძირითად დამახასიათებელ თვისებებს წარმოადგენდა.

შეუფასებელია ვაჟა გორიშის მეცნიერული ღვაწლი ადა-

გიანის პრობლემის კვლევასთან მიმართებაში, მისმა სიკვდილმა
კი სამუდამოდ შეაფერხა ერთ-ერთი მებრძოლი სულისკვეთების
ბის მქონე პიროვნება-მეცნიერის ცდა — სამართლიანი, აღამი-
ანთმოსიყვარულე საზოგადოების დამკეიდრებისა, მაგრამ ამით
მისი მეცნიერული ძლევამოსილება არ გარდაცვლილა, რადგა-
ნაც ვაეს ადამიანური გენის ნაამაგარით გაჩირალდნებული
ლამპარი ბევრ, აღამიანის პრობლემის კვლევით დაინტერესე-
ბულ ახალგაზრდას გაუნათებს ჰეშმარიტების გზას და ახალი
იმედის მუხტს შესძენს მათ მეცნიერულ ასპარეზს, ამ საჩბიე-
ლის გარდუვალობას...

ვაშა, გორგოზი(ა) პი არა, ავგაროზი იყო!..

კანონზომიერების ნიშან-ბეჭედი აზის თითქოს ერთ ფენომენს: საჩინონი, ჩჩეული, ცნობილი, ჩვეულებრისამებრ, მონანიებას, აღსარებას, მოგონებასა თუ სინაწლს ისეთ ასაკში იწყებენ და ამზეურებენ ხოლმე, როცა მათი შინაარსი არაადეკვატურია ან, სამიართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ, უფრო ვირტუალურია. თანამდევია კაცთათვის ეს სისუსტე და სენი. ამის გამოცაა, აღბათ, რომ ჩემი (მრავალის) მეგობარი ვალერი კერაცხელია მარიალისობაში გადაბრინებულ ჩვენს მასწავლებლებსა და საერთო მეგობრებზე მოგონებების წერას დაუხანებლად რომ გვაიძულებს, აქაოდა, ვიდრე ურთიერთობის შარმი მძაფრია და თბილი, ვიდრე დროის ჰინტლი და ყნული ან დასდებია მოგონებას, იქმდე დაასახლეთ ნაფიქტალი ქაღალდზე, თორემ, მერე, „ეს, ის (!) აღარ იქნებაო“. მართალია, ღმერთმანი, ვალერი.

... სამარადემოდ გამოსამშეცდობლად ხელის დაწევაც ძლიერ მომსწრო გაეს გორიზიამ, რომ ვალერის მასზე წიგნის პროექტი, მაკეტი, სავარაუდო იეტორითა სია, გულსა და გონში დავანებული ჰქონდა, ფორიაქობდა და გვაფორიაქებდა. ამ მცირე შესავალს გამატრითხილებელი მონოლოგის ფორმა უნებლივდ, გაუკრიბიერებლად მიეცა, რადგან ჩვენს ყაფის, ყაფიერებასა და სულიერებას ისეთი პირი უჩანს, რომ, როცა უფალი, მისივ ნებით, ვალერის მიმიარებს, იქნებ მისებრი აღირც კი დარჩეს ჩვენი თვალსაწიერით მოსახილავ სივრცეში და, მეც რომ მივებარები, ორთავეს პიროვნების ირიბ ინდიკატორად მინც დარჩება ეს წინათქმა,



რომლის მიზანი და ადრესატი, ახლა, ვაჟა გორიოზია.

ვაჟა გახლდათ პიროვნება. პიროვნების ცნება იქამდე ზეალ-მატებულია, რომ მისთვის სხვა რამ ზედასაჩითავის წამდლვარება ულოგიობდა. „პიროვნება“ და „სიღიაღე“ სინონიმებია, ისინი იდენტურნი არიან. ვაჟას აპრიორი განსაზღვრული ჰქონდა ღმე-რთან იდენტობის წვდომის მნიშვნელობა, საზრისი და ლირე-ბულება და, ამიტომ იყო ის ფილოსოფოსი. ფილოსოფოსობა იყო მისთვის დაუსრულებელი მზაობისა და მოქმედების პრო-ცედურა სასრულო რეალობაში ანუ, მიწიერ ცხოვრებაში, მა-გრამ... — მხოლოდ „აქაური“ ეტაპი სამყაროს ოჩერთოვნები-სა, მართალ-მაღიდებლობისა, კეშმარიტებისა.

ჯერ კიდევ 35 წლის წინათ, როცა ცნობიერად ვიწამე ვაჟა-სთან მეგობრობა, ერთი რამ პარადოქსული და, გნებავთ, არა-ნორმალური აზრი ამედევნა: რაოდენ დიდი შეუთავსებლობა, წინააღმდეგობა, ანტინომია და, სულაც, გაუგებრიობა იყო მის პიროვნებასა და გვარის ფუძეს — გორიშს — შორის. მთელი მისი პიროვნების გენეზისი და გენერაცია არსობრივად საწინა-აღმდეგო პოლუსზე მიმდინარეობდა. ვაჟა, გორიში(ა) კი არა, ავგაროზი იყო! ის სხვათათვის, მოყვასისთვის გარეგადამწვდომ, ავგაროზივით დამცავ ენერგიას ისე ძალუმად და უშურეველად გასცემდა, რომ მხოლოდ აქლა პოულობდა საკუთარი ენერგი-ის ჩაეციროს.

თავს ვერ დავდებ, სხვას არ უფიქრია-თქო, მაგრამ როცა საკუ-თარ თავს ვეკითხები, — თუ რატომ იყო ვაჟა ასეთი მთლიანი, სრულყოფილი, მთელი, მაშინ მიწიერ საშინელებათა კრებულის ასოციაციები მიწნდება ხოლმე. ის ხომ ერთადერთი იყო, ვინც ტრაგიკული უკულმართობის შედეგად მოცელილი ორივე ფეხი თავად დაფლა მიწაში, მაგრამ მის სიმრთელეს მისხალიც არ მოჰ-კლებია, რადგან წამითაც არ მოსცილებია სიყვარულის ბურჯი — ინგა, — აյი ისინი იმ საშინელების მერჩე დაქორწინდნენ!. მათს ურთიერთობაში უცხო იყო პირველი და მეორე ნახევრის ცნებე-ბი, არც ერთი იყო პირველი ნახევარი და არც მეორე — მეორე ნახევარი. ეს გახლდათ ორი მთელის უფლის ჩემტორჩში განხო-რციელებული სინთეზი, სამი ვაჟაცის მოვლინების შედეგით...

... 1974 წლის ზამთარში ჩრდილო კავკასიაში ჩავტრინდით,

ჩვენს დიდ მასწავლებელს, მეოხსა და ხელმძღვანელს უნორ ჭაბუტიშვილს და დავთხოვთ თუ მაგრა და მე ერთიან კულტურული უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრაზე. ვაჟამ ერთ ჩვენს კოლეგას ფული უსესხა, ის გადაგვექარგა და ცოლოურს შეატარა თავი ჩრდილოეთში. მოულოდნელად დავადექით თავს, მაგრამ მინვოდის აეროპორტამდე ძლიერ გამოვალწიეთ უკან, მისი ცოლოურის ადგილსამყაფელიდან, ცხადია, ჯიბეცარიელებმა. თბილის მოსაბრუნებელი ბილეთები კი გვქონდა, მაგრამ ამინდმა დაუნდობლად გვიგანა... და აეროპორტში ბოთლების შემგროვებლის „პროფესიას“ უმაღლესი დაუცულე, სამი დღე და ლამე ჩამოსაჭდომი ადგილიც ველარსად ეკიპოვთ. პროფესიებმა ვაჟას მოკვეთილი ადგილები გადაუყვლითა თურმე. მე რომ მისი შარვლის ტოტებზე სისხლის შეუმშრალი ლაქები არ შემეჩნია, სიტყვის ამომღერლავიც არ იყო თვითონ...

მარტვილის ტაძრისა და ქუთაისის საიდუმლოს ნაზიარებმა ყველაზე უკეთ უწყოდა მარტვილობისა და თანასიყარულის, გადაგებისა და თანატანჯვის ფასი.

როცა ვაჟა გვერდზე მეგულებოდა, როგორ ვიფიქრებდი, რომ მას უანალოგო თვალისწინი ოდესშე ამოუღამდებოდა, მაგრამ ერთს კი ყაველთვის შთამაგონებდა: — სიცოცხლე არის სიკვდილის ღირსეულად აღსრულების ჩეპეტიცია...

მეც, ისევე როგორც ჩემნაირები, ვალერი კვარაცხელიასნაირი პიროვნებების წყალობით, ერთგვარ მემატიანებად კი ვიჟუალური, მაგრამ ვისთვის იწერება მატიანე? ცხადია, მარტივად ვუპასუხებთ, რომ მომავლისთვის, შთამომავლობისათვის, მაგრამ თუკი იმ მომავალსა და შთამომავლობაში ვაჟა გოროზიას მსგავსი პიროვნებები აღარ იქნებიან (მომგონებელ-აღრესატიანად), სჭობს, საერთოდ არ დაიწეროს მატიანე. თავს ისე როგორ გავიტიალებთ, მატიანე რომ არ დაგვჭირდეს. არ უნდა იყოს ასე და, ღვთის შეწევნით, არც აღარისოდეს იქნება. მე კი, აწი, ჩემი ბედისა და ბედისწერის გადამკიდე, მსგავს მემატიანეობაზე უარს ვამბობ და თუ რატომ, როცა მათ, მეორე თარიღის ბორიქებულ მონატრების სუბიექტებს მიეესახლები, მათსავე, ანუ ჩემსავე, ჩვენსავე, საერთო საუფლოში ვაუწყებ.

ოპტიმიზმის მთავრები პაცის ნებელობა

ვაჟა გორგაზიას ყოფნა ამ სამყაროში, მისი ხედრი, მისი ყოველდღიური ცხოვრება, საქმიანობა, საქციელი, ადამიანებთან მიმართება, პროფესიისადმი დამოკიდებულება განპირობებული იყო სიცოცხლის უსაზღვრო სიყარულით, არადა სრულიად ახალგაზრდა კაცი თავისი შეგნებული ცხოვრების გარიერავზე იღებს ისეთ ფიზიკურ ტრაქტს, რომლის შემდეგაც ალბათ მისი ხედრის გამზიარებელი აბსოლუტური უმრავლესობა აქტიურ ცხოვრებაზე ხელს აიღებდა და დარჩენილ ცხოვრებას პასიურად დაელოდებოდა, „გამჩენზე“ აუგის თქმით და მისი წილი ხედრის დაგმობა-წუწუნით დაკავდებოდა. კაცმა რომ თქვას, შეიძლება არცთუ უსაფუძღლოდ.

ბატონშა ვაჟამ არჩევანი მოქმედების, აქტიური ცხოვრების, სიყარულის და სიცოცხლის სასარგებლოდ გააკეთა და ამით ჩვენ ყველას, ვინც მას ვიცნობდით და მასთან ურთიერთობა გვქონდა, მისით ალფროთოვანების შანსი დაგვიტოვა. მისი ოპტიმიზმით გაჭერებული სიცოცხლის სიყარული ქალბატონი ინგას (მისი მეუღლის — ამ სიტყვის ყველაზე ღრმა მნიშვნელობით) არაჩვეულებრივი საქციელით, სიყარულით და თავდადებით იყო ნასაზრდოები, თუმცა ბატონი ვაჟა, როგორც ტრადიციული ქართველი, თავმოყვარე კაცი, ქალბატონი ინგას საქციელს მეგობრებთანაც კი ღიად არ განსგიდა, მაგრამ დაკვირვებული ადამიანი მიხედებოდა, როგორ უყარდა და როგორი მაღლიერი იყო მეუღლისადმი, გადაჭირების გარეშე შეიძლება ითქვას ბატონი ვაჟას ჰუმანიზმი ქალბატონი ინგას სი-

ყარაულით იყო განპირობებული და გარშემომყოფებთან და-
მოკიდებულებაც ამ სიყვარულის განვრცობა გახლდათ.

ვაეს გოროზია ყოველმხრივ გამორჩეული ადამიანი იყო.
საოცარი იყო მისი ნიჭი და შრომისმოყვარეობა. მასსოეს რო-
გორი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა პირველმა ლექციამ მთელ
ჩემს ჯგუფზე. მეორე კურსზე ვიყვით, როცა ლექციაზე ერთი
ფიზიკურად სუსტი, კაფანდარა ადამიანი შემოვიდა, რამდე-
ნიმე კითხვა დაგვისვა, ჩვენი სქემატური პასუხები, რომ მოის-
მინა, გაიღიმა და ორატორული ხელოვნების ყველა პრინცი-
პის დაცვით, ოსტატურად გაგვარევია ფილოსოფიის არსა
და მის დანიშნულებაში ადამიანის პრაქტიკული ცხოვრები-
სათვის. ეს მაშინ ისე არაორდინალურად მოგვეჩვენა, ისე ცხა-
დად და ნათლად იყო არგუმენტირებული, რომ სტუდენტთა
ის ნაწილი, რომლებიც რაღაც კითხვებს მოეცანა ფილოსო-
ფიის სპეციალობაზე, და ამ კითხვებზე მათთან ჯერ არაესი
ესაუბრა, იმ წუთიდან ბატონი ვაეს მოწაფეებად ვიქეცით.
შემდეგ, მისი უშუალობისა და დიდსულოვნების წყალობით,
მოწაფეები მეგობრებად გაგვიხადა. სტუდენტობის დროინდელ
პერიოდთან ჩემს მეხსიერებაში ღრმად აღიბეჭდა მისი ერთი
არაჩვეულებრივი საქციელი, ჩვენს ერთ ჯგუფელსა და მეგო-
ბარს მამა გარდაცვალა. მასსოეს, როგორ უთანაგრძნო ბა-
ტონმა ვაეგა და საეუთარი ხელფასიდან დიდი ტაქტით, უშუ-
რესელად აძლევდა წლების განვლობაში ამ ახალგაზრდა კაცს
„ხელფასს,“ თანაც ისე, რომ მისი ღირსება არ შელახულიყო.
მაშინაც და მერეც, სიცოცხლის ბოლომდე, ხშირად ნახვდით
ვაეს გოროზიას უზარმაზარი ჩანთით ხელში, რომლითაც სტუ-
დენტებისათვის საეუთარი ბიბლიოთეკიდან შერჩეული წიგ-
ნები მოჰქონდა. კოლეგების საყვედურებს „შენ რატომ წვალობ,
წავიდნენ და ბიბლიოთეკაში მოძებნონ,“ — იგი მშეიდად
პასუხობდა, — „ბავშვმა წიგნის წაკითხვა მოინდომა და რო-
გორ არ მოვუტანო!“

მას სიახლისადმი დაუკებელი სწრაფვა პქონდა, მასსოეს
როგორ უხაროდა ყოველი ახალი წიგნის გამოსვლა, როცა ამა
თუ იმ ახალი წიგნის გამოცემას ვამცნობდით და თან ფასის
სიცირეზე წავიწუნებდით, უახლოეს დღეებში, ბატონი ვა-

ეს დასახელებულ ლიტერატურას უკვე ნაყიდა და დამუშავებულს მოგვიტანდა და გვითხვედა თუ რამდენი დრო დაგვჭრა არდებოდა მის წასაკითხად, რათა, შემდეგ, ერთად განგვეხილა.

ცნობილია მისი უშურველობა და ფულთან დამოკიდებულება. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველა სუფრა (მას ძლიერ უყვარდა ქართული სუფრა, მასსოეს როგორ წყდებოდა გული, როცა ერთმა მისთვის საყვარელმა სტუდენტმა ქართულ სუფრაზე არაორდინალური მოსაზრებები გამოიტქა) ბატონი ვაჟას მიერ იყო გასტუმრებული. როცა ახალგაზრდები ასეთ შემთხვევებში უხერხულობას ვგრძნობდით, გვამშეიდებდა, — წესია ასეთი, — ფული უფროსმა უნდა გადაიხადოსო, ხოლო როცა მაგიდასთან მასზე უფროსებიც იყვნენ და თვითონ მაინც იგივეს აკეთებდა, ამას იმით ამართლებდა, რომ უფროსებს მეტი საზრუნავი აქვთ — შეიღი შეიღები ჰყავთ.

ბატონი ვაჟა სამოქალაქო აქტიურობითაც გამოირჩეოდა. მე არ მახსენდება არცერთი მეტად თუ ნაკლებად საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოელენა, რომელ შიც მას მონაწილეობა არ მიეღოს, ახლა, გადაჭირდების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მოვლენების მისეული ანალიზი ყოველთვის დამაჯერებელი, ხოლო პროგნოზი კი ყოველთვის გამართლებულია. მას ძლიერ უყვარდა საქართველო, სულ ნოსტალგია ჰქონდა სოფლის, უყვარდა ადამიანი და ეტრუოდა სიცოცხლეს. იცხოვრა ისე, როგორც ბევრი ერ შეძლებს, ჩვენ კი, მეგობრებს, საკუთარი ცხოვრება მაგალითად დაგვიტოვა, საბუთად, რომ ადამიანი ნებელობაა, რომ ის თავისუფალია და, რომ არ უნდა გატყდეს, არ შეეგულს უსამართლობას, არ უნდა გადაიწუროს იმედი და იყოს მარად ოპტიმისტი.

მოგონებაზე გარდასულ ღრმობა

საუბარი ძეირთასი ადამიანის შესახებ წარსულ დროში ძნელია, მაგრამ ესეც ჩვენი ხვედრია. ასე მოდის ადამიანის გაჩენიდან. ყველანი იქ წამსვლელები ვართ, თუმცა, უდროოდ სიკვდილი კიდევ უფრო ამძიმებს წუთისოფელთან გაყრას. ამიტომ, ისლა დაგვრჩენია, პატივი მივაგოთ ღირსეულ პიროვნებებს და ამით შევიმსუბუქოთ ტკივილი სამარადეამო განშორებისა. ეს ჩვენ გვჭირდება, მომავალ თაობებს სჭირდებათ. მათ უნდა იცოდნენ ამბავი ღირსეულ მამულიშვილთა.

ფილოსოფოსობა არ ახალია, ძველია, მაგრამ, არც იოლია, — ძნელია იმიტომ, რომ სიბრძნესთან წილნაყარია და სიღრმისეულ აზროვნებას საჭიროებს. ფილოსოფოსის გზა უმეტესად ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული და ძნელად სავალია. იარო მასზე ღირსეულიად, რთულია.

პროფესორი ვაჟა გოროზია იმ ქართველ ფილოსოფოსთა თაობას ეკუთვნოდა, რომელსაც „ეპიგონთა“ მესამე თაობა შეიძლება ვუწოდოთ. ღირსეულ მასწავლებელთა ღირსეულმა მოწაფემ ეს გზა სახელოვნად გაივლო, რაც მას უფლებას აძლევდა ეთქვა: „მე ვარ ფილოსოფოსი“.

ვაჟას დახასიათება არ არის იოლი, თუნდაც იმიტომ, რომ ის მრავალმხრივი მკვლევარი იყო, რასაც კიდევ უფრო მეტ ღირსებას მატებდა მაღალი სულიერება, შინაგანი კეთილშობილება და საკუთარი თავისადმი განსაკუთრებული მომთხოვნელობა. მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ფილოსოფოსი და სოციოლოგი, ერთად იყო თავმოყრილი ვაჟას პიროვნებაში. მათემა-

ტიკოსისა და ფიზიკოსისთვის დამახასიათებელი ზუსტი აზროვნება, ფილოსოფოსისთვის აუცილებელი თეორიული მსჯელობების ლოგიკური დასაბუთებები და სოციოლოგისთვის ნიშანდობლივი ემპირიულ-პრაქტიკული საქმიანობა განსაკუთრებულ ელფერს აძლევდა მის მეცნიერულ მოღვაწეობას. ვაჟამ თავის საკვალიფიკაციო ნაშრომში ისეთ ღროს წარმოაჩინა შემცნებისა და პიროვნების გაუცხოების პრობლემები, როდესაც ყოველ აზრს მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური კუთხით პარტიული ბეჭედი ჭინდა დამტული. სწორედ აქ გამოიჩინა მან მკვლევარისათვის შესაშუალი წინდახედულება, რამაც, როგორც მეცნიერს, საშუალება მისცა საკუთარი სათქმელიც ეთქვა და, ამასთანავე, თეორიულად დაესაბუთებინა ადამიანის როგორც სოციუმის წევრის უპირველესი დანიშნულება, რომელსაც სჭირდება აზროვნების თავისუფლება, რათა თვითრეალიზაციას ახდენდეს საზოგადოების სასაჩვებლოდ და საკუთარი „მე“-ს დასამკვიდრებლად.

ვაჟა არ იყო მხოლოდ თეორეტიკოსი. გერ კიდევ სტუდენტობიდან და, შემდეგ, სოციოლოგიის კათედრაზე მუშაობისას, პროფესორ ვენორ ქვახახიას ხელმძღვანელობით, თითქმის ყველა ემპირიულ გამოკვლევაში მონაწილეობდა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების მეცნიერულ ანალიზს საჭიროებდა. წერილობითი ანგარიშის წარდგენისას კი მის ზუსტ აზროვნებას, მსჯელობის ფილოსოფიურ სილრიმეს, ანალიტიკოსის დაკვირვებულ, კრიტიკულ თვალს ხშირად ისეთ მიგნებებამდე მიჰყავდა, რომლებიც ღრმა მეცნიერულ განზოგადებათა საფუძველს წარმოადგენდა.

ვაჟა იყო უზადო პედაგოგი. მის პიროვნებაში პარმონიულად შერჩემულიყო მეცნიერ-მკვლევარისა და ადამიანური ზეკვეთოლობის მადლი. მას არასდროს წაუკითხავს ლექციია ლექციისათვის. ის სრული გონიერი და გრძელობით იხარჯებოდა ლექციაზე. მისთვის ყოველი სტუდენტი პიროვნებად აღიმებოდა და ამიტომაც მათთან ურთიერთობებიც თითქმის ინდივიდუალური იყო. მე მინახავს ვაჟა ლექციიაზე შესული, რომელსაც არ წაუკითხავს საპროგრამო მასალა მარტივი მიზეზით — დღეს განწყობა არ მემორიილება და არც ლექციია

გამომივაოთ, ამიტომ უმჯობესია თავისუფალ თემებზე კისაბუბროთო. ეს იშვიათად ხდებოდა, თუმცა ამის ახსნაც შეიძლებოდა. უპირველესად ის, რომ ვაეთ სულით ხორცამდე იყო შეუარებული თავის საქმეზე. მას ხშირად უთქვამს მეგობრებისათვის — მე, როგორც ლექტორი სტუდენტისათვის სარეე ვარ და შიგ რომ ჩაიხედოს, მისთვის მისაბაძი პიროვნება უნდა დაინახოს. მე ხომ მასწავლებელი ვარ. წიგნის წაყითხვა მათ დამოუკიდებლადაც შეუძლიათ, მთავარია ლექტორში ადამიანი და მოაზროვნე იპოვნონ. მეორე ის, რომ სტუდენტებს აძლევდა საკუთარი პოზიციებისა და ინდივიდუალური ხელვის გამოთქმის საშუალებასაც. ამით აკეთებები კუველ მათგანს და ცდილობდა შეუმჩნეველი არ დარჩენოდა ნიჭი და უნარი.

ვაეთ სამი დიდი საფიცარი გააჩნდა — ოჯახი, სამშობლო და სიყვარული. სიყვარულს ოჯახისა და სამშობლოსადმი ერთგულების საწინდრად მიიჩნევდა. პატივს არ სცემდა „მსოფლიო მოქალაქეს“ და ასეთს გზააბნეულ შეიღოს ეძახდა. ოჯახი ქვეყნისა და სახელმწიფოს საძირკვლად მიიჩნდა. მისთვის ორივე — სამშობლოც და ოჯახიც სიწმიდედ განიცდებოდა, რომელთა ხელყოფაც ვაგლახად არ შეიძლებოდა. თვითონ, მრავალრიცხოვან მეგრულ ოჯახში გაზრდილს, კარგად ესმოდა ოჯახის დანიშნულება სახელმწიფოს სიძლიერის საქმეში. ქართულ ტრადიციებს ეთაყვანებოდა. უყავარდა ქართული სუფრა, სადლეგრძელო და მიიჩნევდა, რომ კარგი იქნებოდა სუფრასთან საქეყნო საკითხთა განხილვის ტრადიცია ალდგენილიყო. თვლიდა რომ ტრაპეზის დროს ქართველი კაცი გახსნილია. ამ დროს მასში დადგებითი გრძნობები სჭარბობს, სიყვარულით არის აღსილი და გადაწყვეტილებაც ქვეყნისათვის სასიკეთოდ იქნება დამუხტულიო. ლხინი უყავარდა-თქმა, ვახსნენ, ეს ნიშნავდა, რომ ვაეთ სამეცნიერო — მუდმივი თანამეინახენი, მარტო კი არ ჰურობდნენ, არამედ უპირველესად მსჯელობდნენ და ქვეყნისათვის ტაძართან მისასელულ გზას ეძებდნენ.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ჩვენს თაობას სერიოზული კვალი დაატყო. თბილისის ომში, აფხაზეთისა თუ სამაჩაბლოში, სამეცნიეროსა თუ სვანეთის ულელტეხილებზე დატრიალებულმა ტრა-

გედიებმა ბევრი ლირსეული ქართველი ვაჟაპის სიცოცხლე შეიწირა. სამწუხაროდ, „ბრუტუსები“ ფელა დროში არსებობოდნენ და ამჟამადაც ზურგიდან სატევარჩარტყმული საქართველო (რაც დღესაც გრძელდება) ისე შემოიჭრა ჩვენს სულებში, რომ ბევრმა ვერც კი გააცნობიერა ერისა და ქვეყნის ეს დღიდი ტკივილი. როგორც ხშირად ხდება, სამამულო მეცნიერებაში არც ისტორიკოსებსა და მით უფრო ფილოსოფოსებს, სოციოლოგებს (რომ არაფერი ვთქვათ, პოლიტიკოსებზე) დღემდე არ შეუფასებიათ ამ დღიდი ეროვნული მოძრაობის დადებითი და უარყოფითი პარამეტრები. ვაჟა გოროზიამ დაიწყო ერის ისტორიის ამ უდიდესი მნიშვნელობის მოვლენის ანალიზის კეთება. თეორიულ-ფილოსოფიური თუ ემპირიულ-სოციოლოგიური, ისტორიული თუ კულტუროლოგიური, ფსიქოლოგიური თუ პოლიტიკური ხასიათის უამრავი ჩანაწერი დარჩა მის სამუშაო მაგიდაზე დაუსრულებელი. ამბობდა, ამ საკითხებზე მთელი სამამულო მეცნიერება უნდა მუშაობდეს, რადგანაც მრავალწახნაგოვანი მოვლენაა და მომავალი თაობები არ გვაპატივებენ ისტორიის დამახინჯებასო. სამწუხაროდ, არ დასცალდა. საქართველო მისი დიდი ტკივილი იყო და ეს ტკივილი იმქვეყნად წაილო. მისთვის უცხო იყო კუთხეური სეპარატიზმი და სამშობლოსადმი ზედაპირული დამოკიდებულება. ამიტომ, არც არავის პატიობდა ამ საკითხში გულგრილობას. მე ბევრჯერ მინახავს თვალებიდან ნაპერჩულისმფრჩვეველი და ჭოხმოქნეული ვაჟა უნივერსიტეტის ბაღში მრავალათასიან მიტინგებზე როგორ ეკამათებოდა ცრუპატრიოტებს. ამ დროს ვაჟა ნამდვილი გოროზი ხდებოდა და სრულად ამართლებდა თავის გვარს.

ვაჟას დიდი სამეგობრო ყავდა. განსაკუთრებით, უნივერსიტეტიდან — ვალერი კვარაცხელია, გერმანე ფაცაცია, ბონდონ ბეგაშვილი, სოსო სურგულაძე, დევის ბეჭვაია, ნუგზარ კვაჭაძე და მრავალი სხვა. ნუგზარ კვაჭაძე სხვანაირად უყვარდა. ხშირად ამბობდა — ეს კაცი იმის ცოცხალი ნიმუშია, თუ რა მშევნეობად შეიძლება იყოს შერჩყმული ერთ პიროვნებაში გარეგნობა, ნიჭიერება, სათნოება და ჭეშმარიტი ინტელიგენტურობა. აი, ასეთი უნდა იყოს ქართველი კაცი. ეს იმიტომ ვახსე-

ნე (მიკურძოებაში არავინ ჩამომართვას), რომ ნუგზარის უდაროდ სიკედილმა ვაჟას სიცოცხლის ჩაღაც ნაწილიც წაიღო.

საუბარში ენაკეტაში და ცოცხალი იუმორით სავსე ვაჟა არასოდეს გვინახავს გაბოროტებული. არავის აგრძნობინებდა არც თავის ფიზიკურ ტკივილს და არც ეკონომიკურ თუ ფინანსურ ხელმოკლეობას. მუდმივად სხვისი შემწე და დამხმარებელი არასოდეს შეგაწუხებდა. ამბობდა, კაცი თავის გასაჭირზე არ უნდა ალაპარაკო, ეს მის მდგომარეობას კიდევ უფრო შეკირვებულს ხდის. გუმანით უნდა მიუხვდე და ისე დაეხმარო, რომ თავი დამტკირებულად არ იგრძნოსო. ფული გიბეში ყოველთვის ჰქონდა, დღის ბოლოს კი, ხურდას მოიძიებდა ხოლმე, სახლში წასასლველად გზის ფული თუ დარჩენოდა. ის ყოველთვის გასცემდა, მაგრამ უკან დაბრუნებას არ მოგთხოვდა. თუ მიკემდი და გამოგარითმევდა, იმავე დღეს ისევ შენთან დახარჯავდა. ეს დიდი ბუნების მქონე ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა. მახსოვს, ერთ წელიწადს უნიკურსიტეტიდან დელეგაციით ვიჭვით მაშინდელ გერმანიის ფედერაციულ ჩესპუბლიკაში. გვმასპინძლობდა ქართველთა დიდი მეგობარი პროფესორი ბატონი ადოლფ ჰიმლერი. მან დიდი ყურადღება გამოიჩინა განსაკუთრებით ვაჟას მიმართ და ჩეკიც ყველას, როგორც შეჭირვებულ მეგობრებს მცირეოდენი თანხა შემოგაწია. მის დახარჯვას აბა ჩა უნდოდა. სიცოცხლის ბოლომდე მემახსოვრება ერთი ეპიზოდი. სუპერმარკეტში, სადაც ფაქტიურად თვალს წყალს ვალევინებდით, ერთი პატარა ფინჯანი მომეწონა. ვატრიიალე ხელში და უკანვა დაედე, ენახე ჩა, რომ ფული არ მყოფნიდა. ვაჟა ჩემს კურდით იდგა, მაგრამ არათერი უთქვამს. საღამოს, სასტუმროში, ჩემს ნომერში, მაგიდაზე ის ფინჯანი დამხედა წარწერით: „ჩენს კარგ რუსიკოს გერმანიის მოსაგონებლად“. მივხედი, ეს ვაჟას ხელწერა იყო. ამის ვაკეთება ალბათ ცოტას შეუძლია. ესეც მისი დიდი ბუნების ერთი დეტალია.

ვაჟას დიდი და ლამაზი ოჯახი ჰქონდა. მიუხედავად ოჯახის წევრთა სიმრავლისა, მის სახლში მუდმივად იყნენ „გარეშენიც“, მის ვაკებთან ერთად ცხოვრობდნენ და იზრდებოდნენ მოკეთეთა თუ მეგობართა შეილები, თუმცა არასოდეს ირლვე-

ოდა უფროსობის ტრადიცია და ყველა დიდ მოწინებას გამოხატავდა ოჯახის თავიაცისაღმი. ამაში უდიდესი დამსახურებისა მის მეუღლეს, მშენიერ ქალბატონ ინგას ეკუთვნოდა. (ინგასა და ვაჟას სიჭარულის ისტორია კიდევ ცალკე დასაწერია. დიახ, დასაწერი, რადგანაც მშენიერია, ამაღლებულია და ძალზე იშევიათია. ამიტომაც სამაგალითო და მისაბაძია).

ვაჟა გორიზიას, ჩვენი „კოლხი ფილოსოფოსის“ (ის ხშირად ეძახდა ასე თავის თავს) შესახებ ყოველივე ზემოთქმული მოკლედ შეიძლებოდა ასე დაწერილიყო — ვაჟა გორიზია კარგი შეილი, შესანიშნავი მეუღლე, არაჩვეულებრივი მამა, კარგი მეცნიერი და უდიდესი პატრიოტი ქართველი კაცი. ეს მისი პიროვნების სავიზიტო ბარათია, რომელიც აღარ სჭირდება პირადად მას, მაგრამ აუცილებელია მომავლისათვის. ამაშია სწორედ დიდი ადამიანის უკვდავება. ჩემი სიტყვა, ვითარება მოგონება გარდასულ დღეთა, ზაურ ბოლქვაძის პატარა ლექსით უნდა დავამთავრო:

„გადაუარა ბალახმა
საფლავს — სიცოცხლის წერტილს...
ჩვენთვის შენ ჩოგორ არა ხარ,
ჩვენ აღარა ვართ შენთვის!“

საბეჭისწერო ნახტომი

სტუდენტობის წლებშე უკეთესი ადამიანმა აბა ჩა უნდა გაიხსნოს? ამ დროს პირველად გრძნობ დამოუკიდებელი ცხოვრების სიხარულსაც და სიმძიმესაც. ეს ის შემთხვევაა, როცა სიმწარეების თავისი ხიბლი აქვს და ბევრად სჭობია უზრუნველი ცხოვრების სიამოვნებას. ამ წლებში ყმაწვილს ამშევნებს სრულიად თავისებური იდეალიზმი, რომელიც არც მანამდე ჰქონია და არც შემდეგ მეორდება.

ეს იდეალიზმი გეინათებდა შუბლს, როცა 1967 წლის პირველ სემებების ერთმანეთისათვის სრულიად უცნობი პირველების ურთები ერთმანეთს ვათვალიერებდით. უნივერსიტეტი ჩვენთვის არ იყო არც თეთრი შენობა, არც მისი დერეფნები და ოთაქები, არც სახელმოხვევლით კეთილშობილი მასწავლებლები და არც ნათელი ქანდაკებები. ის რაღაც მეტი იყო და ჰგავდა რაღაც ზოგად ცნებას; ვთქვათ „სინათლეს“, „გონებას“, „სიდიადეს“, „სიკეთეს“. დიდი ცნობისმოყვარეობით, თან რაღაცნაირი სიფრთხილით ვეცნობოდით ერთმანეთს. ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო, ზოგიერთი სტუდენტი პირველ დღებში არ ჩანდა. მათი მხოლოდ სახელი და გვარი ვიცოდით ეუნალიდან.

რამდენიმე დღის მერე აუდიტორიაში ახალი სტუდენტი შევნიშნე — სანდომიანი გარეგნობის კაცი. ასაკით უფროსი ჩანდა. თავი თავისუფლად ეჭირა. ლაპარაკობდა უბრალოდ და დამაჯერებლად. უცბად შეატყობილი მომეტებულ თავაზიანობას, შინაგან სიმაგრეს, ნაპერწყლიან ნიჭეს, ადამიანის სიყვა-

რულს. გაცნობისთანავე ვიფიქრე, რომ ჩვენ ნამდეილი მეგობრები ვიქწებოდით.

მე და ვაკა, მართლაც, თავიდანვე დაემეგობრდით და მთელი ცხოვრება მეგობრებად დავჩიტოთ. მას ბევრი მეგობარი ჰყავდა, მაგრამ თითოეული თავისებურად უყარდა. ინდივიდუალობის არაჩვეულებრივად გამახვილებული შეგრძნება ჰქონდა. ჭარბი სიცოცხლე ჰქონდა მომადლებული და ყველაფერი გადაჭარბებული სჩვეოდა. თუ რაიმე იყო მისი ბუნებისგან შორს, უპირველესად — ზომიერება. ამ არისტოტელურ სათნოებას არ სწყოლობდა ტეხურის ნაპირას გაზრდილი მგზნებარე კოლხი. გადაჭარბებული წარმოდგენისა იყო, სხვათა შორის, ჩემს ნიჭეც და არაფერი ერჩია ჩემთან ფილოსოფიურ მუსაიფს. როგორც კი დაგინახავ, ფიქრისა და აზროვნების ხასიათზე ვდგებიო, მეტყოდა ხოლმე.

მახსოვს ჩვენი ერთ-ერთი უკანასკნელი საუბარი. — როგორ ფიქრობ-მეტქი, ვეითხე, ადამიანები გარეგნულად უფრო განსხვავდებიან თუ შინაგანად? კითხვა მოეწონა. საერთოდ, როგორც ყველა გონიერ კაცს, კითხვები ერჩია პასუხებს. თუ კითხვამდე ამაღლდი, პასუხი უინტერესოდ მოგეჩვენებაო, იტყოდა და ამაში მას უნდა დაუთანხმოთ.

კითხვას ჩაუფიქრდა, თან ლუდზე დამპატიერ. რაც თავი მასოვს, სულ იქით მპატიერობდა. აქეთ დაპატიერებას აზრი არ ჰქონდა — მაინც თვითონ გადაიხდიდა. ფულის გადახდას მას კაცი, უბრალოდ, ვერ დაასწრებდი. შენს კითხვას თავად როგორ პასუხობო, მკითხა. მე მიუუგე, რომ ადამიანები გარეგნულად უფრო განსხვავდებიან, შინაგანად კი უფრო ერთნაირები არიან. თან დავუმატე, რომ ადამიანებს, ჩვეულებრივ, პირიქით ეწვენებათ.

ასე ვუპასუხე და ახლაც ასე მწამს. ჩატიქრდა. მერე კი, არ დამეთანხმა. გარეგანი განსხვავება სულ უმნიშვნელოა. მხოლოდ შინაგანი განსხვავებაა ნამდვილი. განა, შეედრებათ გარეგნული განსხვავება პლატონსა და წარმოსალეგ რეგვენს შორის, ჭრისტესა და ბარაბას შორის, ლუსუმსა და წიწოლას შორის მათსავე შინაგან განსხვავებასო.

ის თავისებურად მართალი იყო. ჭარბი სიცოცხლე მუდამ

მძლავრ წინააღმდეგობებს ატარებს. წინააღმდეგობა კი გაქვი-
რებას იწვევს. აღამიანს უკვირს თავისი სულის ბორგვა და
გონებით ვერ გადაწვდენია მას. ეჩენება, რომ ყველაფერი, ასე
თუ ისე, დალაგებული და გარკვეულია, მისი შინაგანი სამყა-
როს გარდა. ამიტომ ფიქრობს, რომ ის მეტისმეტად განსხვავ-
დება სხვებისგან. ფიქრობს და მართალიცაა. ჭარბი სიცოცხლე
მკვეთრ ინდივიდუალობას განაპირობებს.

ვაჟა მკვეთრი ინდივიდუალობა იყო. ასეთი აღამიანი აღვი-
ლად გამახსოვრდება და მერე არასოდეს გავიწყდება, რადგან
ის არაეს ჰგავს. ასეთი კაცი არასოდეს არაესში შეგეშლება.
ის არასოდეს ცდილობს სხვას დაემგვანოს და რომც ეცადოს,
არაფერი გამოუვა.

ერთი ეპიზოდი ამისათვის: მეოთხე კურსზე ვიყავით, როცა
ფაკულტეტზე შეიქმნა გერმანულის შემსწავლელი ჯგუფი. ამა-
გერმანულს არაფრად აგდებენ საქართველოში, მაშინ კი ეს ენა
დიდად იყო დაფასებული, მეტადრე — ფილოსოფოსებისგან.
ვაჟა ჯგუფში ჩაეწერა. ორი თვეის მერე ამხანაგები დაეინტერე-
სდით შედეგებით. ვაჟას პასუხი კი არ იცვლებოდა — ჯერ გა-
მოთქმებს გვასწავლიანო. გავეხუმრე: შევარცხვინე-მეთქი ის ვა-
ჟა გორიზია, გერმანულს სრულყოფილად რომ გამოთქვამს!

ყველას გაეცინა. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია წმინდა
გერმანულით ან ინგლისურით მეტყველი ვაჟა გორიზია. ის
თვითნაბადი ინდივიდუალობა იყო და ცვლილებებს ძნელად
ეპევდებარებოდა. კავკასიონის ქედივით უცვლელი ხარ-მეთქი,
გავეხუმრებოდი-ხოლმე. ის ბოლომდე დარჩა ტეხურისპირელ
მკეირცხლ და ხალისიან მეგრელიად, ვინც დედის ჩძიდან შეი-
წოვა თავისი ქვეწისა და კუთხის ძირძველი წესები და ამრე-
ზით უყურებდა ველა დროის ჩეფორმატორთა ცრუ ეცვლ-
ხიეილსა და აურზაურს.

როცა ფრანგი ლიტერატორები დავობდნენ, თუ როგორი
ლიტერატურაა კარგი, ვოლტერს ბრძნულად შეუნიშნავს: ყო-
ველგვარი ლიტერატურა კარგია, გარდა მოსაწყნისაო. ეს სი-
ბრძნე შეიძლება სხვაგანაც გამოვიყნოთ: ყოველგვარი აღამია-
ნი კარგია, გარდა მოსაწყნისა. ასეთი საზომი ვაჟასთვისაა ზე-
დგამოქრილი. მისგან, შეიძლებოდა, ბევრი რამ გწყვნოდა; ზო-

გვერ აღშეოთებულიყვავი კიდეც. მაგრამ მასთან ნამდვილად არ მოიწყნდი. ის სიცოცხლით იყო საესე და მუდამ ჭარბი ძალას აშეუქებდა. ასეთი ძალა გადამდებია, რის გამოც გვიყვარს-ხოლმე ასეთ აღამიანთა სიახლოვე. როგორც გაყინული ექებს სითბოს წყაროს, ცეცხლს, ისე ცხოვრებისგან დალლილნი ეტანებიან შინაგანად მაგარ, სიცოცხლით საესე, ხალისიან აღამიანს. თვითონ მას ბევრი სატკივარი ჰქონდა, მაგრამ ერთი გავრცელებული უბედურება — მოწყნილობა არასოდეს ემუქრებოდა. ის ყველანაირ პირობებში ახერხებდა ფართო, მრავალფეროვან სიცოცხლეს.

ასეთი აღამიანების წესია: ან ყველაფერი, ან არაფერი! მათვის სრულიად მიულებელია „ზედმიწევნით გათვლილი ცხოვრება, „თანდათანობითობის ლაიბნიცისეული პრინციპი“. ეს მოსაწყნად ეჩვენებათ და იმიტომ. მოწყნილობა კი მათვის მთავარი ბოროტებაა. „ლაიბნიცის სამყროში“ ისინი თავს ცუდად გრძნობენ, რადგან იქ, არსებითად, არაფერი ხდება. იქაური ცხოვრება დიფერენციული განტოლებაა. დიფერენციალები, ეს ჯუჯა დემონები, ჰქონდენ უკაველივე ცოცხალს, ახალს, საინტერესოს.

ვაეს ყოველი ნაბიჯი ამგვარ „რაციონალიზმთან“ შეუგუბლობის დადასტურება იყო. არათუ მთელი ცხოვრების, ყაველებისა რი მომავალი ცეცვის გათვლაც სძაგდა ბუნებით. ეს უბიძებდა განუწყვეტელი იმპროექტაციისკენ. მას, უბრალოდ, არ შეეძლო წინასწარ დაწერილი გეგმით მოქმედება. ბავშვობიდანეე შეუმჩნევია, რომ სულ ტყუილად ალაგებდა გაყვეთილზე სათქმელს წინასწარ. როგორც კი მოყოლის დრო დადგებოდა, წინასწარ გამზადებული სიტყვები, თურმე, უფერულად ეჩვენებოდა და სულ სხვანაირად იწყება ლაპარაკს.

მასხოვეს მისი ეს თეისება. სემინარის თუ მოხსენების დაწყების წინ ერთგვარი დაბნეულობა ეუფლებოდა და სათქმელს უკვე იქვე თხზავდა. სიტყვებს მთლად შესაბამისი სიზუსტით ვერ არჩევდა. მაგრამ აქ საინტერესო სხვა იყო: თუ სხვის მოხსენებას ასეთი რამ უთუოდ ჩრდილს მიაყენებდა, მის მოხსენებას ამით სრულიად არაფერი აქლდებოდა. პირიქით, უფრო მიზიდველი ხდებოდა. მისი საუბრის რაღაც საიდუმლოება იყო ეს:

სიტყვებზე მაღლა დგებოდა აზრი, იდეა. ამიტომ ზოგიერთი შეუსაბამო და გაუმართავი სიტყვა თუ ფრაზა თითქოს ლირსებას საც კი სძნდა მის საუბარს.

სალექტოი მასალა მას შეიძლება მეტ-ნაკლებად ჰქონოდა დამუშავებული, მაგრამ მისი ლექტიია, როგორც წესი, ყაველთვის საინტერესო იყო. ლექტიიზე ის არ ეხებოდა თემის კვლა საკითხს. „თემის ამოწურვა“, მით უფრო, თანმიმდევრული გადასვლა ერთი საკითხიდან მეორეზე მისთვის სრულიად უცხო იყო. ის მხოლოდ რამდენიმე ან სულაც ერთადერთ საკითხს შეეხებოდა და მის მიერ ამ ერთი საკითხის გაშუქება სტუდენტებს გაცილებით მეტს აძლევდა, ვიდრე სხვა ლექტორის მიერ „თემის ამოწურვა“.

როცა უნივერსიტეტში გერმანულ დიალექტიყას გვასწავლიდნენ, მასსოეს, მოწონა პეგელის ტერმინი თუ მხატვრული სახე „ნახტომი“. „ნახტომის პრინციპი“, მართლაც, საესებით შეესაბამებოდა მის შინაგან უთანხმოებას ლაიბნიცის სწავლებასთან, მის ფეთქებად ხასიათს. ასეთი ადამიანები გართულებებსა და ფათერაკებს ეტანებიან. არის ამაში რაღაც ავანტურისტული, რაც იმთავითვე ჩაბუდებულია სიცოცხლის გულისგულში. თუ უბრალო რამეს თხოვდი, გულწრფელად დაგპირდებოდა, მაგრამ აღვილად შეიძლება დაეიწყობოდა. ძნელად შესასრულებელ თხოვნას მეტ ყურადღებას აქცევდა და თავგანწირულად დაგიდგებოდა მხარში. ხიფათი, ფათერაკი სხვაგვარად იზიდავდა „ნახტომის“ მოტრფიალეს.

ეს კარგად ჩანდა აზარტულ თამაშებში. საესებით სწორად ამბობენ, რომ აზარტული თამაშები ადამიანის ხასიათის ნამდვილი სასინჯი ქვაა. ბევრს არ უყვარს აზარტული თამაშები, განსაკუთრებით მაშინ, თუ ხდება თანხის დადება. ეს ის ხალხია, ვისაც არ უყვარს მწვავე ვითარებაში ყოფნა, გარანტიის სიმცირე, რისკი. ესენი გაუბედავები არიან. ნაბიჭს გადადგამენ მხოლოდ მაშინ, თუ წარმატების გარანტია მყარია.

ცხოვრება ასეთ გარანტიებს, უმეტესწილად, არ იძლევა, რის გამოც გაუბედავი ადამიანი არ მოქმედებს და სხვას უთმობს პირველობას.

ვაჟა ადამიანთა მეორე კატეგორიას ეკუთვნოდა. მას უყვა-

რდა აზარტული თამაშები, ვთქვათ, ნარდი, შეტადრე მაშინ, თუ მცირე, თუნდაც სიმბოლური თანხა დაიღებოდა. თამაშობის ბდა რისკიანად, შემტევი, აგრესიული სტილით, სრულიად არა-სტანდარტულიად. ამის შემყურე მოწინააღმდეგე ითრუნებოდა, წყობიდან გამოდიოდა და აღარ მოსდიოდა. ასეა: თუ კამათელი მასხრად არ აიგდე, მაშინ თვითონ აგიგდებს მასხრად. ბედს მხოლოდ გამბედავი უყვარს, რადგან გაბედვა ბედისაღმი მინდობაა.

ლიახ, მას არ უყვარდა გატკეპნილი გზა. ერჩია მწვავე, „ნახტომისებური“ სელები. იზიდავდა „ნახტომი შეუცობელში“.


ვფიქრობ, ამანაც ითამაშა საბედისწერო როლი მის პირად ტრაგედიაში. ბედის რაღაც უცნაური ლოგიკით, ეს ტრაგედია უშუალოდ მოჰყვა ჩვენს თეორიულ დავას სემინარზე — აუცილებლობისა და შემთხვევითობის შესახებ.

ალბათ, ყველას შეგვიმჩნევია: როცა კუნთებს მოქმედება სწყურია, ადამიანს მტკიცედ სწამს შემთხვევითობა; ათასი რამ შეიძლება მოხდესო, ფიქრობს, და ბედის საძებნელად გასწევს. ხოლო როცა ცხოვრებისა და ქვეჭიერების გულის-გულს ჩავუფიქრდებით, ნებისყოფა რაღაც სხვანაირად დუნდება და გვიპყრობს ყოველივეს წინასწარგანსაზღვრულობის იღეა.

ეს განწყობები დღე-ლამესავით ცვლიან ერთმანეთს ჩვენს გულში. ბედისწერის იდეა სასიამოვნოდ ულიტინებდა ჩემს ცნობისმოყვარეობას და რაღაც დიად მორჩილებას შთამაგონებდა. დღეის დღესავით მახსოვს ვაჟას პოზიცია იმ დავის დროს: მომავალი იმითაა საინტერესო, რომ წინასწარ ვერ გაიგებო მას. ახლა ამას გინდა აუცილებლობა დაარქვი, გინდა შემთხვევითობაო.

მე მომწონდა მომავლის გაურკვევლობა, მაგრამ ნაკლებად მიზიდავდა ამის გამო მოძრაობა და ბედის ვარსკელივის დაუცხრომელი ძიება. ვაჟას კი სწორედ ეს მოსწონდა. ჩაეგი მომავალი გაურკვევლია, აზრი აქვსო პირად ინიციატივასა და ხელის გამოღებას.

ეს საუბარი ზემოხსენებულ უბედურებამდე ორი დღით იდრე მოხდა. მეორე საღამოს, დიდუბის სტადიონზე თბილისისა და მოსკოვის რეინიგზელთა გუნდის საფეხბურთო თამაშს დაევს-



წარით. კვირა დილას კი საგურამოში გავემგზავრეთ კეცეურა სიაზე. ჩვენთან ერთად მოღიოდნენ ვაჟას საცოლე და მისი უახლოესი ნათესავები. მცხეთაში ვიკითხეთ და დავაზუსტეთ: თბილისში მიმავალი მატარებელი ეჭხს საათზე ჩამოივლიდა. სურსათი წავიღეთ; ღვინის ყალვა აღგილობრივ მაცხოვრებლებთან გვქონდა გადაწყვეტილი. მასსოფს, ღვინო ვერ ვაშოვეთ და არაყო ვიყყდეთ ერთ-ერთ ოჯახში.

იდგა შუა აპრილის მოლრუბლული დღე. ყველაზერი საინტერესოდ და ხალისიანად აეწყო. დრო სწრაფად გავიდა, გოგონები საათზე იყორებოდნენ და გვაჩქარებდნენ — მცხეთისკენ საჩეისო ავტობუსს უნდა გაყყოლოდით.

ჩვენ ფეხბურთის თამაშს შევყვეთ. სხვათა შორის, ვაჟა შესანიშნავად თამაშობდა ფეხბურთს და, საერთოდ, სპორტულად განვითარებული ბიჭი იყო. უკანასკნელად ითამაშა ფეხბურთი და უკანასკნელად გაიტანა გოლები. თამაშის დროს, როგორც ხდება ხოლმე, შეზარხოს შებული ბიჭები ცოტა წავინკლავდით. მერე კი გულის ამაჩუჭებლად შევრიგდით. ამას დრო დასჭირდა და უკვე ცხადი გახდა, რომ საგურამო-მცხეთის სარეისო ავტობუსში გაგვაძლიო.

ახლა ისლა დაგვრჩენოდა, ფეხით ჩაგვესწრო მცხეთაში ეჭხსაათიანი მატარებლისთვის. ეს კი ყოვლად შეუძლებელი იყო. თითქოს ყველაზერი იქეთქენ მიღიოდა, რომ იმ საბედისწერო მატარებლისთვის ვერ ჩაგვესწრო, მაგრამ დახეთ უბედურებას! მივარიდნილ სოფლის შაჩაზე მცხეთისკენ მიმავალი ცარიელი საბარევო მანქანა წამოგვეწია. განარებულებმა ხელი ავუწიეთ და გაჩერება ვთხოვეთ. ჩვენს ბედად მძღოლმა არ გააჩერა და გზა განაგრძო. ეტყობა, თავი აარიდა შეზარხოს შებული ახალგაზრდების ჭგუფს და, კაცმა რომ თქვას, არც გაიმტკუნებოდა.

მაგრამ ბედისწერის თხუნელა თავისის ბურლავდა და შემთხვევითობანი რეინისებურად გადაეჭიშვა ერთმანეთს. მძღოლს უადგილოდ აუჩუჭდა გული, გადაიფიქრა და მოშორებით და-ამუსრუქა. ჩვენ ყეინით ავცვივდით ძაჩაზე და მძღოლს ჩვენი გასაჭირი მოვახსენეთ. მანაც აუჩქარა და რამდენიმე წუთში მცხეთაში დაგვსვა. უკვე დაძრულ მატარებელს შევახტით და თბილისისკენ გამოვწიეთ.

რავი მატარებელი უკუ დაძრული იყო, ერთი კიბით ერთ ვაგონში შესვლის დრო არ იყო და ჭერ კიდევ აუკეცავი კიბეებით სხვადასხვა ვაგონში აეცვივიდით. ეს იყო და ერთ-ორ წუთში საშინელი კივილი გაისმა, რასაც მატარებლის დამუხრუკება მოჰქმდა.

ვაკეს მეზობელ ვაგონში გადასვლა გადაუწყეტია, სადაც მისი საცოლე მოხვდა. რავი ვაგონებს შორის დერეფანზე ბლომად ხალხი იდგა და პირდაპირი გადასასვლელი ჩახერგილი იყო, მას უფიქრია თავისი ვაგონის კიბიდან მეზობელი ვაგონის კიბეზე გადახტომა. გაქანებული მატარებლის მიერ დაუყენებულ გრიგალში მან გეზი მოლად ზუსტად ვერ აიღო და ბორბლებჲეშ ჩავარდა. ეს იყო მისი ცხოვრების საბედისწერო ნახტომი.

ვაკე მე სიცოცხლის მოტრფიალე კაცად მიმაჩნდა ყოველთვის; მაგრამ ისიც შემიმჩნევია, რომ სიცოცხლის ნამდვილი მორტფიალენი ყველაზე ნაკლებ უფრთხილლებიან სიცოცხლეს. სწორად თქვა ნიცშე: სიცოცხლე მაშინააო ყველაზე კარგი, როცა ყველაზე ნაკლებად ვებლაუჭებითო მას. ასეა, სიცოცხლეზე მეტისმეტმა ზრუნვამ შეიძლება ფრიად საბაგელი სახე მიიღოს და თვით სიცოცხლე ჩაკლას. ვაკეს უყვარდა არა „ბევრი სიცოცხლე“, არამედ — მოლიანი სიცოცხლე თავისი წილი ტანჯეითა და სიხარულით. ტანჯვა და სიკვდილიც სიცოცხლის ნაწილია და სიცოცხლის ნამდვილი მოტრფიალე ყოველთვის მზადაა ისინიც განიცადოს. ამიტომ ასეთ ხალხს ვერ გატეხავს უბედურება. მათ ყოველთვის იციან გამოსავალი და ესაა მათი მხეობისა და შინაგანი სიმაგრის მთავარი საიდუმლო.

ვაკემ თავისი პირადი უბედურება თითქოს გამოიყნა კიდეც საკუთარი თავის შესამეცნებლად და მის, თუ გნებავთ, შესაქმნელადაც. მან ბოლომდე იჩრმუნა თავისი შინაგანი ძალა და კანონიერადაც ამაყობდა ამით. მან თითქოს თავისივე ნანგრევებისგან ხელახლა გამოჭედა თავისი თავი და ამითაც შეეძლო ეამიყა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მან თავისი შეგნებული ცხოვრებით მხეობის, სტოიკური სიმტკიცის ნამდვილი გაჯვათილი ჩაატარო. მისი შინაგანი სიამაყუ სუფრასთან ნამდვილ პათეტიკად იქცეოდა ხოლმე. ამ პათეტიკის შინაარსი, დაახლო-

ებით, ასეთი იყო: ცხოვრება მწარეა, მაგრამ ადამიანი გაძლები-სათვის გაჩნდა. მან მხოლოდ შინაგანი სიმტკიცით უნდა იამაყოს. სხვა არაფერია საამაყო. სხვა მისწრააფებები მანქიერებას წარმოშობს და ასეთი მანქიერი ხალხი გაროზვეოს ლირსია.

ამაში ხედავდა ის ცხოვრების მთელ სიმარტივეს და მთელ სირთულეს. ის მარტივი, ძველკოლეური, პატრიარქალური ცხოვრების მომხრე იყო. ღრმად სწამდა პრეისტორიული ხანის საყველთაოდ მივიწყებული ლირებულებები. ის ნამდვილი სოფლელი იყო, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით და ამაყობდა კიდეც ამით. პრეისტორიული სიმარტივიდან გამომდინარეობდა მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლირსება: მან არ იცოდა, რა იყო შური. ამიტომ აღტაცებაში მოჰყვდა სხვათა ლირსებებს, ამიტომ უყვარდა ასე ძალიან, გაეხარებინა ადამიანი.

სწორედ მის ამ ოვისების უკავშირდებოდა ის, რასაც, სტუდენტობის დროს, მე „ვაეს ტყუილი“ ვუწოდე. ის განიცდიდა ადამიანის წუხილს და ცდილობდა საზრუნავით შეწუხებულის დამშვიდებას, ნუგეშისცემას, გახარებას. ამიტომ ხშირად ალალი გულით შეპარდებოდა იმას, რისი შესრულებაც არ შეეძლო. იცოდა კიდეც, რომ არ შეეძლო, მაგრამ მუდამ გულით ხელმძღვანელობდა და არა გონებით.

ერთხელ საქმე ასეთ კურიოზამდეც კი მივიდა. ზამთრის სესიების მეჩე ავედით ვაეს დასთან, რომელიც ჭირით ცხოვრობდა „ნახალოვეაში“. ვივანშემეთ და ცოტა შავი ლეინც დავლიეთ. მე ვუთხარი, რომ ხეალ საღამოს სოხუმის მატარებლით მივემგზავრები დასავლეთში. ერთად წავიდეთო, შემომთავაზა, ოღონდ სენაჟში ჩამოხვალ და ჭყონში ამომყენებიო. ისეთი ხალისიანი დაპატივება იცოდა, უარს როგორ ვეტყოდი! გამოცებიც შესანიშნავად გვჭონდა ჩაბარებული, ორკვირიანი აჩდაღეგებიც წინ გვედო. მოვილაპარავეთ ბილეთების სალიროსთან შეხვედრა. ღროც დავთქვით.

დათქმულ დროზე ვაერა არ გამოჩნდა. ამაოდ ველოდებოდი. ავედი მის დასთან. ვაერა ამ დილას ჭყონში წავიდაო, მითხრა. მანქანით ამოაეკისო. აღბათ, რაღაც გაუთვალისწინებელი მოხდა, ხომ მშვიდობა-მეტე, ვკითხე. არა, გუშინწინ მოილაპარავესო, იყო პასუხი. აი, ასეთი იყო, დაახლოებით, „ვაერა


ტურილი”.

ეს „მარტივი ცხოვრების“ პრინციპი შობდა მის კიდევ ერთ ღირსებას — გულუხეობას. უფარდა გამასპინძლება, დაპატიჟება, ჩუქუბა, ხარჯვა. ის იხარჯებოდა სხვისთვის. ამით მას არაფერი აკლდებოდა, რადგან თავისთვის მცირედიც პყაფნიდა. სხვას კი გაახარებდა და ამით ხარობდა. სიყვარული მხოლოდ ასეთ ადამიანებს შეუძლიათ, მცირედიც რომ პყაფნით. მასაც უფარდა. ბევრი უფარდა, თან ყველა — სხვადასხვანაირად.

ვაჟას სჩევოდა ხელისუფალთა სიახლოეს ტრიალი და ერთვერი ჩევერანსები, მაგრამ მისი ურთიერთობა ხელისუფლებასთან დაძაბულობას შეიცავდა მუდამ, და, როგორც წესი, ახლოს იყო მსხვერევასთან. არ იყო ეს მისი საჭმე და იმიტომ. მას ისე უფარდა ტეხურის ჭალებისა და ტაბაკონის მთის ვალური თავისუფლება, რომ ზედმეტად მგრძნობიარე იყო ოფიციალური პირობითობების მიმართ. ეს მას სულს უხუთავდა. ოფიციალურ პირებთან მისი ურთიერთობა მუდამ ბერვზე ეყიდა. საყითხს რადიკალურად სემდა: ან თავისუფლება, ან ხელისულფება, და უპირობოდ იჩენედა პირველს. თავისუფლების არც ერთი მისხალი არ ეომობოდა. სულ ეჭვის თვალით უყურებდა სტრუქტურის ხელმძღვანელობას. დარწმუნებული იყო, რომ ისინი ვერ იტანდნენ მის თავისუფლებას. ამიტომ შორს დგებოდა და თავს იცავდა მათგან ხაზგასმული თავაზიანობით და შეუფალი სიამაყოთ.

ეჭვი ვასხენთ. ვაჟას ხასიათში ღრმად იჯდა სრულიად თავისებური ეჭვიანობა, რასაც მინდა კოლხური სკეპტიკიზმი ვუწოდო. კოლხის გონება გახსნილი და მოქნილია, რაც კარგად ჩანს მეგრული ენის არაჩეულებრივ სიმდიდრეში. კოლხი ეჭვის თვალით უყურებს ქვეყნიერების მორთულობას და ბორიტებას ქვერეტს მის მიღმა. ესაა კოლხური სკეპტიკიზმი, რაც ცოცხლად ფეოქტედა ვაჟას გულში.

გულის სილრმეში ის ფიქრობდა, რომ ადამიანები გულმო-დგინდე მაღავენ თავს. ამ ფიქრიდან აღმოცენდებოდა ერთგვარი უნდობლობა და ეჭვი, აგრეთვე — საპასუხო მოძრაობა. მის ამგვარ საპასუხო მოძრაობად მიმაჩნია მისი ერთი მოუცილებელი ჩვევა — სახეზე ხელისგულის ჩამოსმა შუბლიდან ნიკაბა-



მდე, ეს გამომდინარეობდა მისი ხელითის გულის-გულდან კულტური სკეპტიციზმიდან და, როგორც ვთქვი, წარმომადგენლა ნდა საპასუხო მოძრაობას. ეს იყო ნიღბებით მანიპულირება შენიღბულ სამყაროში: „სულ ნიღაბია საჭირო; თან ვითარების ყოველი შეცვლისას — ახალი ნიღაბი. რაյმ ასეა, სწობი ჩქარა შესრულდეს პროცედურა; მაშასადამე, ხელისგული გამზადებული გქონდეს სახესთან ახლოს“. ცხადია, ეს არაცნობიერი ტექსტი იყო და არაცნობიერადგუ სრულდებოდა.

ამ ლიმილისმომგვრელ მანიპულაციას, ხუმრობით, ვაჟას ფაქტიმილიას ვეძახდი. მახსოვს, ერთხელ გავეხუმრე: „ბიჭო, ასეთი რა სიკეთე გაცხია მაგ სახეზე, ერთი მეც ჩამომასმევინე ხელი“ - მეთქი.

ანკედოტის მოყოლა არ ეხერხებოდა, მაგრამ სასაცილო ამბებისადმი ძალიან მგრძნობიარე იყო. უფარდა იუმორი და ისე იცინდა, როგორც მხოლოდ ჯანსაღი სულის ადამიანები იცინიან-ხოლმე.

ხანდახან ძალიან მოსწრებულად შენიშნავდა. ცნობილია მისი უჭმელობა. რამდენ სუფრაზე ვყოფილვართ ერთად და, მე მისი მაღიანი ვამა არ მახსოვს; სულ ერთია, როგორი მშეირიც უნდა ყოფილიყო. ერთხელ ვუთხარი: აქილევსი ბერძნულად უჭმელს ნიშნავს, ასე რომ, ნამდვილი აქილევსი ხარ-მეთქი. უქუსლო აქილევსი აბა საღ გინახავსო, სიცილით მიძასუხა. მეც გამეცინა, ოღონდ ცოტა ნაღვლიანად.

მესამეკურსელები ვიყვით და ერთ-ერთი გამოცდისათვის ერთად ვემზადებოდით მისი სიმამრის ბინაში, საღაც დროებით ცხოვრიბდა იმხანიდ. ოჯახს ერთი ლოთი მეზობელი ჰყავდა შემოჩეული და სადილს არ დააკლდებოდა. მაშინაც შემოვიდა და სხვის ოჯახში მასპინძლობას შეუდგა, როგორც ლოთებს სჩევიათ-ხოლმე. მე და ვაჟას მორიდებულობა გვისაყვედურა და მაგალითი თვითონ მოვეცა — არაყო გადაპერა და მეავე კიტრსაც ხარბად უქროსა. ჩვენ ვერ აგვებოდით და ფილოსოფიის გამოცდა მოვიმიზეზეთ. გათამამდა და დამოძღვრა დაგვიწყა. თან გვყითხა, აბა რამდენი მცნებაო მარქსიზმში. ცხადია, ვერ ვუპასუხეთ. მაშინ თვითონ გვასწავლა, — ექვსი მცნებაო, — მერე დაუმატა, — დაუკე შეიდიო.

მეორე დღეს ყველაფერი ზუსტად განმეორდა. ახლა მისაყვედურა, რა ცხვირ-პირი ჩამოვტირისო. მაშინ ვაეთ უპასუხა, იტირებს, აბა რა იქნებაო. გამოცდაზე სწორედ შენი კითხვა შეხვდაო — რამდენი მცნებაა მარქსიზმში. ამანაც არ დააყოვნა და შენი პასუხი მიაგებაო — ექვსია, დაუკ შეიდიო. პოდა, გლიჭა ლექტორმა ორიანი და გამოაგდოო.

ყველას სიცილი აგვიტყდა. ლოთმა უაზროდ მოგვაჭყრა თვალები და მაშინვე გადათქვა თათქარიძესავით, — მე ეგეთი რამე-ები, ძმაო, არ მითქვამსო.

მახსოვს, თბილისის ოში ახალი დასრულებული იყო. ცხოვ-რება ძალიან ჭირდა. ლექტორები ბევრგან ვმუშაობდით და ძლივს ვირჩენდით თავს. ასეთი საყოველთაო გაჭირვების უამს ერთმა ჩვენმა საერთო მეგობარმა ყოველგვარ სამსახურს თავი დაანება და ლექსების წერა დაიწყო. პატარა წიგნუკაც გამოსცა უცნაური სათაურით — „არგეგაბიკა“. ოჯახის წევრები ფეხის ცერებზე ტრიალებდნენ, წერაში ხელი უნდა შეეცავა და ერთ-ორ საუკუნეში უეპველად დააფასებენო. ერთი სიტყით, კაცმა საათივით აწყო ოჯახი. ვაეთ ხუმრობდა, ჩემი ბედისა რა ვთქვეიო. ციბრუტივით ვტრიალებო ოჯახისათვის ეს უფლეხ კაცი, ცოლ-შვილი კი მაინც მიბლვერსო. ახლა მე ამათ ხელფასი არ მივუტანო და სამაგიეროდ „არგეგაბიკა“ დავწერო, ხომ გამომაგდეს სახლიდანო. მე კი ასე ვეხუმრებოდი: „მი-დის ვეფხისტყოსასნი, მოდის არგეგაბიკა, მილიარდი დოლარი ლირს, შენ კი არ გეკაპიკა“. სიკედილამდე ცოტა ხნით ადრე გამეხუმრა: კანტს ორი რამ უკვირდაო: ვარსკვლავებით მოვე-დილი ზეცა ადამიანის თავზე და მორიალური კანონი ადამიანის თავში. მე, მისგან განსხვავებით, ერთადერთი რამ მიკვირსო, გივის წიგნის სათაური ასე კარგად როგორ დაიმახსოვრეო. მე ათი წელია ვცდილობ, მაგრამ ამაოდო.

ეს ბოლო წლებია, გოროზიების საგვარეულო ოჯახის ჭიშკართან სიკედილის აქლემმა დაიჩიქა. მიედინება ცხოვრება ჩვეული წესით და რიგით, ცხოვრება, რომელშიც ცოტა რამეა გასახარელი. მე მახსენდება ვაეს სიტყვები: „ცოტა სიხარული და ბევრი სიმწარე, ყველაფერ ამას, ერთად, ადამიანის ცხოვრება ჰქონია. ახლა, გინდა პესიმისტი იყვი და გინდა — ოპტიმისტი!“

ს ა რ ჩ ვ ვ ი	3
რედაქტორისაბან (გრიგოლ კუანია)	
ევრა მოროვია (ვალერი კვარაცხელია)	5
საოჯახო ურთობალპილან	65
ის იყო ეასი... (გური ასათიანი)	92
იმ საბეჭისწერო ღღეს... (ბონდო ბეგაშვილი)	97
მეგობრის ხსოვნა (ამირან ბერძენიშვილი)	99
მაირზასო ვაჟა! (ვახტანგ გოგუაძე)	105
უნდა ვიმოცხველო ბეჭისწერისა და ლევონის ჯინეგვა! (ნაპო კვარაცხელია)	110
სიახლით გამორჩეული (ირაკლი კალანდია)	113
სიკელის შერპინებული (მიხეილ მახარაძე)	116
ნათელი მოგონება (ლონდა მდივანი)	118
დავ, სიმოცხვე მოავლეს კიდევ, მაშრამ	
სიკელისა არ უნდა იმოცხველოს! (ჯემალ პაჭკორია)	119
დილი ქაბი (სოსო სურგულაძე)	123
გელივერი იყო, მაშრამ... (მურმან ტურავა)	125
თანამდერევე გაუცხოებული აღამიანის	
თავითმყრისალების არსი (ვახემგი ფარცევანია)	127
ვაჟა, გოროგი(ა) კი არა, ავგაროგი იყო!.. (გურმანე ფაცაცია)	138
რამიმიგმის მთესველი ეასის ნებელობა (აკაკი ყულიჭანიშვილი)	141
მოგონებანი გარდასელ ღრომა (რესუდან წიქვაძე)	144
საბეჭისწერო ნახტომი (ზურაბ ხასაია)	150

Валерий Давидович Кварацхелия
„ВАЖА ГОРОЗИЯ“
(на грузинском языке)



წიგნზე მუშაობდნენ:

მარაში ძებავიძე,
ლევან გაგიერაშვილი,
თამარ პაპაერიძე,
ლალი მაძლარაშვილი

თბილისი, 2006 წელი

